

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტი

სალომე სილაგაძე

**ინტელექტუალური მიგრაციის თანამედროვე ტენდენციები**

ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი  
სადისერტაციო ნაშრომი

მეცნიერ-ხელმძღვანელი: თსუ ასოცირებული პროფესორი  
თამაზ ზუბიაშვილი

თბილისი

2020

# ინტელექტუალური მიგრაციის თანამედროვე ტენდენციები აბსტრაქტი

მეცნიერების ყურადღების ცენტრში ექცევა მიგრაციის ახალი ტალღა, რომლის შემადგენელ ნაწილს ინტელექტუალი, განათლებული პირები შეადგენენ. აღნიშნული ტალღა როგორც გლობალურ ასევე, ეროვნულ ეკონომიკასა და საზოგადოებას მრავალი გამოწვევის წინაშე აყენებს, რომლის არ დაძლევის შემთხვევაში შეიძლება კონკრეტულ სახელმწიფოებს სერიოზული ეკონომიკური პრობლემები წარმოექმნას.

ნაშრომში განხილულია თუ რა თავისებურებები (ნაკადების მიმართულება, დადებითი და უარყოფითი ასპექტები), გამომწვევი მიზეზი აქვს განათლებულ პირთა მიგრაციას და თუ რა მდგომარეობაა დღეს საქართველოში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

ამასთან ერთად, ჩატარებული გამოკითხვების საფუძველზე სიღრმისეულადაა გაანალიზებული ქართული ინტელექტუალური ემიგრაციის უახლოესი სტატისტიკა და ტენდენციები.

კვლევის *სტრუქტურა* შედგება შესავალის, სამი თავის, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურისაგან.

*შესავალში* განხილულია კვლევის აქტუალობა, მიზანი, საგანი და ობიექტი, სამეცნიერო ლიტერატურა, ჰიპოთეზა და საკვლევო საკითხები, შედეგები და მეცნიერული სიახლეები და პრაქტიკული მნიშვნელობა.

ნაშრომის *პირველი თავი* ეხება „ინტელექტუალური მიგრაციის კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძვლებს“. მასში განხილულია მისი ზოგადი ტენდენციები, თავისებურებები საქართველოში, ჩინეთში, ინდოეთში, ირანში. აქვე განხილულია მიგრაციის გამომწვევი მიზეზები- ეკოლოგია, გლობალიზაცია, ინფორმაციული ტექნოლოგიები, სექსიზმი, განათლება, კორუფცია.

*მეორე თავში* განხილულია ინტელექტუალური ემიგრაციის, როგორც დადებითი - განათლება, ინოვაციების გავრცელება, მოქალაქეთა დაბრუნება, ფულადი გზავნილები, ასევე, უარყოფითი - ადამიანური კაპიტალის შემცირება, ტექნოლოგიური განვითარების შეფერხება, სტაბილურობის შენარჩუნების სირთულე, დაკარგული ინვესტიციები მხარეები;

სადისერტაციო ნაშრომის *მესამე თავში* განხილულია "საქართველოში ინტელექტუალური მიგრაციის გამოწვევები და პერსპექტივები". ეს თავი ეძღვნება სოციოლოგიური კვლევის შედეგებს, კერძოდ: საქართველოს მოქალაქეთა სოციოლოგიური კვლევის შედეგების ანალიზს, ექსპერტთა რეკომენდაციების ანალიზს და ა.შ.

*კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა.* კვლევის შედეგების გამოყენება შესაძლებელია: ინტელექტუალური მიგრაციის ნაკადების, გამომწვევი მიზეზების, ტენდენციების პრობლემების კვლევით დაინტერესებული სპეციალისტებისათვის; უმაღლეს სასწავლებლებში საერთაშორისო ეკონომიკის, საერთაშორისო ურთიერთობების და/ან მიგრაციის სალექციო კურსების სწავლებისას; ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისთვის.

*საკვანძო სიტყვები:* გლობალიზაცია, ინტელექტუალური მიგრაცია, საქართველო, ეკონომიკური განვითარება, ინტელექტუალური მიგრაციის შედეგები.

# Modern Tendencies of Intellectual Migration

Salome Silagadze

## Abstract

The new wave of intellectual migrants and the new challenges that it has brought on to the global economy, is under the scientists' radar for over the last 50 years, or so. Hence, this paper examines the emerging tendencies (migrants' destination countries, positive & negative aspect and etc), the causes of brain drain and current state of affairs of the intellectual migration, globally and in Georgia.

The structure of the research is composed of: introduction, three chapters, conclusion and bibliography. The introduction discusses the actuality of the subject, the aim, the object & the subject, research methodology, scientific literature, hypothesis, results and the practical significance of the research paper. The surveys conducted by the author, provide an in-dept analysis of the latest statistics and trends in Georgian intellectual migration.

The first chapter: "Intellectual Migration and its Causes" is dedicated to the discussion of subjects such as: the theoretical and methodological basis of intellectual migration, general tendencies of brain drain (based on the analysis of the countries such as: China, India, Iran and Georgia), the causes of migration, such as: ecology, globalization, information technologies, sexism, education and corruption.

In the second chapter "the Positive and Negative Aspects of Intellectual Migration", the author examines positive effects ( education, spread of innovation, money transfers) and negative effects (human capital reduction, suspension of technology development, difficulty of creating a stable social environment and "sunk" investments).

As for the third chapter, it is dedicated to the analysis and survey of the local citizens', Georgian emigrants' and local experts' surveys concerning intellectual migration. All of the mentioned surveys were designed and conducted specifically for the research paper.

The results of the aforementioned study can be used by specialists of the subject, together with universities and interested parties for the study of intellectual migration, its tendencies and consequential causes.

*Keywords:* Intellectual Migration, Globalization, Georgia, Economic Development, Intellectual Migration Tendencies.

## სარჩევი

აბსტრაქტი.....	i
Abstract .....	iii
აბრევიატურები.....	viii
შესავალი.....	1
თავი 1. ინტელექტუალური ემიგრაციის კვლევის თეორიულ- მეთოდოლოგიური საფუძვლები.....	20
1.1 ინტელექტუალური მიგრაციის ფენომენი და მისი ძირითადი ცნებები.....	20
1.2 ინტელექტუალური მიგრაციის ზოგადი ტენდენციები.....	25
1.3 ინტელექტუალური მიგრაციის თავისებურებები სხვადასხვა ქვეყანაში.....	34
1.4 ინტელექტუალური მიგრაციის გამომწვევი მიზეზები .....	50
თავი 2. ინტელექტუალური მიგრაციის ეფექტები.....	70
2.1 ინტელექტუალური მიგრაციის დადებითი ეფექტები.....	70
2.2 ინტელექტუალური მიგრაციის უარყოფითი ასპექტები .....	88
თავი 3. სოციოლოგიური კვლევები .....	94
3.1 საქართველოს მოქალაქეების ინტელექტუალური ემიგრაციის მიზნების ანალიზი.....	94
3.2 ინტელექტუალური მიგრაციის შედეგები ქართველი ემიგრანტებისთვის .....	118
3.3 ინტელექტუალური მიგრაციის ზეგავლენა საქართველოს ეკონომიკაზე.....	131
დასკვნები და რეკომენდაციები .....	141
ბიბლიოგრაფია.....	151
გამოქვეყნებული ნაშრომები.....	172
დანართი 1. საქართველოს მოქალაქეების ინტელექტუალური ემიგრაციის მიზნების კვლევის კითხვარი.....	174
დანართი 2. ინტელექტუალური მიგრაციის შედეგები ქართველი ემიგრანტებისთვის კვლევის კითხვარი.....	178
დანართი 3. ინტელექტუალური მიგრაციის ზეგავლენა საქართველოს ეკონომიკაზე კვლევის კითხვარი.....	181
ნახაზი 1. საერთაშორისო მიგრანტების სტატისტიკა, 2000-2019 წ. ....	26

ნახაზი 2. ტვინთა გადინება ეკონომიკური განვითარების და მოსახლეობის ზომის შესაბამისად, 1990-2000 წ.	27
ნახაზი 3. OECD-ს ქვეყნების მოქალაქეების და ემიგრანტების განათლების დონე, 2019 წ.	32
ნახაზი 4. საქართველოს მიგრაციული სალდო 1994-2018 წ.	45
ნახაზი 5. ემიგრანტების რაოდენობა სქესთა მიხედვით 2002-2018 წ.	45
ნახაზი 6. დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი სქესის მიხედვით (ლარი), 2001-2018 წ.	60
ნახაზი 7. უმუშევრობის დონე სქესობრივ ჭრილში (პროცენტებში) , 2006- 2018 წ.	61
ნახაზი	
8. სამსახურის შოვნისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, 2017 წ.	66
ნახაზი 9. დასაქმების დონე განათლების დონის მიხედვით, 2014 წ.	71
ნახაზი 10. ფულადი გზავნილების მიმღები პირველი ათეული ქვეყანა, 2016- 2018 წ.	80
ნახაზი 11. ფულადი გზავნილების გამგზავნი ქვეყნები, 2010-2018 წ.	81
ნახაზი 12. ფულადი გზავნილების სიდიდე ქვეყნების მიხედვით (ევროპაში და ცენტრალურ აზიაში), 2010- 2018 წ.	82
ნახაზი 13. ფულადი გზავნილების სიდიდე ქვეყნების მიხედვით (მსკ-ს %)(ევროპაში და ცენტრალურ აზიაში), 2010- 2018 წ.	83
ნახაზი 14. ფულადი გზავნილები საქართველოში ქვეყნების მიხედვით 2008-2019 წ.	84
ნახაზი 15: დაუსაქმებელთა და ემიგრანტთა რაოდენობა, 2012-2018 წ.	89
ნახაზი 16. ემიგრაციის სურვილი და რესპონდენტთა ასაკი	97
ნახაზი 17. რესპონდენტების ოჯახური მდგომარეობა სქესის მიხედვით	98
ნახაზი 18. ოჯახური მდგომარეობა და ემიგრაციის სურვილი	99
ნახაზი 19. საცხოვრებელი ადგილი და ემიგრაციის გეგმები	100
ნახაზი 20. ემიგრაციის მოტივაცია სქესთა მიხედვით	101
ნახაზი 21. პოტენციური ემიგრაციის ქვეყნები სქესის მიხედვით	103
ნახაზი 22. ემიგრაციის მოტივაცია, სქესის მიხედვით	104
ნახაზი 23. ემიგრაციის სავარაუდო დანიშნულების ქვეყნები, რეგიონების მიხედვით	106
ნახაზი 24. რომელ ქვეყანაში ცხოვრობს თქვენთვის ნაცნობი, რომელმაც დატოვა საქართველო?	108
ნახაზი 25. დაწინაურება და ხელფასის შესაბამისობა ამჟამინდელ სამუშაო პოზიციასთან	111
ნახაზი 26. დაწინაურება და ხელფასის შესაბამისობა გონებრივ განათლებასთან	112
ნახაზი 27. წლიური შემოსავალი და კმაყოფილების დონე	113
ნახაზი 28. სქესი, წლიური შემოსავალი და ემიგრაცია	114
ნახაზი 29. ემიგრაციის მოტივაცია და გამოკითხულთა შემოსავალი	115
ნახაზი 30. დასაქმების სექტორი და ემიგრაციის სურვილი	116

ნახაზი 31. ემიგრანტთა განათლების დონე.....	117
ნახაზი 32. სამუშაოს პოვნის წყარო და ასაკი.....	120
ნახაზი 33. აირჩიეთ ემიგრაცია იმ ქვეყანაში, სადაც პირველად ცხოვრობდით უცხოეთში?.....	121
ნახაზი 34. გზავნილები და ემიგრანტების ასაკი.....	122
ნახაზი 35. ცხოვრების ხარისხი და მიგრანტების ასაკი.....	123
ნახაზი 36. გაუწევდით თუ არა მიმღებ ქვეყანას რეკომენდაციას საცხოვრებლად (ემიგრანტების ასაკის მიხედვით).....	124
ნახაზი 37. საინფორმაციო წყარო, ასაკის მიხედვით.....	125
ნახაზი 38. რა საინფორმაციო წყაროს მეშვეობით იპოვეთ სამსახური.....	127
ნახაზი 39. რა სიხშირით ნახულობთ/ გავქთ ურთიერთობა ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან.....	128
ნახაზი 40. გაუწევდით თუ არა რეკომენდაციას მიმღებ ქვეყანაში ცხოვრებას (რეგიონების მიხედვით).....	129
ნახაზი 41. შემოსავლებისა და ფულადი გზავნილების სიდიდე.....	130
ცხრილი 1. ინტელექტუალი მიგრანტების სტატისტიკა, 2000-2010 წ. ....	28
ცხრილი 2. ემიგრანტები OECD-ში წარმომავლობის ქვეყნის და რეგიონის მიხედვით, 2010-2011 წ. ....	30
ცხრილი 3. G20-ში მცხოვრები ემიგრანტების წარმოშობის ქვეყანა, 2019 წ. ....	31
ცხრილი 4. ინტელექტუალი მიგრანტების წილი მიგრანტების საერთო რაოდენობის მიხედვით ევროპის ქვეყნებში, 2017 წ. ....	33
ცხრილი 5. ქართველი ემიგრანტების მიმღები ქვეყნები, 2017 წ. ....	46
ცხრილი 6. პოლიტიკური თავშესაფის მძებნელები საქართველოდან, 1990-2006 წ. ....	48
ცხრილი 7. გზავნილების მიზნობრიობა რეგიონების მიხედვით.....	109



## აბრევიატურები

საია- საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

საქსტატი- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ADB- აზიის განვითარების ბანკი

EU - ევროპის კავშირი;

Eurostat- ევროპის სტატისტიკის სამსახური

EBRD ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი

ERASMUS ევროკავშირის პროგრამა - „ერასმუსი“, რომლის მიზანია განათლების,

ICMPD მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი

IOM- მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია

IMF- საერთაშორისო მონეტარული ფონდი

IZA- შრომის ეკონომიკის ინსტიტუტი

Migration Policy Institute- მიგრაციის პოლიტიკის ინსტიტუტი

OECD- ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია

UN- გაერო

UN DESA- გაერო-ს ეკონომიკური და სოციალური საკითხების დეპარტამენტი

UNESCO- საერთაშორისო ორგანიზაცია,მეცნიერების,განათლების და კულტურის საკითხებში

UNICEF-ბავშვთა დახმარების გაეროს ფონდი

UNHCR- გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი

UNCTAD- გაეროს კონფერენცია ვაჭრობისა და განვითარების შესახებ

World

Bank

-მსოფლიო

ბანკი

## შესავალი

თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში, ინტელექტუალური სამუშაო ძალის გადინება 21-ე საუკუნის სოციალურ და ეკონომიკურ მოვლენად იქცა. არნახულმა ტექნოლოგიურმა და ინდუსტრიულმა განვითარებამ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეებს მისცა საშუალება, რომ უცხოეთში არამარტო მოგზაურობის არამედ მუშაობის საშუალებაც ჰქონოდათ.

ტერმინი „Brain Drain“, ანუ "ტვინების გადინება" პირველად შეიმუშავეს 60-იანი წლების დასაწყისში. 1963 წელს ბრიტანეთის სამეფო საზოგადოებამ ხსენებული ტერმინი განმარტა, როგორც: "ბრიტანელი მეცნიერების აშშ-ში საცხოვრებლად და სამუშაოდ ემიგრირება"(Cervantes, Guellec, 2002). თანამედროვე რეალობაში ეს ტერმინი გამოიყენება ნებისმიერი განათლებული პროფესიონალის ემიგრაციის ანალიზისთვის.

ახალი ფელგრევის ეკონომიკის ლექსიკონის მიხედვით ტერმინი ტვინთა გადინება ნიშნავს *"მაღალ კვალიფიციური და განათლებული ადამიანური რესურსების გადინებას განვითარებადი ქვეყნებიდან განვითარებულ ქვეყნებში"*. აღნიშნული წყაროს მიხედვით ყველაზე ხშირად ინტელექტუალურ მიგრანტებად მოიაზრებიან ინჟინრები, ექიმები, მეცნიერები და სხვა ძალიან მაღალკვალიფიციური პროფესიონალები, რომლებსაც აქვთ საუნივერსიტეტო განათლება (The New Pelgrave Dictionary of Economics, 2016).

დოკიერი და მარფუკი (2005) ქვეყნიდან ტვინთა გადინების მაჩვენებელს განსაზღვრავენ, როგორც ბაკალავრის მქონე 25 წლის (ან უფროსი) ადგილობრივი მცხოვრებლების და მიგრანტი მოქალაქეების რაოდენობის შეფარდებას (Docquier, Marfouk, 2005).

ლიტერატურაში ინტელექტუალ მიგრანტებზე საუბრისას მკვლევარები გულისხმობენ იმ სამეცნიერო, ტექნიკური სპეციალისტების, მსახიობების, მხატვრების და ზოგადად კულტურის სფეროს წარმომადგენლების და უცხოეთში მცხოვრები სტუდენტების მიგრაციას, რომლებიც საზღვარგარეთ ცხოვრობენ ერთ წელიწადზე

დიდხანს. ჩვენი კვლევისთვის სავსებით მისაღებია მიდგომა რომლის მიხედვითაც ინტელექტუალურ მიგრანტად მოვიხსენიოთ ყველა ის პირი, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება (მინიმუმ ბაკალავრის დიპლომი) და რომელიც ცხოვრობს საზღვარგარეთ ერთ წელზე დიდხანს.

აღნიშნული ტიპის მიგრაციის მოსახსენიებლად ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოიყენება: "Brain drain", "intellectual migration", "migration of the highly skilled" ანუ ტერმინები: ინტელექტის გადინება, ტვინთა გადინება, ინტელექტუალური მიგრაცია და მაღალ კვალიფიციური კადრების მიგრაცია. ეს ტერმინებიც ძირითადად შეგვიძლია, რომ სინონიმებად მივიჩნიოთ. თვითონ მიგრანტები კი აღიწერებიან, როგორც: ინტელექტუალური მიგრანტი, ერუდირებული მიგრანტი, საუნივერსიტეტო განათლების მქონე მიგრანტი და სხვა. ამ ტერმინებს ჩვენი კვლევის ფარგლებში სინონიმებად ვიყენებთ.

მიუხედავად იმისა, რომ ინტელექტუალური მიგრანტების ძირითადი მოტივატორი მათი ეკონომიკური რეალობაა, ტვინთა გადინება არ უნდა გავაიგივოთ შრომით მიგრაციასთან. შრომითი მიგრანტი არის პირი, რომელსაც უცხოეთში სურს პროფესიული მოღვაწეობა. ტვინთა მიგრაცია კი ეხება მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებსაც მინიმუმ ბაკალავრის წოდება (ან მასთან გათანებრებული განათლება) აქვთ მიღებული.

მეცნიერები თანხმდებიან, რომ გრძელვადიან პერაპექტივაში ტვინთა გადინებას უარყოფითი გავლენა აქვს ინტელექტუალურ ემიგრაციას მიგრანტების წარმოშობის ქვეყანაზე (Parkhomenko, 2014; Carling, Schewel, 2017; Srivastava, 2018 და სხვ.).

თუმცა, ზოგიერთი მეცნიერის აზრით არსებობს "ტვინთა მიგრაციის" ორი შესაძლო "სცენარი":

საუკეთესო სცენარი: განათლებული პირი ტოვებს ქვეყანას, სადაც მისი განვითარებული უნარ-ჩვევები ვერ გამოიყენება და იღებს საკუთარი განვითარების შესაბამის სამუშაოს და მაღალ ხელფასს, იმ სფეროში და იმ ქვეყანაში, სადაც არის

(ქარბი) მოთხოვნა ამ სფეროს პროფესიონალებზე. ემიგრანტი გზავნის თავის შემოსავლის ნაწილს თავის ოჯახში (გზავნილების სახით). არის ალბათობა, რომ ის შემდგომში დაბრუნდეს სამშობლოში, კიდევ უფრო განვითარებული უნარებით და იპოვოს მაღალანაზღაურებადი სამსახური (Pérez-Armendáriz, Crow, 2010; Mundra, 2014, Wang, 2015).

ცუდი სცენარი: ახალგაზრდა, რომელსაც აქვს განვითარებული უნარ-ჩვევები, მაგრამ დაბალი ხელფასი ტოვებს სამშობლოს. უცხოეთში კი ის თანხმდება რანგით ნაკლებ- მაგრამ უფრო მაღალანაზღაურებად სამუშაოს. ამ დროს ემიგრანტი განიცდის უნარების ე.წ. ეროზიას, ანუ დაქვეითებას (Galgoczi, Leschke, Watt, 2009).

დღეს ინტელექტუალური სამუშაო ძალის გადინება მოექცა არამხოლოდ კონკრეტული სახელმწიფოების არამედ, ისეთი საერთაშორისო ინსტიტუტების ყურადღების ქვეშ, როგორც არის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD), გაერო და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ ისტორიის განმავლობაში ინტელექტუალური ძალის ემიგრაციას ფართო მეცნიერული გამოხმაურება არ ჰქონდა. დღეს სხვადასხვა საერთაშორისო ინსტიტუტები თავის პარტნიორ სახელმწიფოებთან ერთად ყოველდღიურად უფრო მეტ დროს უთმობენ აღნიშნული საკითხის შესწავლას.

*საკვლევი თემის აქტუალობა.* ბოლო ერთი საუკუნის განმავლობაში ტექნოლოგიურმა და ინდუსტრიულმა განვითარებამ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეებს მისცა უცხოეთში მუშაობის და განვითარების საშუალება. 2019 წლის საერთაშორისო მიგრაციის ორგანიზაციის მონაცემებით მიგრანტების რიცხოვნობამ მსოფლიოს მასშტაბით უკვე 272 მილიონი ადამიანი შეადგინა (IOM, 2019).

ინტელექტუალური მიგრაციის ნაკადების მასობრივი ზრდა დაიწყო 1960-იან წლებში. სწორედ მაშინ, შეირჩა აღნიშნული მოვლენისთვის სახელი: ტვინთა გადინება. ტერმინი, ხაზს უსვავდა ინტელექტუალური მიგრაციის უარყოფით შეფასებას და შედეგებს. გამოცდილ ადამიანურ რესურსებზე მოთხოვნის ზრდამ ტვინთა გადინებისადმი ინტერესი გააღვივა და ის დღემდე იპყრობს მკვლევარების ყურადღებას. ემიგრანტების დონორი ქვეყნებისათვის განსაკუთრებულად მტკივნეული და

ფინანსურად წაგებიანი არის ინტელექტუალური პირების ემიგრაცია, რადგან ასეთ პიროვნებებს თავიანთი გონებრივი შესაძლებლობებით თავიანთი სამშობლოსათვის სიმდიდრის მოპოვება შეუძლიათ.

ინტელექტუალური სამუშაო ძალის გადინების ფაქტები მოექცა არამხოლოდ განვითარებადი ქვეყნების არამედ, ე.წ. სუპერ სახელმწიფოების და ისეთი ინტერნაციონალური ინსტიტუტების ყურადღების ცენტრში, როგორც არის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია.

ერუდირებულ პირთა მიგრაცია მუდმივი და გარდაუვალი პროცესია, რომელიც ბოლო საუკუნეში გლობალიზაციის, ტექნოლოგიების და ტრანსპორტის საშუალებების განვითარების პარალელურად- განსაკუთრებით დაჩქარდა. გამოკვეთილია ტვინთა გადინების მზარდი ტენდენციები, როგორც გლობალურად, ასევე საქართველოში. თუმცა, სრულყოფილი ინფორმაცია ინტელექტუალური მიგრაციის მოტივაციაზე, ტენდენციებზე და საქართველოში არსებულ მდგომარეობაზე (განსაკუთრებით რეგიონულ, გენდერულ და ასაკობრივ ჭრილში) არ მოიპოვება. აღნიშნულ ფაქტების და ინტელექტუალური რესურსების კრიზისის თავიდან ასაცილებლად მნიშვნელოვანია ინტელექტუალური მიგრაციის და მისი შემადგენელი ზოგიერთი დეტალის სწორი ანალიზი და შეფასება.

*კვლევის მიზანი.* ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კვლევის მიზანია თანამედროვე საერთაშორისო და ქართული ინტელექტუალური მიგრაციის ნაკადების თავისებურებების შესწავლა და მათი შედარებით ანალიზი.

ნაშრომის მიზნების მისაღწევად დასახული იქნა შემდეგი ამოცანები:

1. თანამედროვე საერთაშორისო მიგრაციულ ნაკადებზე დაკვირვება;
2. წამყვან ინტელექტუალური მიგრანტების გამგზავნ ქვეყნებში არსებული ტვინთა გადინების გამომწვევი ინდივიდუალური მიზეზების და თავისებურებების დადგენა;
3. ტვინთა გადინების ზეგავლენა ემიგრანტების ექსპორტიორი და იმპორტიორი ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაზე;

4. იმ სოციალური, ფსიქოლოგიური და ეკონომიკური მიზეზების გაანალიზება, რომელიც იწვევს განათლებული ემიგრანტების გადაადგილებას;
5. განათლებული პირების სხვა სახელმწიფოებში მიგრაციის დადებითი და/ ან უარყოფითი ეფექტების გამოკვლევა (გამგზავნი ქვეყნებისთვის);
6. სოციოლოგიური კვლევების ჩატარება და მათი მეშვეობით ემიგრანტების, საქართველოში მათი ახლობლების და ემიგრაციის მსურველი მოქალაქეების გამოკითხვა;
7. არსებული უახლოესი სტატისტიკური მონაცემებით და ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვების მეშვეობით საქართველოდან ტვინთა გადინების თავისებურებების შესწავლა;
8. სოციოლოგიური კვლევების ანალიზის საშუალებით ქართული ინტელექტუალური მიგრაციის, მისი მიმართულებების, დემოგრაფიული სტრუქტურის (ასაკობრივი და სქესობრივი) და თავისებურებების განსაზღვრა;
9. ექსპერტთა გამოკითხვის შედეგად გაირკვეს ტვინთა გადინების ეფექტი განვითარებულ და განვითარებად ქვეყნების ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაზე და შესწავლილი იქნას საქართველოს, როგორც ემიგრანტთა გამგზავნი და/ან მიმღებ სახელმწიფოს თავისებურებები.

*კვლევის საგანი და ობიექტი.* სადისერტაციო ნაშრომის კვლევის საგანია ინტელექტუალური მიგრაციის გამომწვევი მიზეზების ანალიზი, მათი გავლენა საერთაშორისო და ქართულ ინტელექტუალური მიგრანტების ნაკადებზე და თავისებურებებზე.

ნაშრომის კვლევის *ობიექტს* კი წარმოადგენს საერთაშორისო და ქართული ინტელექტუალური მიგრანტების ნაკადები, მათი მიმართულებები და თავისებურებები, მიგრაციის გამომწვევი მიზეზების შესაბამისად.

*საკვლევი საკითხები.* კვლევის მიზნიდან გამომდინარე, ჩვენ განვსაზღვრავთ შემდეგ ძირითად ამოცანებს:

- 1) ქართველი და უცხოელ მოქალაქეების დამოკიდებულება ტვინთა მიგრაციის მიმართ- ემიგრაციის მთავარი მოტივაცია;
- 2) იმ სახელმწიფოების ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური განვითარების დონეების ცალკეული ასპექტების შესწავლა, რომლებშიც ინტელექტუალური მიგრაციის პრობლემა მძვინვარებს;
- 3) საქართველოში და უცხოეთში არსებული "ტვინთა გაცვლის" დემოგრაფიული სტრუქტურა (ასაკობრივი, სქესობრივი, რეგიონული, საერთაშორისო) და ტენდენციების თავისებურებების შესწავლა;
- 4) რა დადებითი თუ უარყოფითი ასპექტები აქვს ინტელექტუალურ მიგრაციას. თუ რომელი (პოზიტიური თუ ნეგატიური) დეტალი გადაწონის გრძელვადიან პერიოდში მეორეს, ჩვენნაირი პატარა, განვითარებადი ქვეყნისთვის;
- 5) ინტელექტუალური მიგრაციის ძირითადი ნაკადების და მიმღები სახელმწიფოების გავლენის დადგენა ინტელექტუალ მიგრანტების კულტურაზე.

*კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები.* სადისერტაციო ნაშრომის კვლევის მეთოდოლოგია ეყრდნობა იმ პრინციპებისა და ხერხების ერთობლიობას, რომლების ახდენენ ინტელექტუალური მიგრაციის პრობლემების კვლევის ორგანიზებას. კერძოდ, კვლევაში გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების და ანალიზის, რაოდენობრივი ანალიზის გრაფიკული წარმოდგენის, შედარებითი ანალიზის, ანკეტური კვლევისა და სხვ. *მეთოდები.*

ამასთან, ტვინთა გადინების გამომწვევი მიზეზების, მიგრაციული ნაკადების მიმართულებების, არსებული პრობლემების და თავისებურებების დასადგენად გამოვიყენეთ ქართველ ქართულ და უცხოელ ავტორთა, რ. ახესაძის, რ. ასათიანის, ლ. ბახტაძის, ლ. ბერიძის, თ. ბერიძის, ი. გაგნიძის, გ. ერქომაიშვილის, რ. გველესიანის, ს. დანელიას, ი. გოგორიშვილის, რ. გოგოხიას, ნ. დამენიას, ა. თავხელიძის, მ. კობალავას, ზ. ლალიაშვილის, თ. ლაზარიაშვილის, ლ. ლაბაძის, თ. ზუბიაშვილის, ნ. კაკულიას, მ. ლობჯანიძის, გ. მამარდაშვილის, ნ. მაღლაფერიძის, ე. მექვაბიშვილის, ვ. პაპავას, ა. სულაბერიძის, ლ. სურმანიძის, მ. ტუხაშვილის, რ. ფუტყარაძის, მ. ჩავლეიშვილის, გ.

წულაძის, ნ. ჭელიძის, მ. ჭიკაშვილის, ნ. ხადურის, ე. ხარაიშვილის, ა. ალაჰვერანოვის, ს.ჯ. ალის, ა. არიუს, რ. ათოიანის, გ.ს ბეკერის, რ. ბრაუნის, ბ. გალგოცზუის, ს. გელბის, ჯ. გოშის, ჯ. დევანცოს, თ. დეივისის, ჰ. დე ჰაასის, პ. დე ვრეიერის, პ. დებნათის, ს. დენიერის, ს. ელ იამანის, ქ. ენლოის, გ. ეფშტეინის, ჯ. ვაჰბას, დ. ვანგის, ჰ. ვანგის, ზ. ვანგის, ა. ზაიცევას, ლ. თოტის, ჯ. თომლისონის, ა. თორბატის, ს. კამიაბის, ნ. კარიმის, მ. კავარის, პ. კაზმიერკიევიცჟის, დ. კილინგის, გ. ლოუს, მ. ლეონ- ლედესმას, პ. ლევიტის, ლ. ლინდსის, მ. ლუს, ჯ.ს მაკდონალდის, ს. მაშინის, ა. მოჰსენი- ჩერალოუს, დ. ნევენის, ჩ. ოზდენის, კ. პეკკალას, ც. პერეზ- არმენდარიზის, ე.მ პეტრას, გ. პოგოსიანის, ი. პრიმაჩენკოს, ქ. რალეის, ც. რამირეზის, ე.გ რავენშტეინის, ფ. რენოს, ე. რუბიანო- მატულევიჩის, კ.პ სოვანტის, ლ.ა. სიასტადის, ა. სურკეს, ქ. ტაის, ა. შაფერის, მ.ტ. შტეგერის, ბ.ს ჯავორჩიკის, ს. ჰაკიმზადეჰის, ნ.უ ჰაქის და სხვათა ნაშრომები.

ნაშრომი ასევე ეყრდნობა საკვლევ პრობლემაზე საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახურის, ეროვნული ბანკის სტატისტიკური მონაცემებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების (World Bank, UN, UNESCO, Eurostat, International Monetary fund და სხვა) მიერ გამოქვეყნებული უახლესი წლების ანგარიშების მიმოხილვებს და კრიტიკული ანალიზს.

ქართული ინტელექტუალური მიგრაციის თავისებურებების დასადგენად შეიქმნა სოციოლოგიური კითხვარები. ისინი შედგენილია კორელაციის "დიზაინით" და შედგებოდა ღია, დახურული, სემანტიკური და მრავალჯერადი არჩევანის (multiple choice) კითხვებისაგან, კვლევის ფარგლებში გამოიკითხა საქართველოში მცხოვრები 497 რესპონდენტი და 71 ემიგრანტი, რომლებსაც აქვთ უმაღლესი განათლება. რესპონდენტები შეირჩნენ, როგორც თბილისში ასევე, რეგიონებშიც. ემიგრანტების გამოკითხვის შედეგად შესაძლებელი გახდა დეტალურად შეგვესწავლა ქართული ემიგრაციის ნაკადების ტენდენციები. მიღებული ინფორმაცია დამუშავდა სტატისტიკური ანალიზის მეთოდის გამოყენებით.

გარდა სოციოლოგიური კვლევებისა, ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე ჩატარდა ინტერვიუ 31 ქართველ და უცხოელ ექსპერტთან. შეიქმნა კითხვარი, რომელიც



შედგება 28 კითხვისგან და მას სახელმწიფო უწყებებში, საერთაშორისო ორგანიზაციებში და ქართულ უნივერსიტეტებში მოღვაწე პროფესიონალებმა უპასუხეს. თითოეული ინტერვიუ დაახლოებით 1 საათი გაგრძელდა.

*სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა.* ინტელექტუალური მიგრაციის სხვადასხვა პრობლემა თავის ნაშრომებში გამოკვლეული აქვს სხვადასხვა მეცნიერს, მათ შორის განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი:

1) ბოერი, ტ., ბრუკერი, ჰ., დოკიერი, ფ. და რაპაპორტი, ჰ. 2012. ტვინთა გადინება და მიღება. ოქსფორდი: ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა (Boeri, T., Brücker, H., Docquier, F. and Rapoport, H. 2012. *Brain Drain And Brain Gain*. Oxford: Oxford University Press).

ავტორები განიხილავენ განვითარებულ სახელმწიფოებში არსებულ საემიგრაციო კანონმდებლობას, პროცედურებს და ეკონომიკური პოლიტიკის იმ დეტალებს, რომელიც მიმართულია მსოფლიოს გარშემო არსებული საუკეთესო ტალანტების მოზიდვისაკენ. მოცემულია თუ რა ეკონომიკურ სარგებელი შეიძლება მაღალკვალიფიკაციური ემიგრანტებმა მოუტანინ მიმღებ ქვეყნებს.

ავტორების მიერ ჩატარებული კვლევების შედეგად დგინდება, რომ განვითარებულ ქვეყნებში მიგრანტების დასახლება მოკლე ვადაში ზრდის ქვეყანაში არსებული ინვესტიციების რაოდენობას და კაპიტალის დაგროვების ეფექტს.

ასევე, წიგნში განხილულია თუ რა სავარაუდო მიზეზები უბიძგებს მაღალკვალიფიციურ მიგრანტთა გადაწყვეტილებებს და თუ სად სურთ მათ შემდგომში ცხოვრების გაგრძელება.

2) ბორხასი, გ. ჯ. 2014. იმიგრაციის ეკონომიკა. კემბრიჯი, მასაჩუსეტის: ჰარვარდის უნივერსიტეტის გამომცემლობა (Borjas, G. J. 2014. *Immigration Economics*. Cambridge, Mass.: Harvard University Press).

ავტორი მოცემულ წიგნში წარმოადგენს განახლებულ ემპირიულ ინფორმაციას ემიგრაციაზე და დეტალურად განიხილავს სხვადასხვა თეორიასა და მოდელს,

რომლებიც გამოიყენება საერთაშორისო შრომითი ნაკადების მიზეზების და შედეგების დასადგენად.

წიგნში ასევე განხილულია თუ როგორ ხდება მიგრანტთა ასიმილაცია მიმღები ქვეყნის საზოგადოებასთან, თუ როგორი გავლენა აქვს საერთაშორისო მიგრაციას შრომით ბაზრებზე და მიგრანტთა შრომით ანაზღაურებაზე.

- 3) კოლიერი, პ. 2013. ექსოდუსი: როგორ ცვლის მიგრაცია ჩვენ მსოფლიოს? ოქსფორდი: ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა (Collier, P. 2013. *Exodus: How Migration Is Changing Our World?*. Oxford: Oxford University Press).

წიგნში განხილულია თუ რა მოტივები ახალისებს მიგრაციის პროცესებს და რა ზეგავლენას ახდენს "ტვინთა გაცვლა" ეკონომიკის განვითარებაზე და სიღარიბის დაზღვევაზე. მასში ყურადღება გამახვილებულია დიასპორების როლზე, თუ როგორ უმარტივებენ ისინი ადამიანს მიგრაციაში წასვლას და ახალ გარემოსთან ადაპტირებას. შედარებითი ანალიზის საშუალებით ირკვევა, რომ რაც უფრო დიდია სახელმწიფოში დიასპორა, მით ნაკლებად ადაპტირებიან ემიგრანტები ახალ გარემოსთან. თუმცა, ადაპტირების დროს არა მხოლოდ დიასპორის სიდიდეს არამედ, მიმღები ქვეყნის კულტურასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. კვლევების მიხედვით დგინდება, რომ ის ქვეყნები, სადაც მულტიკულტურიზმის ხელშემწყობი მიგრაციის პროცედურებია (მაგალითად აშშ) ბევრად მარტივად ადაპტირებადია ემიგრანტებისთვის, ვიდრე არალიბერალური კულტურის მქონე სახელმწიფოები.

წიგნში ყურადღება ასევე, გამახვილებულია მულტიკულტურალიზმის და გლობალიზაციაზე, რომელსაც ემიგრაცია ხელს უწყობს.

- 4) ოზდენი, ც., ვაგნერი, მ., პაკარდი, მ.დ. 2018. მოძრაობა კეთილდღეობისთვის. ვაშინგტონი: მსოფლიო ბანკის ჯგუფი (Ozden, C., Wagner, M., and Packard, M.D., 2018. *Moving For Prosperity*. Washington, DC: World Bank Group).

წიგნში წარმოდგენილია მტკიცებულებებზე დაფუძნებული ემიგრაციის გამომწვევი ეკონომიკური და სოციალური მიზეზების ანალიზი. ნაშრომში მიმოხილულია გლობალური ინტელექტუალური მიგრაციის ნაკადები, ნაკადების

მიმართულების განმსაზღვრელი ფაქტორები და ტვინთა გადინების გავლენა, როგორც მიმღებ ასევე, "გამგზავნ" ქვეყნებზე.

მსოფლიო ბანკის ექსპერტების მიერ ჩატარებული ანალიზების მიხედვით ირკვევა, რომ ტვინთა გადინების ტენდენციებმა ცვლილებები განიცადეს უკანასკნელი 70 წლის განმავლობაში. კონკრეტულად: 1) გაიზარდა ინტელექტუალი მიგრანტების რაოდენობა მსოფლიოს გარშემო; 2) მოხდა ინტელექტუალი მიგრანტების წარმომავლობის დივერსიფიცირება. აღნიშნულ ფაქტს ხელი შეუწყო 1990-იანი წლების დასაწყისში სსრკ-ს დაშლამ და ტრანსპორტის ტექნოლოგიების განვითარებამ. მაშასადამე, 1960-იან წლებთან შედარებით, დღეს მსოფლიო შრომით ბაზარზე წარმოდგენილია უფრო მეტი ეროვნების ინტელექტუალი მიგრანტები; 3) გაიზარდა ქალთა ტვინთა გადინება განვითარებადი სახელმწიფოებიდან, რაც დაკავშირებულია ქალთა ემანსიპაციის ტენდენციებთან განვითარებულ სახელმწიფოებში და 4) ბოლო 30 წლის განმავლობაში ხდება განათლებული ემიგრანტების დამატებითი კონცენტრაცია OECD ქვეყნების დიდ ქალაქებში. მსოფლიო ბანკის ინფორმაციით ინტელექტუალი მიგრანტების 2/3 ცხოვრობს და მოღვაწეობს OECD-ს ტერიტორიაზე.

- 5) ტუხაშვილი მ., შელია მ., ზუბიაშვილი თ. და ჭელიძე ნ. 2012. სამშობლოში დაბრუნებული მიგრანტების სოციო-ეკონომიკური პრობლემები. Tukhashvili, M., Shelia, M., Zubiashvili T., and Chelidze N. 2012. Socio-Economic Problems Of Return Migration In Georgia. Tbilisi.

ქართველი ავტორების მიერ გამოცემულ წიგნში, ავტორების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად, შესწავლილია ქართველი მოქალაქეების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობა და დემოგრაფიული სიტუაცია.

ასევე, ჩატარებული გამოკითხვების შედეგად გამოკვლეულია, რა გავლენა ქართველი მიგრანტების სამშობლოს დატოვების მიზეზი, გზავნილების მოცულობა, თუ როგორ გარემოში იმყოფებიან მიგრანტები და მათი ოჯახის წევრები.

აღნიშნული ნაშრომი ასახავს თუ როგორი გავლენა შეიძლება იქონიოს მიგრირებულ ოჯახებზე პოლიტიკურმა არასტაბილურობამ და შედეგად გამოწვეულმა ემიგრაციამ.

- 6) ფაინი, რ. 2019." ფულადი გზავნილები და ტვინების გადინება: აგზავნიან თუ არა წარმატებული ემიგრანტები მეტ თანხებს სამშობლოში? მსოფლიო ბანკის ეკონომიკური მიმოხილვა 21: გვ. 177- 191 (Faini, R. 2019. "Remittances And The Brain Drain: Do More Skilled Migrants Remit More?". The World Bank Economic Review 21 (2): 177–191.)

ავტორი აღწერს თუ რა როლი აქვს გზავნილებს ინტელექტუალი მიგრანტების "ექსპორტიორ" ქვეყნებში. ამასთან, ანალიზის შედეგად დადგენილია, რომ: მიუხედავად თავიანთი ფინანსური მდგომარეობისა, წარმატებული მიგრანტები ნაკლებ ფულს გზავნიან სამშობლოში; წარმატებულ ემიგრანტებს პირველ რიგში უფრო დიდი დანახარჯები აქვთ უცხო ქვეყანაში, ისინი ასევე, უფრო ხშირად ბრუნდებიან თავიანთ სამშობლოში (ახლობლების მოსანახულებლად), რაც ასევე დამატებით ხარჯებთანაა დაკავშირებული და შესაბამისად, მათი ფულადი გზავნილების მოცულობა არ იზრდება. აღნიშნული დასკვნები განსხვავებულად წარმოაჩენს საკვლევ პრობლემის შინაარსს.

ჩამოთვლილი მეცნიერული ლიტერატურის განხილვა კიდევ ერთხელ ხაზს უსვავს იმ ფაქტს, რომ თანამედროვე ქართული და საერთაშორისო ინტელექტუალური მიგრაციის სხვადასხვა ასპექტები, მაგალითად ემიგრაციაში წასვლის თანამედროვე/ უახლესი მიზეზები (მაგალითად გლობალიზაცია, ინტერნეტი, განათლება, "მინის ჭერის" ფენომენი და ა.შ) კომპლექსურად გამოსაკვლევიან. ასევე, საჭიროა შესწავლა თუ როგორ შეესაბამისება ქართული ტვინთა გადინება საერთაშორისო გამოცდილებას და აქვს თუ არა ქართულ ინტელექტუალურ ემიგრაციას რეგიონული თავისებურებები.

- 7) შელინგერი, ა. 2015. ტვინთა გადინება- ტვინთა მიღება: ევროპული შრომითი ბაზარი კრიზისის დროს. ბონი: საერთაშორისო პოლიტიკის ანალიზის ინსტიტუტი,

ფრიდრიხ ებერტ სტიფტუნგის სტამბა. (Schellinger, A. 2015. Brain Drain - Brain Gain: European Labour Markets In Times Of Crisis. Bonn: International Policy Analysis, Friedrich-Ebert-Stiftung).

ნაშრომში განხილულია: მაღალკვალიფიციური ემიგრაციის დეტალები, კომპლექსურობა და ჰეტეროგენურობა ევროპულ სახელმწიფოებში; რა მდგომარეობაა ევროკავშირის წევრ ქვეყანებში ტვინთა გადინების მხრივ.

- 8) წულაძე, გ., მაღლაფერიძე, ნ., მამარდაშვილი, გ., სულაბერიძე, ა. 2008. საქართველოს დემოგრაფიული განვითარება: გუმინ, დღეს, ხვალ. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბა.

ნაშრომში განხილულია საქართველოს უახლოესი ისტორია (კონკრეტულად 1960-2006 ) და არსებული დემოგრაფიული პროცესები. დამატებით, გაანალიზებულია, დემოგრაფიული განვითარების რა შესაძლებლობა აქვს საქართველოს 2050 წლის ჩათვლით, ასევე, საქართველოს დემოგრაფიული განვითარების პოტენციალი 2050 წლამდე პერიოდში.

- 9) ჭელიძე ნ. 2006. შრომითი ემიგრაცია პოსტსაბჭოთა საქართველოში. თბილისი: გამომცემლობა ლეგა.

ნაშრომში განხილულია ქართველების შრომითი ემიგრაციის მიზეზები, ძირითადი მიმართულებები და ორგანიზების ფორმები. აქცენტი გაკეთებულია ჩატარებულ კვლევაზე, რომლის მიხედვითაც შეფასდა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე უცხოეთში მყოფი შრომითი მიგრანტების შეგუების დონე ახალ გარემოსთან, მათი სამუშაო ანაზღაურება და გზავნილების გავლენა მათ ოჯახებზე ეკონომიკური კრიზისების დროს.

- 10) ჰატონი, ტ. ჯ., ვილიამსონი, ჯ.გ. 2010. მასობრივი მიგრაციის საუკუნე. ნიუ ორკი: ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა (Hatton, T. J, and Williamson, J.G. 2010. The Age Of Mass Migration. New York: Oxford University Press).

წიგნში გაანალიზებულია ისეთი საკითხები: როგორ ირჩევენ ემიგრანტები თავიანთ ახალ საცხოვრებელ მიმართულებებს? არის თუ არა ინტელექტუალური და შრომით მიგრაციის საერთაშორისო ბაზრები სეგმენტირებული? ემიგრანტები

ნამდვილად "პარავენ" სამუშაო ადგილობრივებს? რა გავლენა იქონიეს ემიგრანტებმა მასპინძელი ქვეყნების შრომით ანაზღაურებასა და ცხოვრების სტანდარტზე?

*სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიახლეები და ინოვაციურობა.*  
ინტელექტუალური მიგრაციის ნაკადები - "ტვინთა გადინების" მოტივაცია, ტენდენციები, განხილული ქვეყნების (ჩინეთი, ინდოეთი, ირანი, საქართველო და სხვ.) მაგალითზე, კომპლექსურად გამოკვლეული არ არის და წინამდებარე კვლევა სწორედ ამ პრობლემის კომპლექსურად კვლევის მცდელობას ეძღვნება. მიგრაციის დადებითი და უარყოფითი ასპექტების/ ეფექტების ალტერნატივების შედარების, ადგილობრივი მოსახლეობის, ქართველი მიგრანტების და ექსპერტთა გამოკითხვების და სხვ. თეორიული და პრაქტიკული საკითხის შესწავლის შედეგად მიღებულია კვლევის შემდეგი შედეგები:

1. დადგენილია "ტვინთა გადინების" მთავარ დონორ ქვეყნებსა და საქართველოში არსებული ინტელექტუალური მიგრაციის საერთო და განსხვავებული მახასიათებლები, მათ შორის: სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით საქართველოში, ინტელექტუალური მიგრანტების სქესობრივი დისბალანსი თავიდანვე - 1990-იანი წლების დასაწყისიდან - გამოიკვეთა, უცხოეთში კი ტვინთა გადინების მზარდი "ფემინიზაცია" განსაკუთრებით ბოლო 15 წელში გაძლიერდა;
2. სოციოლოგიური კვლევების შედეგად გამოვლინდა ქართული პოტენციური და რეალური/ ამჟამინდელი "ტვინთა" მიგრაციის დემოგრაფიული და რეგიონული თავისებურებები, როგორცაა: სხვადასხვა მიზნით მიგრაციის მოტივაცია რეგიონების მიხედვით; მიგრაციისადმი ნეგატიური დამოკიდებულების შეცვლა; ქართველი ემიგრანტი ქალები უფრო მეტად მიილტვიან, ქალთა უფლებების თვალსაზრისით შედარებით უკეთესად დაცულ ქვეყნებში (ფინეთი, უნგრეთი და ა.შ.);
3. რეგიონში მაცხოვრებლები ერთხმად აღიარებენ, რომ ემიგრანტების წასვლის შემდეგ მათი ოჯახების ცხოვრების დონე გაუმჯობესდა;

4. დადგინდა საქართველოს რეგიონებიდან და დედაქალაქიდან პოტენციური ემიგრაციის ძირითადი კერები; მიგრანტებისათვის ამერიკა არის ყველაზე სასურველი დანიშნულების ქვეყანა მაშინ, როდესაც რუსეთი, ჯამში გამოკითხულთა 1%-ისთვის არის მიმზიდველი; აჭარაში მცხოვრებთა 35%-ს სურს აშშ-ში, ხოლო 23%-ს გერმანიაში ცხოვრება; სამეგრელო-ზემო სვანეთში კი გამოკითხულებს ძირითადად სურთ ჩეხეთში და/ან გერმანიაში და ასევე აშშ-ში ემიგრაცია;
5. კონკრეტული ბიზნეს-პროექტებით ქვეყანას შეუძლია მოკლევადიანი პერიოდით ჩამოსული იმ ემიგრანტების დასაქმება, რომლებიც დეფიციტურ სპეციალობებს ფლობენ. ქვეყნის ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ასევე, შესაძლებელია უცხოელი სტუდენტების და პენსიონერი ემიგრანტების მოზიდვა, რისთვისაც საჭიროა გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურების შექმნა და უნივერსიტეტების კიდევ უფრო აქტიური მონაწილეობა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში.

*ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა* გამოიხატება იმაში, რომ კვლევის

შედეგების გამოყენება შესაძლებელია:

1. ინტელექტუალური მიგრაციის ნაკადების, გამომწვევი მიზეზების, ტენდენციების პრობლემების კვლევით დაინტერესებული სპეციალისტებისათვის;
2. უმაღლეს სასწავლებლებში საერთაშორისო ეკონომიკის, საერთაშორისო ურთიერთობების და/ან მიგრაციის სალექციო კურსების სწავლებისას;
3. ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისთვის.

*ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა.* სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს კომპიუტერზე ნაბეჭდ 192 გვერდს, თავფურცლისა და ბიბლიოგრაფიის გარეშე კი- 150 გვერდს. იგი შედგება შესავალის, სამი თავისა და დასკვნისაგან, რომელსაც თან ახლავს გამოყენებული ლიტერატურის სია. დამატებით წარმოდგენილია 7 ცხრილი, 41 ნახაზი და სამი დანართი.

შესავალში (პირველი თავი) განხილულია კვლევის აქტუალობა, მიზანი, საგანი და ობიექტი, სამეცნიერო ლიტერატურა, ჰიპოთეზა და საკვლევი საკითხები, შედეგები და მეცნიერული სიახლეები და პრაქტიკული მნიშვნელობა.

ნაშრომის პირველ თავში განხილულია ინტელექტუალური მიგრაციის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები. კონკრეტულად, გაანალიზებულია ინტელექტუალური მიგრაციის სტრუქტურა და ტვინთა გადინება სხვადასხვა ეკონომიკური თეორიის კრილში. აღნიშნული ანალიზის შესაბამისად დადგინდა, რომ სიტუაციის შესაბამისად ანალიზის დროს უპირატესია გამოვიყენოთ სხვადასხვა თეორიები. ამავე თავში ასევე, განხილულია თუ რა მეთოდოლოგიური მდგომარეობაა საერთაშორისო ინტელექტუალური მიგრაციის დასადგენად.

ნაშრომის პირველი თავში განსაზღვრულია, განსაზღვრული ინტელექტუალური მიგრაცია და მისი გამომწვევი მიზეზები, ინტელექტუალური მიგრაციის ზოგადი ტენდენციები, კონკრეტულად კი საქართველოში, ჩინეთში, ინდოეთში და ირანში მიმდინარე პროცესები; ემიგრაციის გამომწვევი მიზეზები -ეკოლოგია, გლობალიზაცია, ინფორმაციული ტექნოლოგიები, სექსიზმი, განათლება, კორუფცია.

თანამედროვე სტატისტიკიკურ მასალებზე დაყრდნობით გაანალიზებულია: ინტელექტუალური მიგრაციის ზოგადი ტენდენციები, მიგრაციის მაღალი მაჩვენებლები ჩინეთსა და ირანში. საქართველოს, ინდოეთის, ჩინეთის და ირანის მაგალითები ადასტურებენ, რომ მიგრაციას არამხოლოდ ქვეყანაში არსებული ფინანსური სიტუაცია, არამედ, მრავალი სხვა ეკონომიკური, სოციალური თუ ადამიანური ფაქტორიც უწყობს ხელს. ასევე, პიროვნების კულტურა, განათლება, ფსიქოლოგიაც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მიგრაციაზე.

სხვადასხვა ლიტერატურული წყაროს მიხედვით ბოლო დროს სულ უფრო აქტუალური ხდება მიგრაციის შემდეგი მიზეზები:

1. ეკოლოგიური ცვლილებები: 21-ე საუკუნის მთავარ გამოწვევად ეკოლოგიის შენარჩუნება და გლობალური დათბობის შეჩერება ითვლება. მეცნიერებმა



დაასკვნეს, რომ სხვადასხვა ბუნებრივი კატაკლიზმები იწვევს სხვადასხვა ხანგრძლივობის მიგრაციას. მაგალითად, ეთიოპიაში გვალვის დროს ახალგაზრდები ტოვებენ თავიანთ კერებს და მიემგზავრებიან კვების ბანაკებში და/ან ურბანულ დასახლებებში;

2. გლობალიზაცია: ინტერნაციონალური ორგანიზაციები და მულტიეროვნული კომპანიები კადრების გეოცენტრიული ძებნის სისტემის განვითარებას უწყობენ ხელს, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი ეძებენ ინტელექტუალებს მთელ მსოფლიოს გარშემო;
3. ტექნოლოგიური განვითარება: არსებული სიახლეების გაცვლის წყაროს მეშვეობით ადამიანს აქვს შანსი მიიღოს ინფორმაცია საემიგრაციო პროცედურებზე და ასევე, მოძებნოს სამსახური უცხოეთში სახლიდან გაუსვლელად;
4. ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობა;
5. სექსიზმი: გოგონებს, რომლებიც საზოგადოების სრულყოფილ წევრებად არ აღიქვამენ თავს. უფრო მეტად უჩნდებათ თავიანთი რეალობის შეცვლის სურვილი. ამის ნათელი მაგალითია ირანის რევოლუცია და განათლებულ ქალ მიგრანტთა ნაკადი, რომელმაც დატოვა ქვეყანა;
6. განათლება: განვითარებად ქვეყნებში უმაღლესი განათლება ვერ გამოიყენება ადამიანის მიერ თავისი შემდგომი პროფესიონალური და პიროვნული ზრდისთვის. კარგი განათლება არ ნიშნავს კარგ სამსახურს და ამიტომ, მრავალი ინტელექტუალი ტოვებს თავის ქვეყანას;
7. კორუფცია: ბოლო წლებში ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო, რომ ემიგრაციასა და კორუფციას შორის დადებით კორელაციაა. განათლებული ადამიანები ტოვებენ კორუმპირებულ გარემოს და ემიგრაციაში მიდიან, ხოლო საერთაშორისო მიგრანტები კი თავს არიდებენ მსგავს ქვეყნებში ცხოვრებასა და შრომას.

*მეორე თავში* განხილულია ინტელექტუალური ემიგრაციის დადებითი და უარყოფითი მხარეები: დადებითი მხარეებიდან განხილულია - განათლება, ინოვაციების გავრცელება, მოქალაქეთა დაბრუნება, ფულადი გზავნილები; უარყოფითი

შედეგებიდან განხილულია - ადამიანური კაპიტალის შემცირება, ტექნოლოგიური განვითარების შეფერხება, სტაბილურობის შენარჩუნების სირთულე, დაკარგული ინვესტიციები.

ემიგრანტების მიერ შექმნილი განათლება, ინოვაციების გავრცელება, სამშობლოში დაბრუნება და ფულადი გზავნილები მოხსენებულია ინტელექტუალური მიგრაციის დადებით მხარედ, რომელიც ეხმარება "გამგზავნ" ქვეყანას განვითარებაში. ადამიანური კაპიტალის შემცირება, ტექნოლოგიური განვითარების შეჩერება, სტაბილური სიტუაციის შენარჩუნება და დაკარგული ინვესტიციები კი ტვინთა მიგრაციის უარყოფითი ასპექტებია, რომლებიც ნაშრომში გაანალიზებულია სამეცნიერო ლიტერატურის და საერთაშორისო ორგანიზაციების სტატისტიკურ წყაროებზე დაყრდნობით.

სადისერტაციო ნაშრომის *მესამე თავი* განხილულია "საქართველოში ინტელექტუალური მიგრაციის შედეგები და პერსპექტივები". აღნიშნული თავი ეფუძნება სოციოლოგიური კვლევის შედეგებს, კერძოდ: საქართველოს მოქალაქეთა სოციოლოგიური კვლევის შედეგების ანალიზს, ექსპერტთა რეკომენდაციების ანალიზს და ა.შ. მასში წარმოდგენილია სადოქტორო კვლევის პირობებში ჩატარებული გამოკითხვები, რომელთა მიზანია ქართული ინტელექტუალური მიგრაციის გამომწვევი მიზეზების და ეროვნული თუ რეგიონული თავისებურებების გარკვევა იყო.

პირველ სოციოლოგიურ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო საქართველოში მცხოვრებმა 497- მა მოქალაქემ, რომლებსაც მინიმუმ ბაკალავრის დიპლომი აქვთ მიღებული. მოპასუხეები შეირჩა, როგორც თბილისის ასევე რეგიონების მასშტაბითაც. აღნიშნული კვლევის მიზანი იყო, დაედგინა თუ რა რეგიონული თავისებურებები და დემოგრაფიული სტრუქტურა აქვს პოტენციურ და არსებულ ქართულ "ტვინთა" ემიგრაციას. კვლევის მეშვეობით დადგინდა ზოგიერთი ისეთი ტენდენცია, როგორცაა:

1. რეგიონებში, ისევე როგორც დედაქალაქში მოქალაქეების უმეტესობას განხილული აქვს მიგრაცია, როგორც უკეთესი მომავალის შესაძლებლობა;

2. ემიგრაციისას ქართველი მიგრანტები (სქესის მიუხედავად) არჩევენ ისეთ ქვეყნებში ცხოვრებას, სადაც ნაცნობი ემიგრანტი ჰყავთ და სხვა ;

მეორე გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 71 ემიგრანტმა, რომლებიც ცხოვრობენ და მოღვაწეობენ უცხოეთში. გამოკითხვის შედეგად შესაძლებელი გახდა გაგვეანალიზებინა თუ რა მახასიათებლების მქონეა ქართული ინტელექტუალური ემიგრაცია. გამოვლინდა ზოგიერთი ისეთი მახასიათებელი, როგორცაა: 1) ენის ცოდნა არის პირველი კულტურის ასპექტი, რომელსაც ყურადღებას აქცევენ ქართველი ემიგრანტები; 2) მამაკაცებისთვის მნიშვნელოვანია ლეგალურად დასაქმების პერსპექტივა, ხოლო ქალი ემიგრანტები კი დამატებით ყურადღებას აქცევენ კულტურის ელემენტებს; 3) რეგიონებიდან უცხოეთში წასული ემიგრანტები უფრო დიდი სიხშირით ინარჩუნებენ ურთიერთობას ქართულ დიასპორასთან ვიდრე თბილისელები და ა.შ.

რაც შეეხება მესამე გამოკითხვას, აღნიშნული კითხვარის მოპასუხეები გახლდნენ პროფესიონალი ექსპერტები. გამოკითხვის მეშვეობით შესაძლებელი გახდა დადგენილიყო ისეთი საკითხები, როგორც არის: 1) გაიზრდება თუ არა მომავალში განათლებული მიგრანტების რაოდენობა? 2) შეიცვალა თუ არა ქართველი ემიგრანტების უცხოეთში დასაქმების სტანდარტი? 3) კულტურის რა ასპექტები აძლევთ განათლებულ ემიგრანტებს მოტივაციას, რომ კონკრეტულ ქვეყანაში მიგრირდნენ ? და ა.შ.

*ნაშრომის აპრობაცია და პუბლიკაცია.* სადისერტაციო კვლევის ცალკეული ასპექტები მოხსენდა 4 საერთაშორისო კონფერენციაზე, როგორც საქართველოში ასევე, უცხოეთში:

- 1) პაატა გუგუშვილის ინსტიტუტის 75 და ჟურნალ ეკონომისტის 10 წლის თავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "მწვანე ეკონომიკის ფორმირების თანამედროვე პრობლემები" (06.2019). მომხსენებელი;
- 2) ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი II საერთაშორისო სამეცნიერო

კონფერენცია: გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში (11.2017). მომხსენებელი;

3) პროფესორ გიორგი წერეთლის დაბადებიდან 65-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: ეკონომიკური განვითარების სტრუქტურული და ინოვაციური პრობლემები (06.2017). მომხსენებელი;

4) Conference on Contemporary Issues in Public Administration in post- Soviet Eurasia, Nazarbayev University Graduate School of Public Policy and Astana Civil Service Hub (10.2018). Invited speaker.

სადოქტორო ნაშრომის ძირითადი დებულებები გამოქვეყნდა 4 რეფერირებად, საერთაშორისო ეკონომიკურ ჟურნალში (მათ შორის ერიხპლიუსი ინდექსირებულ ჟურნალში) და კონფერენციების ნაშრომთა კრებულებში, თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ დადგენილი წესების შესაბამისად:

1. სილაგაძე, ს. 2017 ქალთა განათლება 21-ე საუკუნეში: პრიორიტეტები, წინაღობები და რეკომენდაციები. კონფერენცია ეკონომიკური განვითარების სტრუქტურული და ინოვაციური პრობლემები, კრებული. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი პაატა გუგუშვილის სახელობის ინსტიტუტის გამომცემლობა, გვ. 517-525. [http://pgie.tsu.ge/contentimage/konferenciebi/2017\\_.pdf](http://pgie.tsu.ge/contentimage/konferenciebi/2017_.pdf).
2. სილაგაძე, ს. 2017. გლობალური მიგრაციით სამუშაო ძალის უთანაბრო გადანაწილება და მისი უარყოფითი ასპექტები". კონფერენცია გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში, კრებული. თბილისი: თსუ-ს გამომცემლობა, გვ. 437-442. [https://www.tsu.ge/data/file\\_db/economist\\_faculty/global.pdf](https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/global.pdf).
3. სილაგაძე, ს. 2019. კლიმატური ცვლილებები და ემიგრაცია. კონფერენცია მწვანე ეკონომიკის ფორმირების თანამედროვე პრობლემები, კრებული. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი პაატა

- გუგუშვილის სახელობის ინსტიტუტის გამომცემლობა, გვ. 584-588.  
<http://www.pgie.tsu.ge/contentimage/konferenciebi/conf.kreb.2019.pdf>.
4. სილაგაძე, ს. 2019. უმაღლესი განათლება და მიგრაცია: ახალგაზრდების მიგრაციის ზოგიერთი ასპექტი. ჟურნალი ეკონომისტი Vol. XV, ტომი 2. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი პაატა გუგუშვილის სახელობის ინსტიტუტის გამომცემლობა, გვ. 144-148.  
<http://ekonomisti.tsu.ge/doc/2-2019.pdf>.
  5. სილაგაძე, ს. 2019. ქალთა მიგრაციის ასპექტები და გენდერული უთანასწორობა. ჟურნალი ახალი ეკონომისტი N 1-2 (52-53).თბილისი: გამომცემლობა ლოი, გვ. 68-52.  
<http://loi.ge/media/pdf/Eko-1-2-2019.pdf>.
  6. Silagadze, S. 2019. Youth Employment and Education: The Realities of European Union and Georgia . Ecoforum Journal, Vol.8, Issue 3.  
<http://www.ecoforumjournal.ro/index.php/eco/article/view/1011/617>.
  7. Silagadze, S. 2019. Aspects Of The Educational Migration To Georgia. Elixir International Journal, Vol. 7. [https://www.elixirpublishers.com/articles/1564489839\\_ELIXIR2019066511.pdf](https://www.elixirpublishers.com/articles/1564489839_ELIXIR2019066511.pdf).

სადისერტაციო ნაშრომმა აპრობაცია გაიარა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის, საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრაზე (31 იანვარი, 2020) და რეკომენდირებულია საჯარო დაცვისთვის.

## **თავი 1. ინტელექტუალური ემიგრაციის კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები**

### ***1.1 ინტელექტუალური მიგრაციის ფენომენი და მისი ძირითადი ცნებები***

ინტელექტუალური მიგრაციის ფენომენი საუკუნეებია რაც არსებობს. ტვინთა გადინების პრობლემა ანტიკურ საბერძნეთშიც კი აწუხებდათ, რადგან ყველა ერუდიტი პიროვნება და/ან განათლების მიღების მსურველი ათენისკენ მიემართებოდა. თუ მიგრაცია ადრე რჩეულ პროფესიონალთა ხვედრი იყო

გლობალიზაციის პირობებში ტვინთა გადინება ყოველწლიურად იზრდება, რადგან სურვილის შემთხვევაში ადამიანებს ეძლევათ საშუალება გაიუმჯობესონ თავიანთი ცხოვრების დონე.

ინტელექტუალური მიგრაცია იყოფა ორ ნაწილად: ტვინთა გადინება (როდესაც ადგილობრივი განათლებული მოქალაქეები ტოვებენ ქვეყანას) და "ტვინთა შემოდინება" (უცხოეთიდან ერუდირებული პირები მიგრირდებიან ქვეყანაში სამუშაოდ და საცხოვრებლად). თუ ქვეყნიდან უფრო მეტი ტვინი გაედინება, ვიდრე შემოდინება, ეს ნიშნავს, რომ აღნიშნული სახელმწიფო არის ინტელექტუალების ექსპორტიორი და აქვს ტვინთა გაცვლის "ნეგატიური სალდო". მაშასადამე, ქვეყნიდან უფრო მეტი განათლებული ადამიანი გაედინება, ვიდრე შემოდინება.

განვითარებული ქვეყნები უმეტეს შემთხვევაში დაინტერესებულნი არიან ტვინთა შედინებით და განათლებული ემიგრანტებისგან პირდაპირი ეფექტების მიღებით (როგორცაა ინოვაციების განვითარება, ეკონომიკის აღმავლობა და ა.შ). თუმცა, ინტელექტუალურ მიგრაციას შესაძლოა საკმაოდ უარყოფითი გავლენა ჰქონდეს ერუდირებული მიგრანტების სამშობლოზე.

სპეციალისტთა უმეტესობა აღნიშნავს (მაგ. Economou, 1993; Docquier et al., 2014; UN, 2016 და სხვ.) , რომ ტალანტების "იმპორტიორი" ქვეყნებისთვის ტვინთა გადინებას მოკლე ვადიან პერსპექტივაში შესაძლოა ჰქონდეს დადებითი ეფექტი რადგან ამ დროს ადგილი აქვს ინოვაციების, ტექნოლოგიების და უნარების გაცვლას. გრძელვადიან პერიოდში კი ინტელექტუალურ მიგრაციას შეიძლება ისეთი უარყოფითი შედეგი ჰქონდეს, როგორცაა: ადამიანური კაპიტალის შემცირება, ინოვაციების განვითარების სტაგნაცია და ა.შ. სწორედ აღნიშნული თვისებების გამო ტვინთა გადინება მრავალი მეცნიერის ინტერესს იწვევს და უმეტეს შემთხვევებში ტერმინი "ინტელექტუალური მიგრაცია" ტვინთა გადინების მოვლენასთან ასოცირდება.

გარდა ინტელექტუალური მიგრაციის ეფექტებისა მნიშვნელოვანია, რომ გაანალიზებული იყოს მიგრაციის გამომწვევი მიზეზები. გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ მიგრაცია აქტუალური განხილვის საგანი გახდა მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში,

მას რამოდენიმე თეორია განიხილავს. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული თეორიები ტვინთა მიგრაციის საკითხს ცალკეულად არ განიხილავენ, მიზანშეწონილია მიგრაციის სხვადასხვა თეორიის სინთეზური გამოყენება (კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით).

ზოგიერთი თეორია თავისებურად ხსნის საერთაშორისო მიგრაციისა და ადამიანთა გადაადგილების მიზეზებს. მაგალითად:

1. გერმანელი გეოგრაფი ერნსტ რავენშტაინი პირველი მეცნიერია, რომელმაც თავის დაკვირვების შედეგად ჩამოაყალიბა მიგრაციის "თერთმეტი კანონი", თავის წიგნში "მიგრაციის კანონები": 1) ქვეყნებს შორის მიგრანტთა გადანაწილება მუდმივად ხდება; 2) მიგრანტთა უმეტესობა საცხოვრებელი ქალაქიდან შორს არ მიდის; 3) ქვეყნები ერთმანეთისგან ძირითადად განსხვავდებიან ეკონომიკური განვითარების დონეებით; 4) მიგრაცია ხდება ნაბიჯ- ნაბიჯ, დროთა განმავლობაში; 5) ემიგრანტთა ნაკადს, თან ახლავს მათი უკან დაბრუნებაც; 6) მიგრანტები დიდ მანძილს მიემართებიან მხოლოდ ინდუსტრიულ ქალაქებში მოსახვედრად; 7) ქალაქის მაცხოვრებლები უფრო ნაკლებად მიგრირდებიან ვიდრე პერიფერიაში მცხოვრებლები; 8) დიდი ქალაქების მოსახლეობა მიგრანტების მოდინების გამო იზრდება; 9) მრეწველობის, ვაჭრობის და სატრანსპორტო მიმისვლის განვითარებას თან სდევს მიგრაციის პროცესების გაძლიერებაც; 10) ქალბატონები უფრო აქტიურად მიგრირდებიან ვიდრე მამაკაცები და 11) მიგრაციის ძირითადი მიზეზი ეკონომიკაა (Ravenstein, 1885).

ამრიგად, მიგრაციის შესახებ გერმანელი მეცნიერის ერთ-ერთ პირველ ნაშრომში განხილულია მიგრაციის იმდროინდელი მიზეზები (მათ შორის- ეკონომიკური) და ტენდენციები.

2. ნეოკლასიკური თეორიის მიხედვით ინდივიდები მიგრირდებიან ქვეყნებს შორის უთანაბრო ეკონომიკური განვითარების გამო, ინდივიდუალური შემოსავლის მაქსიმალური გაზრდისათვის (Ranis, Fei, 1961; Harris, Todaro, 1970;

Todaro, 1976). მიგრაციის მოდელი მთლიანად ფოკუსირდება შრომით ბაზარზე, შემოსავლების და ქვეყნის ეკონომიკური დონეების დიფერენციაზე;

3. მიზიდულობა- განზიდულობის თეორია განიხილავს იმ სავარაუდო მოტივატორებს, რომლებიც "ეხმარებიან" ინდივიდებს ქვეყნიდან მიგრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში. ამ თეორიის მიხედვით ემიგრანტებისათვის "მიმზიდველი" ფაქტორებია მაგალითად: მშვიდი პოლიტიკური სიტუაცია, ეკონომიკის განვითარების მაღალი დონე, სტაბილური სამსახურის პოვნის საშუალება. "განმზიდავი" ფაქტორებად კი მოხსენიებულია: მაღალი უმუშევრობის დონე, განუვითარებელი ეკონომიკა და ა. შ. (Nikolic, 2002);
4. მიგრაციული ქსელის თეორია ფოკუსირებას ახდენს ადამიანურ ურთიერთობაზე, რომელიც არსებობს მიგრანტებსა და მათ სამშობლოში დარჩენილ ახლობლებსა და მეგობრებს შორის. ასეთი მიდგომით, მიგრაციისას ინდივიდი ითვალისწინებს თუ რომელ ქვეყანაში იმყოფებიან ნაცნობი დიასპორის წევრები. მაშასადამე, მიგრანტები ანვითარებენ ქსელებს, რომელიც უადვილებს სხვა მიგრანტებს ასიმილაციას (Magobunje, 1970; Faist, 2000; Vertovec, 2002; Dustmann and Glitz, 2005);
5. მიგრაციის ახალი ეკონომიკური თეორია ეყრდნობა აზრს, რომ მიგრაციის გადაწყვეტილებას არამხოლოდ ცალკეული ინდივიდები არამედ, მათი ოჯახის წევრები იღებენ. ამ შემთხვევაში, მიგრაციის მთავარი მიზანია, რომ მოხდეს ოჯახის შემოსავლების გამრავალფეროვნება და ამ გზით ფინანსური "წარუმატებლობის" რისკების შემცირება (ქვეყანაში არსებული განუვითარებელი ეკონომიკის და ფინანსური ინდუსტრიის გამო) (Stark, 1984, 1991; Katz and Stark, 1986; Taylor, 1986);
6. შრომითი ბაზრის თეორია: ჩამოყალიბდა 1980-იანი წლების დასაწყისში პიორეს მიერ. ამ თეორიის მიხედვით, საერთაშორისო მიგრაცია ეს არის სამუშაო ბაზრის ნორმა თანამედროვე ინდუსტრიულ საზოგადოებაში. როდესაც ქვეყნის ეკონომიკა ვითარდება, ადგილობრივი მცხოვრებლები აღარ თანხმდებიან მეორად სექტორში დასაქმებაზე არასტაბილური ხელფასის და მცირე



პროფესიული ზრდის შესაძლებლობების გამო. შესაბამისად, მეორედ სექტორში ჩნდება მუდმივი მოთხოვნა "ნაკლებ პრეტენზიულ" უცხოურ სამუშაო ძალაზე (რომლებიც ძირითადად განვითარებად ქვეყნებში ცხოვრობენ) (Piore, 1979).

აღნიშნული თეორიის მიხედვით სამუშაოს პოზიციის "თამასუქი" განსაზღვრავს არა მხოლოდ სამსახურის მოთხოვნადობას, არამედ, ის გამოხატავს მის პრესტიჟულობას და სოციალურ სტატუსს (Piore, 1979);

7. მსოფლიო სისტემების თეორია ამტკიცებს, რომ მსოფლიო (ან ქვეყანა) დაყოფილია ორ ნაწილად: ცენტრად და პერიფერიადად. გლობალიზაცია აჩქარებს მიგრაციის პროცესს, რადგან წარმოიქმნება ახალი მეგაპოლისები, რომელშიც ჩნდება მოთხოვნა მიგრანტების სამუშაო ძალის მიღებაზე (რომლებიც პერიფერიაში ცხოვრობენ). კაპიტალიზმის შესაბამისად იცვლება პერიფერიების სტრუქტურაც (Wallerstein, 1989);

8. ადამიანური კაპიტალის თეორია პირველია, რომელიც განიხილავს განათლებას, როგორც მიგრაციის სავარაუდო მოტივაციას. აღნიშნული თეორიის მიხედვით ისეთმა ადამიანურმა რესურსმა/ კაპიტალმა, როგორიც არის განათლება, შესაძლებელია გავლენა მოახდინოს მიგრირებაზე და ინდივიდის სავარაუდო შემოსავალზე. ცოდნა და უნარები ხელს უწყობს მაღალ პროდუქტიულობას და ხარისხს. მაშასადამე, განათლების მიღება იგივე ფინანსური ინვესტიციაა, რადგან ერუდიციას აქვს თავისი ფასი და დანახარჯების უკუგების შესაძლებლობა. ამ ლოგიკით მიგრაციაც კი გარკვეულწილად ინვესტიციად განიხილება.

მიგრაციისას თითოეული ადამიანი იღებს რაციონალურ გადაწყვეტილებას, რომ დატოვოს თავის ქვეყანა, იმ შემთხვევაში თუ განათლებაში ინვესტირებას ექნება ფინანსური უკუგება (Borjas, 1990). გარდა, მიგრაციის ფინანსური ასპექტებისა თეორია ითვალისწინებს მიგრაციის ისეთ არამატერიალურ დეტალებს როგორცაა: ახლობელ ადამიანებთან დაშორება, კულტურასთან ასიმილაციის უნარი და ა.შ.

ანალიზის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თანამედროვე რეალობაში არ არსებობს ეკონომიკური თეორია, რომელიც სრულად ახსნის ტვინთა გადინების

მიზეზებს. მაშასადამე, ინტელექტუალური მიგრაციის ანალიზის დროს უპირატესია გამოვიყენოთ სხვადასხვა თეორიები.


რაც შეეხება ტვინთა გადინების მეთოდოლოგიურ საკითხებს აღსანიშნია, რომ არ არსებობს ერთიანი საერთაშორისო სისტემა ინტელექტუალ მიგრანტთა რაოდენობის და მახასიათებლების შესახებ ინფორმაციის შესაგროვებლად. ერუდირებული ემიგრანტების "იმპორტიორი" ქვეყნები, როგორც წესი, არ აგროვებენ ინფორმაციას ემიგრანტების შესახებ, ხოლო მიმღები ქვეყნები კი ხშირად იყენებენ განსხვავებულ განმარტებებს ინტელექტუალურ მიგრაციასთან დაკავშირებით.

არსებული სტატისტიკური მონაცემების უმეტესი ნაწილი და ემპირიული ანალიზი დაფუძნებულია მიგრანტების მიმღები ქვეყნების მიერ მოპოვებულ ე.წ. census data-ზე ანუ მოსახლეობის აღწერაზე. ამ მეთოდით მიგრანტების იდენტიფიცირებისთვის იყენებენ დაბადების ქვეყნის ინფორმაციას. ხშირ შემთხვევაში აღნიშნული ტიპის ინფორმაციაში აღწერილია თუ რა დონის განათლება აქვს მიგრანტს, მაგრამ არ არის ნახსენები თუ რომელ ქვეყანაში მოიპოვა მან განათლების ხარისხი.

## ***1.2 ინტელექტუალური მიგრაციის ზოგადი ტენდენციები***

ბოლო მონაცემებით საერთაშორისო მიგრანტების რაოდენობამ მსოფლიოს გარშემო 272 მილიონს მიაღწია. მიგრანტების ნახევარი ცხოვრობს ევროპაში (82 მილიონი) და/ან ჩრდილოეთ ამერიკაში (59 მილიონი). ემიგრანტების 2/3 ნაწილი 20 ქვეყანაში არის გადანაწილებული. მიგრაციის ყველაზე აქტუალური დანიშნულების ქვეყნებია: აშშ (რომელიც ისტორიულად ითვლება მოწინავე მიგრანტების მიმღებ ქვეყნად), გერმანია, საუდის არაბეთი, რუსეთის ფედერაცია, გაერთიანებული სამეფო და არაბთა გაერთიანებული საამიროები (ნახაზი 1). უახლესი მონაცემებით, ამერიკაში ბინადრობს 51 მილიონი მიგრანტი, რაც მსოფლიო მიგრანტების 19%-ია. შეერთებულ შტატებში ყველაზე დიდი რაოდენობით ბინადრობენ მიგრანტები მექსიკიდან (11,5 მილიონი), ჩინეთიდან (2.9 მილიონი) და ინდოეთიდან (2.7 მილიონი) (UN DESA, 2019).

ნახაზი 1. საერთაშორისო მიგრანტების სტატისტიკა, 2000-2019 წ.



შედგენილი და დაანგარიშებული: UN DESA. 2019. International Migration 2019. [online] Un.org. Available at:

[https://www.un.org/en/development/desa/population/migration/publications/wallchart/docs/MigrationStock2019\\_Wallchart.pdf](https://www.un.org/en/development/desa/population/migration/publications/wallchart/docs/MigrationStock2019_Wallchart.pdf). (05.12.2019).


რაც შეეხება საერთაშორისო მიგრანტების წარმომავლობას, 2019 წელს მოქალაქეები ყველაზე დიდი ოდენობით ტოვებდნენ ინდოეთს (17.5 მილიონი ემიგრანტი), მექსიკას (11.8 მილიონი ემიგრანტი), ჩინეთს (10.7 მილიონი ემიგრანტი) და რუსეთს (10.5 მილიონი ემიგრანტი) (Migration Policy Institute, 2019).

მაღალკვალიფიციური პირების მიგრაცია საერთაშორისო მიგრაციული ნაკადების განუყოფელი ნაწილია (Brandi, 2001). გაეროს ინფორმაციით, უმაღლესი განათლების ხარისხის მქონე მიგრანტთა რიცხვი 1990- 2010 წლებში 120 პროცენტით გაიზარდა. სხვა, დაბალი განათლების დონის მქონე მიგრანტების ზრდამ კი 40% შეადგინა (იგივე დროის პერიოდში)(UN DESA, 2019) .

მეცნიერთა დაკვირვებებით დგინდება, რომ განათლებული მოქალაქეები უფრო აქტიურად ტოვებენ სამშობლოს ვიდრე მათი განათლების არ მქონე თანამოქალაქეები.

განვითარებული ეკონომიკა და მცირე რაოდენობის მოსახლეობა ხელს უწყობს მიგრაციის გადაწყვეტილებას.

ნახაზი 2. ტვინთა გადინება ეკონომიკური განვითარების და მოსახლეობის ზომის შესაბამისად, 1990-2000 წ.



შედგენილი და დაანგარიშებული: Docquier, F., B. L. Lowell, and A. Marfouk, 2009 (01.12.2019)

გაეროს მონაცემების მიხედვით განვითარებადი ქვეყნებიდან ინტელექტუალურ მიგრაციას მზარდი ტენდენცია აქვს. ამავე წყაროს ინფორმაციით, 2000-2010 წლებში განვითარებადი ქვეყნებიდან მიგრირებული ინტელექტუალური მიგრანტების 2/3 ნაწილი განვითარებულ ქვეყნებში განაგრძობდა მოღვაწეობას, როგორც არის ამერიკა, კანადა, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და ავსტრალია (ცხრილი 1).

ცხრილი 1. ინტელექტუალი მიგრანტების სტატისტიკა, 2000-2010 წ.

მიმღები ქვეყანა	ინდიკატორი	საწყისი პერიოდი (A)	უახლესი პერიოდი (B)	რესპონდენტები		ცვლილება (B/A: %)
				A	B	
აშშ	რეზიდენტები უმაღლესი განათლებით 15 განვითარებადი ქვეყნიდან (2 000 წელს განვითარებადი ქვეყნებიდან მიგრირებული ინტელექტუალების 91%)	2000	2010	381 425	681 485	78.70 %
	ინტელექტუალ არარეზიდენტებზე (განვითარებადი ქვეყნების მოქალაქეები) გაცემული ვიზების რაოდენობა	1998-2000	2008-2010	1 289	1 364	5.90%
კანადა	განვითარებად ქვეყნებში დაბადებული მუდმივი რეზიდენტები	1999-2001	2009-2011	15 590	22 813	43%
	განვითარებადი ქვეყნებიდან მიგრირებული სტუდენტები	1999-2001	2009-2011	1 514	2 406	58.90 %
გაერთიანებული სამეფო	განვითარებადი ქვეყნების მოქალაქეები სამუშაო ვიზით	2004	2009	676	1 581	133.90 %
	განვითარებადი ქვეყნების მოქალაქეები პირველი დონის (მაღალკვალიფიციური მუშაკებისთვის) და მეორე დონის (კვალიფიციური მუშახელის) ვიზებით	2009	2010	788	1 077	36.70 %
საფრანგეთი	განვითარებადი ქვეყნების მოქალაქეებზე გაცემული ვიზების რაოდენობა	2004-2005	2007-2008	324	1 214	274.70 %
	განვითარებადი ქვეყნების მოქალაქეებზე გაცემულისტუდენტური ვიზების რაოდენობა	2004-2005	2007-2008	4 841	4 446	-0.08%

ავსტრალია	განვითარებადი ქვეყნებიდან საცხოვრებლად მიგრირებული ინტელექტუალი მიგრანტები	2000- 2001	2010 - 2011	964	1 121	16.30 %
-----------	--	---------------	-------------------	-----	-------	------------

შედგენილი UNCTAD. 2013. *Mobilizing the Diaspora: From Brain Drain to Brain Gain. The Least Developed Countries Report 2012.* [online] New York: United Nations. [https://unctad.org/en/PublicationChapters/ldcr2012\\_ch4\\_en.pdf](https://unctad.org/en/PublicationChapters/ldcr2012_ch4_en.pdf) (01.12.2019).

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის 2011 წლის ანგარიშის მიხედვით OECD-ს ქვეყნების ტერიტორიაზე ყველაზე მეტი ინტელექტუალი მიგრანტი გადმოვიდა საცხოვრებლად: 1) ინდოეთიდან; 2) ჩინეთიდან და 3) ფილიპინებიდან (ცხრილი 2).

ცხრილი 2. ემიგრანტები OECD-ში წარმომავლობის ქვეყნის და რეგიონის მიხედვით, 2010-2011 წ

წარმოშობის ქვეყანა და რეგიონი	მთლიანი მოსახლეობა			
	ემიგრანტები (ათასი)	უმალესი განათლების მქონე ემიგრანტების რაოდენობა	ემიგრაციის სიხშირე	ინტელექტუალები ს. ემიგრაციის სიხშირე
<b>აფრიკა</b>	<b>10 490</b>	<b>2 856</b>	<b>2.4</b>	<b>10.8</b>
მიროკო	2 630	392	9.9	14.6
ალჟირი	1 504	306	5.5	9.2
ნიგერია	540	281	1.6	11.6
სამხრეთ აფრიკა	507	94	5.8	8.9
ტუნისია	395	193	0.7	3.2
ეგვიპტე	337	103	2.2	14.3
კენია	255	108	1.1	12.8
სენეგალი	248	48	3.1	14
ზიმბაბვე	193	89	2.3	43.6
კონგო	190	60	0.5	6.5
კამერუნი	159	66	1.5	14.7
კოტ დ'ივუარი	140	39	1.2	5.2
მაგრიკი	132	42	11.7	41
სუდანი	97	31	0.4	3
უგანდა	9	45	0.6	7.6
<b>აზია</b>	<b>26 329</b>	<b>10 436</b>	<b>0.9</b>	<b>3.3</b>
ჩინეთი	3 862	1 655	0.4	1.8
ინდოეთი	3 441	2 080	0.4	3.2
ფილიპინები	2 854	1 417	4.5	7.4
თურქეთი	2 550	251	4.3	3.7
ვიეტნამი	1 879	524	2.8	10.3
სამხრეთ კორეა	1 453	637	3.4	3.5
პაკისტანი	1 088	378	1	5.5
ყაზახეთი	935	134	7.4	6
ირანი	845	424	1.5	4
იაპონია	660	371	0.6	0.9
ერაყი	555	151	2.7	6.1
შირი ლანკა	553	168	3.2	5.7
ბანგლადეში	528	179	0.5	3.2
ტაილანდი	515	153	1	2.6
ავღანეთი	347	71	1.8	4.8
<b>ევროპა</b>	<b>32 759</b>	<b>9 270</b>	<b>5</b>	<b>5.3</b>
გაერთიანებული სამეფო და ჩრდ. ირლანდია	3 505	1 384	6.5	10.8
პოლონეთი	3 195	884	8.9	15.5
გერმანია	3 162	1 168	4.2	8.4
რუმინეთი	2 643	483	12.7	18.4
იტალია	2 309	401	4.4	7.9
რუსეთის ფედერაცია	1 953	660	1.6	1
პორტუგალია	1 492	147	14.2	12.9
საფრანგეთი	1 291	573	2.5	5.3
უკრაინა	1 136	433	2.9	2.8
ალბანეთი	977	82	28.7	26.7
ესპანეთი	738	212	1.9	2.3
ნიდერლანდები	728	284	5	8.3
ირლანდია	679	227	16.1	17.4
საბერძნეთი	655	143	6.4	5.8
სერბეთი	562	61	6.1	6.1
<b>ჩრდ. ამერიკა</b>	<b>2 406</b>	<b>1 164</b>	<b>0.9</b>	<b>0.8</b>
აშშ	1 224	590	0.5	0.5
კანადა	1 163	566	3.9	5.4
<b>ოკეანია</b>	<b>1 314</b>	<b>422</b>	<b>4.4</b>	<b>4.8</b>
ახალი ზელანდია	538	164	13.9	8.8
ავსტრალია	317	157	1.8	2.6
ფოჯი	159	46	20.5	31.3
ტონგა	46	6	40.9	44.1
პაპუა ახალი გვინეა	29	11	0.7	17.9
<b>ლათინური ამერიკა და კარიბის ზღვის აუზის კუნძულები</b>	<b>25 837</b>	<b>4 399</b>	<b>5.7</b>	<b>7.4</b>
მექსიკა	11 249	867	12.1	6
ელ სალვადორი	1 228	125	19.5	19.6
კოლომბია	1 217	365	3.4	10.5
კუბა	1 205	345	11.4	20.2
ეკვადორი	1 140	160	10.3	8.3
ბრაზილია	998	267	0.7	2.4
დომინიკის რესპუბლიკა	996	168	12.6	11.9
იამაიკა	920	272	32.3	46.3
პერუ	833	252	3.8	5.3
გუატემალა	807	79	8.9	17.2
ჰაიტი	665	157	10.2	73.9
არგენტინა	583	223	1.9	5.6
ჰონდურასი	523	62	9.3	13.8
ვენესუელა	419	200	2	4
გიანა	354	109	39.2	92.7

შედგენილი OECD. 2013. World Migration In Figures. <https://www.oecd.org/els/mig/World-Migration-in-Figures.pdf>. (28.11.2019).

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ინფორმაციის მიხედვით, G20 ქვეყნებში მცხოვრები ემიგრანტების თითქმის 30% -ს ჰქონდა უმაღლესი განათლება (2015/16 წლებში). მიგრანტების განათლების დონე განსხვავებული იყო მათი წარმომავლობის შესაბამისად. ყველაზე განათლებული მიგრანტები ინდოეთიდან, ინგლისიდან, ფილიპინებიდან და ჩინეთიდან არიან(ცხრილი 3) (OECD, 2019).

აღნიშნული ორგანიზაციის ვარაუდით 2050 წლისთვის კიდევ უფრო მეტი განათლებული ემიგრანტი იცხოვრებს OECD-ს ტერიტორიაზე და იმ ახალგაზრდა მიგრანტების (25-34 წ.) წილი კი, ვისაც მინიმუმ ბაკალავრის წოდებაც არ აქვს, შემცირდება. მაშასადამე, არსებობს მოლოდინი, რომ ტვინთა გადინება კიდევ უფრო რელევანტური და მოთხოვნადი გახდება მსოფლიოს გარშემო.

ცხრილი 3. G20-ში მცხოვრები ემიგრანტების წარმოშობის ქვეყანა, 2019 წ.


დაბადების ქვეყანა	რაოდენობა (ათასი)	% G20 არა-OECD ქვეყნებში	მთავარი დანიშნულების ქვეყანა G20-ში	მიგრანტების უმაღლესი განათლება (%)	ქალები (%)	15-24 წლამდე (%)
მექსიკა	11 697	0	აშშ	9.7%	48%	9.60%
ინდოეთი	6 695	30.4	აშშ	51.0%	42.10%	8.30%
ბანგლადეში	4 885	86.1	ინდოეთი	10.4%	42.10%	8.80%
ჩინეთი	4 641	3.6	აშშ	47.7%	55.10%	16.50%
უკრაინა	4 574	71.5	რუსეთის ფედერაცია	29.3%	55.70%	10%
ფილიპინები	3 964	13	აშშ	48.9%	59.60%	9.20%
პოლონეთი	3 797	1.1	გერმანია	30.4%	54.10%	7.40%
პაკისტანი	3 695	62.4	საუდის არაბეთი	22.9%	40.30%	7.30%
ყაზახეთი	3 558	72	რუსეთის ფედერაცია	18.5%	53.80%	16.10%
გაერთიანებული სამეფო	3 386	1.9	ავსტრალია	48.4%	49.60%	6.70%
რუმინეთი	3 345	0.3	იტალია	21.6%	54.10%	10.80%
გერმანია	3 193	5.6	აშშ	41.0%	55.00%	10.20%
მაროკო	2 815	0.1	საფრანგეთი	16.7%	47.50%	8.70%
თურქეთი	2 395	0.5	გერმანია	13.0%	48.20%	4.80%
რუსეთის ფედერაცია	2 268	0.1	გერმანია	39.4%	59.40%	10.40%
G20 (ჯამი)	143 487	21.6	აშშ	28.8%	51.50%	10.30%
G20 & OECD (ჯამი)	112 431	-	აშშ	32.1%	51.80%	10.30%
G20 & Non- OECD (ჯამი)	31 055	-	რუსეთის ფედერაცია	16.6%	49.80%	12.00%
მსოფლიო (ჯამი)	223 226	49.6	აშშ	-	48.40%	11.20%



შედგენილი OECD. 2019. "2019 International Migration And Displacement Trends And Policies Report To The G20". New York: OECD. <https://www.oecd.org/migration/mig/G20-migration-and-displacement-trends-and-policies-report-2019.pdf>. (1.12. 2019).

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ OECD ტერიტორიაზე უფრო მეტი განათლებული ქალები მიგრირდებიან, ვიდრე მამაკაცები (ნახაზი 3) (OECD, 2019).

ნახაზი 3. OECD-ს ქვეყნების მოქალაქეების და ემიგრანტების განათლების დონე, 2019 წ.



შედგენილი: OECD. 2019. "2019 International Migration And Displacement Trends And Policies Report To The G20". New York: OECD. <https://www.oecd.org/migration/mig/G20-migration-and-displacement-trends-and-policies-report-2019.pdf>. (1.12. 2019).

ევროსტატის მონაცემების მიხედვით, ევროპელი მაღალკვალიფიციური პირების მიგრაცია (ევროპის ტერიტორიაზე) მხოლოდ საგანმანათლებლო და პროფესიული შესაძლებლობებით არ არის განპირობებული. მიგრაციას "ხელს უწყობს" მრავალი პირადი, სოციალურ- ეკონომიკური მიზეზებიც. ევროკავშირის ტერიტორიაზე პროფესიონალურ განვითარებაზე ორიენტირებული მიგრაცია, მხოლოდ ნაწილია

ევროპაში არსებული ინტელექტუალური მიგრაციის. სტატისტიკა გვაჩვენებს, რომ ყველაზე ხშირად ერუდირებული ევროპელები შვედეთში, ირლანდიაში, ესტონეთში და დანიაში გადადიან საცხოვრებლად (ცხრილი 4).

ცხრილი 4. ინტელექტუალი მიგრანტების წილი მიგრანტების საერთო რაოდენობის მიხედვით ევროპის ქვეყნებში, 2017 წ.

ქვეყანა	ინტელექტუალი მიგრანტების წილი მიგრანტების საერთო რაოდენობასთან
შვედეთი	72.50%
ფინეთი	16.60%
დანია	61.30%
გაერთიანებული სამეფო	50.10%
ირლანდია	61.30%
პოლონეთი	27.80%
ლიტვა	5.50%
ლატვია	38.90%
ესტონეთი	61.30%
რუმინეთი	5.50%
ბულგარეთი	5.50%
უნგრეთი	5.50%
სლოვაკეთი	16.60%
ჩეხეთის რესპუბლიკა	38.90%
ბელგია	50.10%
გერმანია	38.90%
ავსტრია	50.10%
სლოვენია	16.60%
იტალია	16.60%
მალტა	16.60%
ესპანეთი	38.90%
პორტუგალია	27.80%
ნიდერლანდები	50.10%
საფრანგეთი	50.10%
ლუქსემბურგი	38.90%
ხორვატია	16.60%
კვიპროსი	27.80%
საბერძნეთი	16.60%

*შედეგნილი: European Union. 2019. Addressing Brain Drain: The Local And Regional Dimension. European Union, the Committee of the Regions. <https://cor.europa.eu/en/engage/studies/Documents/addressing-brain-drain/addressing-brain-drain.pdf>. (27.11.2019)*

ზემოაღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ:

- 1) ინტელექტუალური მიგრაციის თანამედროვე ტენდენციების მიხედვით განათლებული ადამიანები, არაერუდირებულ თანამოქალაქეებზე მეტად არიან მიმართულნი მიგრაციისკენ. ემიგრაციის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება, როგორც სამშობლოს ეკონომიკური განვითარების და მოსახლეობის რაოდენობის ასევე სხვა არამატერიალური მოტივების გამო (ევროპელების მაგალითზე). ინტელექტუალების უმეტესობა, არჩევს განვითარებულ იმ ქვეყნებში მიგრაციას, რომლებიც ზოგადად ითვლება ემიგრანტების მიმღებ ქვეყნებად.
- 2) ინტელექტუალური მიგრანტები ძირითადად სამ განვითარებულ ქვეყანაში ამჯობინებენ მოღვაწეობის გაგრძელებას. მიგრანტების ექსპორტიორი კი აზიური ქვეყნები - ძირითადად ინდოეთი და ჩინეთი ერუდირებული მიგრანტების ძირითადი ექსპორტიორებია G-20 და OECD-ს ქვეყნებში. ამასთან, გერმანელი და ინგლისელი ინტელექტუალებიც, უკეთესი სამსახურის მიღების იმედით, სხვა განვითარებულ ქვეყანაში მიგრაციას ამჯობინებენ.

### ***1.3 ინტელექტუალური მიგრაციის თავისებურებები სხვადასხვა ქვეყანაში***

ზოგიერთი ქვეყნის მოსახლეობა თავის ნიჭიერებას აქტიურად იყენებს განვითარებულ ქვეყნებში (ცხრილი 3). წლების განმავლობაში ჩინეთი, ინდოეთი და ირანი ლიდერობენ სხვადასხვა საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ გამოქვეყნებულ სიებში, ტვინთა გადინების მაღალი დონით. აღნიშნული განვითარებადი ქვეყნები გამოირჩევიან ინტელექტუალური მიგრაციის გამომწვევი მიზეზების სპეციფიურობით და მრავალფეროვნებით. აქედან გამომდინარე განვიხილოთ ამ ქვეყნების ინტელექტუალური მიგრაციის ძირითადი ტენდენციები.

*ინდოეთი.* ინდოეთს ემიგრაციის დიდი ისტორია აქვს. ძველად ინდოელი მიგრანტების უმეტესობა იყვნენ ვაჭრები, რომლებმაც დაარსეს საცხოვრებელი ბაზები ინდოეთის და წყნარი ოკეანის ტერიტორიაზე, აღმოსავლეთ აფრიკასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. 1990-იანი წლების დასაწყისამდე ინდოელების მიგრაციის დანიშნულების ადგილი ინგლისი გახდა.

ამჟამად, ინდოეთი პირველი ქვეყანაა ემიგრანტების რაოდენობით. 2019 წლის მონაცემებით, ქვეყანა 17.5 მილიონმა მოქალაქეს ჰქონდა დატოვებული. მათი უმეტესობა გადანაწილებულია სამ ქვეყანაში: ამერიკის შეერთებულ შტატებში (2.7 მილიონი), პაკისტანში (1.6 მილიონი) და არაბთა გაერთიანებულ საამიროებში (1.3 მილიონი).

ამერიკაში ინდოელი მიგრანტები, რაოდენობით მესამე ემიგრანტთა ჯგუფს წარმოადგენენ. მეცნიერთა პროგნოზით 2055 წლისთვის აზიელ მიგრანტებს ყველაზე დიდი დიასპორა ექნებათ ამერიკაში. მთლიანობაში, ინდოელი ამერიკელები გამოირჩევიან თავიანთი განათლების დონით. აშშ-ში ინდოელი ამერიკელების 32%-ს აქვს მინიმუმ ბაკალავრის დიპლომი (Pew Research Center, 2015). ასევე, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ქვეყნებში ინდოელი მიგრანტების 51%-ს აქვს უმაღლესი განათლება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ინდოეთი განიხილება, როგორც ინტელექტუალი მიგრანტების ყველაზე დიდი ექსპორტიორი მსოფლიოში. ინდოეთში პასპორტებზე მოთხოვნა ყოველწლიურად იზრდება რადგან ათასობით, კომპიუტერული მეცნიერების ექსპერტი, ინჟინერი თუ ექიმი ცდილობს, რომ ქვეყნის გარეთ იპოვოს სამსახური. მიუხედავად იმისა, რომ ინდოეთის მთავრობა ცდილობს ახალი სამუშაო ადგილები შექმნას, მიგრაციის მცდელობა მუდმივად მზარდია. შესაბამისად, მრავალი კვლევა ტვინთა გადინების შესახებ სწორედ აღნიშნული ქვეყნის სტატისტიკურ მაგალითებზეა აგებული.

მნიშვნელოვანია ავლნიშნოთ, რომ ემიგრანტთა ერთი შეხედვით დიდი რაოდენობა, ინდოეთის მთლიანი მოსახლეობის მხოლოდ მცირე წილს წარმოადგენს.

თუმცა, ქვეყნის მთავრობა მაქსიმალურად ცდილობს, რომ განათლებულ მიგრანტთა რაოდენობა შეამციროს.

ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტების ჭარბი მიგრაცია ინდური ინტელექტუალური მიგრაციის ყველაზე აქტუალური განმასხვავებელი თავისებურებაა.

კომპიუტერული მეცნიერებების განვითარება ინდოეთის პრიორიტეტია. ინდოეთში პირველი ინდური ტექნოლოგიების ინსტიტუტი, მთავრობის ხელშეწყობით, 1956 წელს შეიქმნა. ამჟამად ინდოეთში 23 ტექნოლოგიების ინსტიტუტია. ცნობილია, რომ აღნიშნული უნივერსიტეტის სტუდენტების უმრავლესობა ინსტიტუტის დამთავრებისთანავე მიემგზავრებიან დასავლეთის ქვეყნებში სამუშაოდ და/ან სწავლის გაგრძელებისთვის. 2008 წლის გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ 7 ტექნოლოგიური ინსტიტუტი წლების განმავლობაში 200,000 სტუდენტმა დაამთავრა. თუმცა, გამოკითხვის ჩატარებისას 125,000 კურსდამთავრებული უცხოეთში მოღვაწეობდა (Leslie and Kargon, 2006).

UNDP-ს ვარაუდით ინდოეთიდან წელიწადში 100,000 IT პროფესიონალი ცდილობს ამერიკის სამუშაო ვიზის მოპოვებას. ქვეყანა კომპიუტერული მეცნიერების ექსპერტების მიგრაციის გამო წელიწადში 2 მილიარდ დოლარს კარგავს (UNDP, 2001). კვლევებით დგინდება, რომ ამერიკაში H1-B ვიზის მფლობელების უმეტესობა ინდოელი ემიგრანტები არიან. აღნიშნული ვიზის მეშვეობით ამერიკულ კომპანიებს ეძლევათ საშუალება დაასაქმონ უცხოელი, მაღალი დონის თანამშრომლები ისეთ ინდუსტრიაში (მაგალითად, IT, ფინანსები, არქიტექტურა და ა.შ), სადაც ექსპერტების დეფიციტია (Tremblay, 2002).

სილიკონ ველი (ჩრდ. კალიფორნია), ინტელექტუალი ინდოელი ემიგრანტების წარმატების ადგილი გახდა. 1995- 1998 წლის ჩათვლით სილიკონ ველში სტარტაპების 9% ინდოელმა მიგრანტებმა დააფუძნეს. აღნიშნული კომპანიების 70 % ტექნოლოგიური სტარტაპი იყო (Saxenian, 1999). 2005 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით ამერიკაში 1995 - 2005 წ. დარეგისტრირებული 7,300 ტექნოლოგიური სტარტაპ კომპანიებიდან 26%-ს ინდოელი დამფუძნებელი ან ხელმძღვანელი ჰყავდა.

ინდოეთისთვის (ისევე, როგორც ფილიპინებისთვის) საკმაოდ აქტუალურია სამედიცინო პერსონალის ემიგრაცია ევროპასა და ამერიკაში. სხვადასხვა წყაროს მიხედვით აღნიშნული ფაქტებს პირდაპირი უარყოფითი გავლენა აქვთ ინდოეთის სოციუმზე, რადგან მის პერიფერიებში ექიმების დეფიციტია (OECD, 2019).

ინგლისის კოლონიზაციამ ხელი შეუწყო ინდოეთში ინგლისური ენის და კულტურის გავრცელებას და ათვისებას. შესაბამისად, ინდოელ მოქალაქეებს უმარტივდებათ უცხო, ინგლისურ ენოვან ქვეყნებში ასიმილაცია და მუშაობა (Meyer, 2004).

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ინდოეთიდან ტვინთა გადინება გამოწვეულია განვითარებულ ქვეყნებში გარკვეულ პროფესიებზე არსებულ ჭარბი მოთხოვნით, მისი მოქალაქეების მაღალკვალიფიციურობით და ინგლისური ენის კარგი ცოდნით.

*ჩინეთი.* ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა ყველაზე ხალხმრავალი ქვეყანა არის მსოფლიოში, რომლის კულტურა და ეკონომიკა მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს გლობალურ განვითარებაზე. *2018 წელს ქვეყნის* სამუშაო ძალის რაოდენობა დაახლოებით 788,440,326 მილიონი ადამიანს შეადგენდა (World Bank, 2019). მიუხედავად ამისა, ჩინეთის მოსახლეობა "დაბერების" პროცესშია (შობადობის კანონმა განსაკუთრებული დარტყმა მიაყენა მოსახლეობის გამრავლებას) და ექსპერტების ვარაუდით, ამ ფაქტის გამო, ჩინეთის ეკონომიკის ზრდა კიდევ უფრო მეტად შემცირდება. მსოფლიო ბანკის ინფრომაციით უმუშევრობის დონის მაჩვენებელი 2019 წელს შეადგენდა მთლიანი სამუშაო ძალის 4.4%-ს (Worldbank, 2019) .

1978 წელს ჩინეთის მთავრობამ მოახდინა ლიბერალიზება, რამაც ჩინეთის მოსახლეობას - ქვეყნის შიგნით და გარეთ, თავისუფლად "გადაადგილების" შესაძლებლობა მისცა.

გაეროს 2017 წლის მონაცემებით, მსოფლიოში დაახლოებით 10 მილიონი ჩინელი ემიგრანტი ცხოვრობდა (United Nations, 2017). მათი უმეტესი ნაწილი კერძოდ- 2,423,000 ჩინელი ამერიკის შეერთებულ შტატებში ამჯობინებდა ცხოვრებას. ჩრდილო ამერიკის

ქვეყნებიდან ჩინელები ასევე, ირჩევენ კანადაში (712,000 პიროვნება) ცხოვრებას. დანარჩენი ემიგრანტების უმეტესობა კი სამხრეთ კორეაში, იაპონიაში და ავსტრალიაში ამჯობინებენ გადასვლას.

რაც შეეხება ევროპას, აქ ყველაზე დიდი ჩინური დიასპორა არის წარმოდგენილი ინგლისში (207,000 ადამიანი) იტალიაში- (204,000 ადამიანი) და ესპანეთში (157,000 ადამიანი) (Migration Policy Institute, 2019).

მიგრაციის პოლიტიკის ინსტიტუტის 2018 წლის კვლევების მიხედვით ჩინეთიდან წასვლის ძირითადი მსურველები მაღალი და საშუალო ფენის წარმომადგენლები არიან, რომელთა უმეტესობაც განათლებულია. ჩინეთის ბანკის და ჰურუნის კვლევითი ინსტიტუტის გამოკითხვამ (2011 წ.) აჩვენა, რომ 60% იმ მოქალაქეებისა, რომლებსაც აქვთ მინიმუმ 1.6 მილიონი დოლარის ქონება, სხვა ქვეყანაში მიგრირების შესაძლებლობას განიხილავენ (Bank of China, 2018).

მაღალი წრის წარმომადგენლებს შორის აქტუალურია ინვესტორთა ვიზების შესყიდვა. აღნიშნული ტიპის დოკუმენტის მოპოვება შესაძლებელია უცხო ქვეყანაში უძრავი ქონების შეძენის და/ან რაიმე ბიზნესის დაწყებისას. ცხოვრების სხვა უფლების ვიზებისგან განსხვავებით, ასეთი დოკუმენტის მოპოვება მათთვის სირთულეს არ წარმოადგენს.

2014 წლის მონაცემებით, ამერიკის შეერთებულ შტატებში გაცემული ინვესტორების ვიზების 85% ჩინეთის ყოფილ მოქალაქეებს ეკუთვნოდათ (US Department of Treasury, 2014).

CMB და Bain & Company მიერ გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად, მაღალი ფენის წარმომადგენლებს დამატებით აწუხებთ გარემო, ჰაერი, წყალი და საკვები პროდუქტების ხარისხი, რომელიც ქვეყანაში დაბინძურებული გარემოს შედეგად ყოველდღიურად ზიანდება (Wang, 2019). კვლევების მიხედვით, ჩინეთში 350,000-500,000 მოქალაქე ნაადრევად ილუპება დაბინძურებული ჰაერის ზემოქმედების შედეგად (Chen, Wang, Ma, Zhang, 2013).

ასევე, სტატისტიკური კვლევებით დგინდება, რომ ჩინეთი ერთ-ერთი გლობალური ლიდერია ინტელექტუალურ მიგრანტების რაოდენობით. ჩინეთის მოქალაქეებისთვის განათლება არის ემიგრაციის ძირითადი მიზეზი. შესაბამისად, აღნიშნული ქვეყანა გამოირჩევა სამშობლოს გარეთ მყოფი საერთაშორისო სტუდენტების რაოდენობით. ჩინეთის განათლების სამინისტროს ინფორმაციის მიხედვით ამჟერად 1,454,100 სტუდენტი ცხოვრობს უცხოეთში. 2017 წელს 608,400 ჩინელმა ახალგაზრდამ დატოვა სამშობლო უცხოეთში განათლების მიღების მიზნით (Ministry of Education of the People's Republic of China, 2018).

ამავე წყაროზე დაყრდნობით ირკვევა, რომ ჩინელი სტუდენტები ძირითადად ამერიკაში ან ინგლისში ამჯობინებენ განათლების მიღებას. შეერთებულ შტატებში ჩინელი სტუდენტები საერთაშორისო სტუდენტების უმეტესობას წარმოადგენდნენ 2015-2016 სასწავლო წელს. ამ წლებში 300 000 ჩინელი იღებდა განათლებას ამერიკაში. ამ გზით მათ ეძლევათ საშუალება, რომ სამშობლოში აქტუალურ სოციო-ეკონომიკურ მდგომარეობას გვერდი აუარონ (Deng, 2007). თუმცა, მომავალში შესაძლოა, რომ ნაკლები სტუდენტი გაემგზავროს აშშ-ში ქვეყნებს შორის არსებული დამაბული პოლიტიკური ურთიერთობების გამო.

ჯერ კიდევ 1978 წელს 1.06 მილიონმა ჩინელმა სტუდენტმა დატოვა თავისი სამშობლო უცხოეთში განათლების მისაღებად. ჩინეთის განათლების სამინისტროს ინფორმაციით, ბოლო 40 წელში საზღვარგარეთ განათლება 5 194 900-მა სტუდენტმა მიიღო, მათგან მხოლოდ 3 132 000 ახალგაზრდა დაბრუნდა სამშობლოში საცხოვრებლად (Ministry of Education of the People's Republic of China, 2019).

ამჟამად, სახელმწიფო ცდილობს შემოიღოს ლიბერალური კანონები იმისთვის, რომ უცხოეთში ნასწავლი ახალგაზრდები უკან დაბრუნდნენ სამშობლოში. თუმცა, ქვეყნის გარეთ მცხოვრები დიდი დიასპორის ფარგლებს გარეთ მცხოვრები დიდი დიასპორის გამო, ჩინეთში 2016 წელს, 61 მილიარდი დოლარის ოდენობის ფულადი გზავნილი ჩაირიცხა.



მთლიანობაში, ჩინეთიდან ტვინთა გადინება გამოწვეულია: ეკოლოგიის, პოლიტიკური მდგომარეობის და რაც მთავარია, განათლების გამო; ჩინელი ახალგაზრდებისთვის უცხოეთში მიღებული განათლება, განვითარებულ ქვეყანაში უკეთესი ცხოვრების/მუშაობის წინაპირობაა.

*ირანი.* ირანი მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესი ისტორიის და უნიკალური კულტურის მქონე სახელმწიფოა, რომელიც 1979 წელს განვითარებული რევოლუციის შედეგად დატოვა უამრავმა ინტელექტუალმა. რელიგიური სახელმწიფოს შექმნამ ირანში არსებული სოციალური წყობა დაანგრია და კონსერვატიული საზოგადოება დამატებით ჩარჩოებში მოაქცია.

2019 წლის ივლისის მონაცემებით ირანში 83 122 220 ადამიანი ცხოვრობდა დაა მოქალაქეების საშუალო ცხოვრების საშუალო ხანგრძლივობა 70.89 წელს შეადგენდა. თუმცა, ჩინეთისგან განსხვავებით მოსახლეობის რაოდენობის შემცირების საფრთხე ამჟამად ირანს არ ემუქრება, რადგან სახელმწიფო გამოირჩევა მაღალი შობადობით (World Population Review, 2019).

ირანის ინტელექტუალური მიგრაცია არის საკმაოდ უნიკალური რადგან, უმეტესი ქვეყნებისგან განსხვავებით ემიგრანტების მამომრავებელი მოტივაცია არა ეკონომიკური სიდუხჭირეა არამედ- ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ვითარება. მიგრაციის ისტორიის განხილვისას, ისევე როგორც ეკონომიკური მიმოხილვის ანალიზისას, ექსპერტები გამოყოფენ ორ პერიოდს: შაჰის მმართველობას და რევოლუციის შემდგომ ტენდენციებს. ირანული ტვინთა გადინების პირველმა ტალღამ, დატოვა ირანი 1964 წელს, როდესაც შაჰმა დააფუძნა ახალი პოლიტიკური პარტია. აღნიშნული პოლიტიკური პარტიის მოწინააღმდეგეებს კი ურჩია დაეტოვებინათ სახელმწიფო. შესაბამისად, პოლიტიკურად აქტიურად პირები ემიგრაციაში წავიდნენ.

ემიგრაციის მეორე ტალღა ირანიდან 1975 წელს ქვეყნიდან გაძევებული აიათოლა ხომეინის დაბრუნების შემდეგ- 1979 წლის რევოლუციის შემდეგ დაიწყო. აიათოლას იმდენად არ მოსწონდა ევროპულ ღირებულებებზე დაფუძნებული სასწავლო პროგრამები, რომ 1980 ყველა უნივერსიტეტის დახურვა მოინდომა და "კულტურული"

რევოლუციის ფარგლებში ახალი, რელიგიური კურიკულუმის შედგენა დაისახა მიზნად. მოწინააღმდეგე მეცნიერებს ქვეყნის დატოვება მყისიერად მოუწიათ (Torbat, A., 2002).

1979 წლის რევოლუციის შემდეგ, უნივერსიტეტებში ლექტორების რაოდენობა თითქმის განახევრდა, რადგან სახელმწიფომ ქვეყნის სასწრაფო დატოვება მოთხოვა პროდასავლურ მეცნიერებს. შესაბამისად, მომდევნო 4 წელიწადში პროფესორების რიცხვოვნობა 16,222-დან 9,042-მდე შემცირდა. ასევე, ვარაუდობენ, რომ ქვეყანა 5,000-მა ექიმამც დატოვა რევოლუციისთანავე (Hakimzadeh, S., 2006). როგორც სხვადასხვა მეცნიერული ლიტერატურიდან ვიგებთ მეცნიერთა ტვინთა გადინება კვლავ ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მიგრაციის "ფორმაა" ირანში. ადგილობრივ ექსპერტებს რესურსებზე - თუნდაც ხარისხიან ინტერნეტზე - ხელი არ მიუწვდებათ (Kamyab, 2007; Mohseni- Cheraghlou, 2017; Karimi, Gharaati, 2019). აღნიშნული მიგრაციის ფენომენი იმდენად გავრცელებულია, რომ ირანულ საზოგადოებაში სხვადასხვა ტერმინებიც კი აქვთ შემუშავებული მის დასახასიათებლად.

რელიგიური ჩარჩოები იმდენად მძიმედ მოქმედებს განათლებულ ელიტაზე რომ როგორც საერთაშორისო სავალუტო ფონდის სტატისტიკოსებმა დაადგინეს, ბოლო წლებში ირანს სტანდარტულად 150 000 განათლებული ადამიანი ტოვებს, რაც ირანს დაახლოებით წელიწადში 50 მილიარდით აზიანებს (Carrington, Detrigiache, 1998) .

2011 წელს, ბაკალავრის წოდების მქონე ახალგაზრდების 37.3%-მა გადაწყვიტა ამერიკაში სწავლის გაგრძელება, 6.8%-მა კანადაში, ხოლო 4.3%-მა ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში. ირანელი ოფიციალური პირები მაქსიმალურად ცდილობენ აღნიშნული ახალგაზრდების მასობრივი გადინების ფაქტების დამალვას და სხვადასხვა განცხადებებს აკეთებენ სიმშვიდის შესანარჩუნებლად.

2000 წლის მონაცემებით 34,343 ადამიანი ცდილობდა პოლიტიკური დევნილის სტატუსის მიღებას. 2005 წელს მათი რაოდენობა, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მიხედვით, 111 684-მდე გაიზარდა.

ირანელებს ყველაზე ერთ-ერთი ყველაზე დიდი დიასპორა აქვთ მსოფლიოში და მიუხედავად, იმისა რომ ოფიციალური მონაცემები არ არსებობს. ვარაუდობენ, რომ დაახლოებით 2.4 მილიონი ირანელი სამუშაოდ უცხოეთში იმყოფება, მათგან - 1 მილიონი ლეგალურად. OECD-ის ქვეყნებში მცხოვრები ირანელებიდან ოფიციალურად 25%-ს აქვს ე.წ „მეორადი განათლება“ მიღებული.

ყველაზე დიდი დიასპორა ირანელებს ამერიკაში აქვთ. ამერიკელი ირანელები გამოირჩევიან თავიანთი განათლებით და სიმდიდრით. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით ამერიკაში დაახლოებით 330,000 ემიგრანტია. ირანელ ემიგრანტთა უმრავლესობა ასევე ცხოვრობს კანადასა და გერმანიაში (2015 წ) (Hakimzadeh, 2006).

რაც შეეხება, 2017 წლის მონაცემებს, მსოფლიო მიგრაციის ორგანიზაციის ინფორმაციით 2005 წლის ნაკადების მიმართულება კვლავ შენარჩუნებულია.

შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ირანის ტვინთა გადინების მთავარი გამომწვევი მიზეზი არის პოლიტიკური არასტაბილურობა, რის შედეგადაც ირანი კარგავს დიდი ოდენობით განათლებულ მოქალაქეებს. ხოლო ირანული დიასპორის წარმომადგენლები ეხმარებიან თავიანთ თანამოქალაქეებს, რომ გადაინაცვლონ ისეთ ქვეყნებში საცხოვრებლად, სადაც უკეთესად ცხოვრებას შეძლებენ.

*საქართველო.* ბოლო ათწლეულების განმავლობაში ემიგრაცია საზოგადოებრივი დისკუსიის საკითხი გახდა, რადგან 1990-იანი წლებიდან მოყოლებული მრავალმა ადამიანმა დატოვა თავისი სამშობლო მატერიალური სიდუხჭირის გამო. მათ მიერ გამოგზავნილი ფულადი გზავნილები კი ჩვენი ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი გახდა.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიხედვით, 2019 წელს საქართველოში მცხოვრებთა რაოდენობა 3 723 500-ს შეადგენს, მათგან დასაქმებულია - 1 694 200, უმუშევარი კი 245 700, უმუშევრობის დონეა -12.7%. მოქალაქეთა უმრავლესობა ურბანულ გარემოში ანუ ქალაქებში ცხოვრობს (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2019).

საყურადღებოა, ის ფაქტი, რომ ყოველწლიურად მოქალაქეების მზარდი რაოდენობა ტოვებს ქვეყანას. დაბალი ეკონომიკური განვითარების და შექმნილი არასტაბილური პოლიტიკური ვითარების გამო 1990-იანი წლების შემდეგ საქართველოს მოქალაქეთა დიდი რაოდენობა ემიგრანტი გახდა. თანამედროვე რეალობაში ემიგრაციის საკითხებს არეგულირებს: 1) საქართველოს ორგანული კანონი "საქართველოს მოქალაქეობის შესახებ" (დამტკიცდა საქართველოს პარლამენტის მიერ 30.04.2014-ში); 2) კანონი "საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ" (დამტკიცდა საქართველოს პარლამენტის მიერ 19.12.2008-ში) და 3) კანონი "შრომითი მიგრაციის შესახებ" (დამტკიცდა საქართველოს პარლამენტის მიერ 01.04.2015-ში).

ორგანული კანონი "საქართველოს მოქალაქეობის შესახებ" არეგულირებს მოქალაქეების უფლებათა დაცვას, როგორც საქართველოში ასევე უცხოეთში და აღწერს პროცედურებს თუ როგორ შეიძლება ქართული მოქალაქეობის მოპოვება. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული კანონი ზოგადი სახელმძღვანელოა ნებისმიერი ადამიანისთვის, ვინც საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობს წელიწადში 90 დღეზე მეტხანს (საქართველოს მოქალაქეობის შესახებ, 2014).

"საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ" კანონის მიზანია: *"უზრუნველყოს საქართველოს მოქალაქის უფლება, დატოვოს თავისი ქვეყანა და თავისუფლად დაბრუნდეს უკან, განსაზღვროს საქართველოს მოქალაქეთა საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის წესები და პირობები, აგრეთვე მოაწესრიგოს ამასთან დაკავშირებით წარმოშობილი სხვა ურთიერთობები"* (საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ, 2008) .

კანონი "შრომითი მიგრაციის შესახებ" შექმნილია კონკრეტულად შრომითი ემიგრანტების და იმიგრანტების უფლებების დასაცავად. მასში განხილულია, თუ რა პროცედურები უნდა დაიცვან ემიგრანტებმა და იმიგრანტებმა სანამ შეძლებენ საზღვარგარეთ მუშაობას (შრომითი მიგრაციის შესახებ, 2015).


სხვადასხვა მონაცემების მიხედვით 1995-1996 წლებში საქართველოს საშუალოდ 130 000-დან 150 000-მდე ადამიანმა დატოვა. საქსტატის მასალები ემიგრაციული სალდოს შესახებ ფაქტობრივად ზემოაღნიშნული პროგნოზის დასტურია. საქსტატის ინფორმაციით აღნიშნული დროის პერიოდში ქვეყანას დაახლოებით 170,000 ადამიანი ტოვებდა წელიწადში. საყურადღებოა, რომ საქსტატი 2012 წლის შემდგომ მიგრანტების სტატისტიკის შედგენისთვის ხელმძღვანელობს გაეროს მიერ რეკომენდირებული მეთოდით. ამ მეთოდოლოგიის მიხედვით მიგრანტი არის პირი, ვინც საქართველოში ატარებს წელიწადში 183 დღეზე ნაკლებს ან რომელიც ცხოვრობდა საქართველოში მინიმუმ 183 დღე (ბოლო წლის განმავლობაში) (საქართველოს მიგრაციის კომისია, 2017).

ემიგრანტების რაოდენობაზე ყურადღების გამახვილება ჩვენს ქვეყანაში 2000 წლიდან დაიწყო. ოფიციალური ვერსიით მიგრაციის სალდო 2003 წელს -23,100 -ს უდრიდა, ხოლო ემიგრანტთა რაოდენობა იმავე წელს კი 70,746 იყო. 2003 „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, ქვეყანაში ზემოაღნიშნული სალდო შემცირდა, თუმცა, 2009 წლიდან ემიგრანტების რაოდენობამ კვლავ გაიზარდა. (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2019).

ექსპერტთა მოსაზრებით 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, ქართველების მიგრაცია რუსეთში შემცირდა, მათი ძირითადი ნაკადი ამერიკაში და/ან ევროპისკენ მიემართა (ლაბაძე, ტუხაშვილი, 2013).

2013 წლიდან ემიგრაციის მსურველი მოქალაქეების რიცხვი კვლავ შემცირდა და ეს ტენდენცია 2018 წლამდე შენარჩუნდა, შემდეგ კი ისევ გაიზარდა. 1994-2018 წლებში საქართველოს მიგრაციული სალდო მოცემულია ნახაზი 4.


ნახაზი 4. საქართველოს მიგრაციული სალდო 1994-2018 წ.



შედგენილი და დაანგარიშებული: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. 2019. მიგრაცია. Geostat.Ge. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/322/migratsia> (30.08.2019)

განხილულია ემიგრანტების რაოდენობა სქესორივი მაჩვენებლების მიხედვით (ნახაზი 5).

ნახაზი 5. ემიგრანტების რაოდენობა სქესთა მიხედვით 2002-2018 წ.



შედგენილი: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. 2019. მიგრაცია. Geostat.Ge. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/322/migratsia> (30.08.2019)

როგორც ირკვევა საქართველოში (ისევე, როგორც გლობალურად) უფრო მეტი მამაკაცი ემიგრანტი გვყავს ვიდრე ქალბატონები. საქსტატის მონაცემებით, 2018 წელს ქართველი ემიგრანტების უმეტესობა 25-29 წლის ასაკის იყო.

სამწუხაროდ საქართველოში არ იწარმოება ინფორმაციის ჩანაწერები თუ საით მიემართებიან ჩვენი ემიგრანტები. თუმცა, 2014 წელს საქსტატმა გაეროს რეკომენდირებული მეთოდოლოგიით გამოითვალა ქართული ემიგრაციის ნაკადები. მათი ინფორმაციით 2014 წელს ყველაზე დიდი რაოდენობა ქართველი ემიგრანტებისა წავიდა რუსეთში და საბერძნეთში საცხოვრებლად. აღნიშნულ სტატისტიკურ მონაცემებში შეიმჩნევა ქართული მიგრაციის გენდერული თავისებურებები. გამოკვეთილია თუ რომელ სახელმწიფოებში მიდიან ქალბატონები განსაკუთრებულად დიდი რაოდენობით (მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია).

ცხრილი 5. ქართველი ემიგრანტების მიმღები ქვეყნები, 2017 წ.

ამჟამინდელი საცხოვრებელი ქვეყანა	ორივე სქესი	სქესი		დასახლების ტიპი	
		მამაკაცი	ქალი	ქალაქი	სოფელი
რუსეთი	19,195	13,640	5,555	10,891	8,304
საბერძნეთი	14,048	2,386	11,662	8,762	5,286
თურქეთი	9,922	3,262	6,660	6,120	3,802
იტალია	9,612	1,373	8,239	6,756	2,856
გერმანია	6,259	2,808	3,451	4,831	1,428
აშშ	5,021	2,457	2,564	4,474	547
ესპანეთი	3,597	1,724	1,873	2,618	979
საფრანგეთი	3,293	1,896	1,397	2,730	563
უკრაინა	3,282	2,619	664	2,045	1,238
აზერბაიჯანი	1,802	1,091	711	408	1,394
სხვა ქვეყანა	11,590	6,483	5,107	8,315	3,275
არ არის მითითებული	919	443	476	615	304

სულ	88,541	40,182	48,359	58,565	29,976
-----	--------	--------	--------	--------	--------

*შედგენილი Secretariat of the State Commission on Migration Issues. 2017. The 2017 Migration Profile Of Georgia. Migration.Commission.Ge. [http://migration.commission.ge/files/migration\\_profile\\_2017\\_eng\\_final\\_.pdf](http://migration.commission.ge/files/migration_profile_2017_eng_final_.pdf). (30.08.2019)*

ქალბატონები განსაკუთრებით მრავლად არიან იმ სახელმწიფოებში, სადაც ტრადიციულად მოიაზრება, რომ ქართველი ემიგრანტები დაბალი რანგის (დამხმარე) სამუშაოს ასრულებენ.

მიგრაციის პოლიტიკის ინსტიტუტის 2017 წლის მონაცემები გარკვეულწილად ემთხვევა ზემოაღნიშნულ საქსტატის მასალებს. ინსტიტუტის ინფორმაციით აღნიშნულ წელს ყველაზე ბევრი ქართველი ემიგრანტი (451 000) რუსეთის ფედერაციაში ცხოვრობდა. ქართველი ემიგრანტების სიმრავლით ასევე, გამოირჩეოდა საბერძნეთი (82 000), უკრაინა (65 000), ამერიკა (27 000) და გერმანია (23 000) (Migration Policy Institute, 2019).

ექსპერტთა კვლევებით დგინდება, რომ საქართველოში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, დასაქმების სფეროს განუვითარებლობა და მომავლის გაურკვეველობა აიძულებს ხალხის ნაწილს, რომ მიგრირდნენ (ზუბიაშვილი, თ., 2015).

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ახალ თაობასაც ძირითადად განათლების მიღება სურს ან ამერიკაში ან ევროპაში. 2012- 2016 წლამდე ევროკავშირის 28 ქვეყანაში, საქართველოს მოქალაქეებზე გაცემული სტუდენტური ვიზები დაახლოებით 700-ით გაიზარდა (ჯამში 4 730) (Secretariat of the State Commission on Migration Issues, 2017). ლოგიკურად მომავალში არსებული მიგრანტების ნაკადების "ტრადიციული" მიმართულებები შესაძლებელია, რომ შეიცვალოს.

საერთაშორისო მიგრაციის ორგანიზაციის მიხედვით 1990-2006 წლებში საქართველოდან დაახლოებით 70 000 ქართველი ემეგრადა თავშესაფარს. პოლიტიკური



თავშესაფარის მძებნელები შემდეგნაირად იყვნენ გადაწანილებულნი ევროპის მასშტაბით (ცხრილი 6):

ცხრილი 6. პოლიტიკური თავშესაფრის მძებნელები საქართველოდან, 1990-2006 წ.

ქვეყანა	აპლიკანტთა რაოდენობა
გერმანია	20 150
საფრანგეთი	7 937
ავსტრია	7 359
ბელგია	5 374
შვეიცარია	4 804
ჰოლანდია	4 231
ჩეხეთი	2 783
საბერძნეთი	2 706
კვიპროსი	2 203
სლოვაკია	2 096
ჯამი	69 571

შედეგნილი: *Chindea, A., Majkowska-Tomkin, M., Mattila, H., Pastor, I. 2008. Migration In Georgia: A Country Profile. IOM.*  
[http://iom.hu/PDF/migration\\_profiles2008/Georgia\\_Profile2008.pdf](http://iom.hu/PDF/migration_profiles2008/Georgia_Profile2008.pdf). (31.08.2019)

იმავე წყაროს მიხედვით 2010 წელს ჩვენი ემიგრანტების მხოლოდ 2.6 % არის „გადინებულ ტვინების“ რიგში დარეგისტრირებული. სხვა სახელმწიფოებისგან განსხვავებით არ არის სტატისტიკური მონაცემები თუ რა ტიპის გონებრივ სამუშაოს ეწვეიან სხვადასხვა ქვეყნებში. დანარჩენი ემიგრანტების პროცენტული რაოდენობა კი ფიზიკურ სამუშაოთი არიან დაკავებული და ძირითადად დამსაქმებელი ქვეყნების ტერიტორიაზე უკანანოდ არიან შესულნი.

საქართველოდან ტვინთა მიგრაცია აქტუალური გახდა ყოფილი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ. ერთ-ერთი პირველი უცხოური მეცნიერული წყარო, სადაც

ქართველი ინტელექტუალი ემიგრანტები არიან მოხსენიებული არის მიგრაციის შესწავლის ცენტრის 1998 წელს დაბეჭდილი მასალა (Gaillard, 1998).

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახური არ აგროვებს ინფორმაციას მიგრანტთა განათლების დონის შესახებ. როგორც საქსტატში განაცხადეს სტატისტიკის სამსახურს ხელი მიუწვდება მხოლოდ ქვეყნიდან გასული მოქალაქეების მაიდენტიფიცირებელ ინფორმაციაზე (მოქალაქის სახელი და გვარი, სქესი და ასაკი) მიუწვდებათ ხელი.

საქართველოს მიგრაციის კომისიის ინფორმაციით, 2017 წელს საიას დაკვეთით ჩატარდა კვლევა, რომლითაც დადასტურდა, რომ საქართველოდან წასული მიგრანტების 11%-ს ბაკალავრის ხარისხი, 7%-ს მაგისტრის, ხოლო 22%-ს ხუთწლიანი უმაღლესი განათლება (სპეციალისტის დიპლომი) გააჩნია. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ მიგრანტების 40% ინტელექტუალი მიგრანტის განმარტებაში აბსოლუტურად ჯდება. რაც შეეხებათ დაბრუნებულ მიგრანტებს, ამავე კვლევით გაირკვა, რომ დაბრუნებული მიგრანტების მხოლოდ 9%-ს აქვს მიღებული განათლება უცხოეთში (მიგრაციის კომისია, 2017).

მიუხედავად იმისა, რომ ქართველი ემიგრანტები ხშირად არალეგალურად იმყოფებიან მიგრაციაში, დასაქმებულები არიან თავიანთ განათლების შეუსაბამო სამსახურში (რაც იწვევს მათი განათლების და უნარების დეგრადაციას), მაგრამ ისინი მაინც ახერხებენ სამშობლოში გზავნილების გამოგზავნას (კაკულია, 2007). თუმცა, ზ.ლალიაშვილის მიერ ჩეხეთში მაცხოვრებელი ქართველ ემიგრანტებთან ჩატარებული კვლევის საფუძველზე დადასტურდა, რომ მაღალი ფინანსური შემოსავლის გამო ქართველ ინტელექტუალებს ურჩევნიათ იმუშაონ სხვა სპეციალობით (ლალიაშვილი, 2013).

ქართველი მეცნიერების აზრით საკამათოა თუ რამდენად უარყოფითია ზევით აღნიშნული ფაქტი, რადგან რეალისტურია იმის ვარაუდი, რომ საქართველოში დარჩენის პირობებშიც ემიგრანტები ვერ იპოვიდნენ მათი ცოდნის შესაბამის სამსახურს (ლაბაძე, ტუხაშვილი, 2013)

ტვინთა გადინების მხრივ, საქართველოს მსგავსი მდგომარეობაა ასევე, სომხეთშიც. ადგილობრივი სტატისტიკური სამსახურის მიერ დადგენილი იქნა, რომ მიგრანტების 30%-ს მაღალი დონის განათლება ჰქონდათ თუმცა, სომხეთში შექმნილი ეკონომიკის შეფერხებული განვითარების გამო მათ მოუწიათ მიგრაცია (Poghosian, 2014).

აზერბაიჯანში ტვინთა გადინების მკვეთრი პრობლემა არ ფიქსირდება რადგან, ოფიციალური მონაცემებით ინტელექტუალების მიგრაცია, მთლიანი მიგრაციის მხოლოდ 2 %-ს შეადგენს (IOM, 2013; Allahveranov, Huseynov, 2013). რაც შეეხება, აზერბაიჯანელ და სომეხ მიგრანტებს 2017 წლის მონაცემებით ისინი (ქართველების მსგავსად) რუსეთში ამჯობინებდნენ ემიგრაციას. სომეხი მოქალაქეები ასევე, ირჩევდნენ აზერბაიჯანში და ამერიკაში ცხოვრებას მაშინ როდესაც, აზერბაიჯანიდან კი სომხეთში და უკრაინაში მიგრირდებოდნენ (Migration Policy Institute, 2017).

ამრიგად, საქართველოში ინტელექტუალური მიგრაციის ძირითადი მიზეზი ეკონომიკური სიდუხჭირეა, თუმცა, სხვადასხვა ქვეყანაში ტვინთა მიგრაცია განსხვავებული სოციალური, ეკოლოგიური თუ პოლიტიკური მიზეზებით ხდება და საჭიროა მათი უფრო დეტალური კვლევა.

#### ***1.4 ინტელექტუალური მიგრაციის გამომწვევი მიზეზები***

განვიხილოთ ემიგრაციის გამომწვევი სხვადასხვა მიზეზი, კერძოდ: ეკოლოგია, გლობალიზაცია, საექსიზმი, განათლება, პოლიტიკური არასტაბილურობა და კორუფცია.

*ეკოლოგია.* 21-ე საუკუნის მთავარ გამოწვევად ეკოლოგიის შენარჩუნება და გლობალური დათბობის შესუსტება და/ან შეჩერება ითვლება. მეცნიერები აფიქსირებენ, რომ ყოველწლიურად მთელი დედამიწის გარშემო ზღვის დონე მაღლა იწევს, ტემპერატურა ოკეანეების წყლებში იზრდება ისევე, როგორც გვალვების რაოდენობა და სიხშირე. საერთაშორისო მიგრაციის ორგანიზაციის ინფორმაციით ეკოლოგიური კატასტროფები არამხოლოდ ხელს უწყობს საზღვაო და სახმელეთო ეკო-ცენტრების

გამოფიტვასა და გადაშენებას არამედ, ქვეყნიდან ტვინთა გადინების მიზეზიც ხდება (International Organization for Migration, 2009). დამოკიდებულება კლიმატის ცვლილებასა და მიგრაციასა შორის აქტუალური საკითხი ხდება მეცნიერებისათვის. კლიმატის ცვლილების მთავრობათაშორისი პანელის შეფასებაში (1990 წ.) ადამიანთა მიგრაცია წარმოდგენილია, როგორც კლიმატის ცვლილების ერთ-ერთი შედეგი.

ტერმინი "ეკოდევნილი" იგივე ეკომიგრანტი, 1970-იან წლებში Worldwatch ინსტიტუტის თანამშრომელმა, ლესტერ ბრაუნმა გამოიყენა. გაერო, მიგრაციის სხვადასხვა თავისებურებების გამო, ეკომიგრანტებს (ecomigration) და ეკოდევნილებს (environmental refugee) სხვადასხვა ცნებებად "აღიქვავს". მათ შორის საერთო ის არის, რომ ორივე შემთხვევაში ადამიანები, სხვადასხვა დროით, იძულებით ტოვებენ თავიანთ საცხოვრებელს.

მსოფლიო ბანკის ცნობით 2008-2016 წლის ჩათვლით დაახლოებით 227.6 მილიონი ადამიანს მოუწია მიგრირება გარემოპირობების გაუარესების გამო. 2014 წელს, ეკოკატასტროფებით ყველაზე მეტად დაზარალდნენ აზიის მცხოვრებლები. აზიელები, რომლებიც მსოფლიო მოსახლეობის დაახლოებით 60% შეადგენენ, ბუნებრივი კატაკლიზმებით დაზარალებულების 87%-ს შეადგენდნენ (Raleigh, Jordan, Salehyan, 2008). 2017 წელს კი ჩინეთი, ფილიპინები და კუბა დაზარალდნენ ყველაზე მეტად.

ინტელექტუალი მიგრანტები უმეტესად წილად საკუთარი სურვილით ტოვებენ ქვეყანას. იმ შემთხვევაში თუ კვალიფიციურ პიროვნებას საცხოვრებლის დატოვება ეკოლოგიური კატასტროფის გამო მოუწია, ის ეკომიგრანტად ან ეკოდევნილად ჩაითვლება. "ეკოდევნილების" რიგებში მრავალი ინტელექტუალი მიგრანტი არის ირიბად მოხსენიებული. მაშასადამე, მნიშვნელოვანია ეკომიგრაციის განხილვა ტვინთა გადინების ჭრილში.

გლობალური გარემოსდაცვითი ცვლილების და ადამიანის უსაფრთხოების პროექტის ყოფილი თავჯდომარე სტივ ლონერგანი აღნიშნავს, რომ ხუთი ფაქტორი შეიძლება გახდეს ეკომიგრაციის საფუძველი: 1) ბუნებრივი კატაკლიზმები, 2)

ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც ითვალისწინებენ გარემოს შეცვლას, 3) ბუნების პროგრესული ევოლუცია, 4) ინდუსტიული უბედური შემთხვევები და 5) შეიარაღებული კონფლიქტები (Renaud, Bogardi, Dun & Warner, 2007).

ეკოსისტემის ათასწლეულის შეფასების (Millennium Ecosystem Assessment) მიხედვით მომავალში გლობალური დათბობის შედეგად დაზარალებულ მინიმუმ 2 მილიარდი ადამიანი, რომლებიც დღეს მშრალ, ნახევრად მშრალ და ტენიან რეგიონებში ცხოვრობენ. აღნიშნული კლიმატი განსაკუთრებით "მგრძნობიარეა" ტემპერატურის ცვლილებაზე, რომელიც პირველ რიგში ბუნებრივი წყლის რეზერვუარზე მოქმედებს. მომავალში ზღვის დონის აწევის გამო მიგრაცია სავარაუდოდ, მნიშვნელოვნად გაიზრდება. 2050 წელს, დაახლოებით 350 000 მიგრანტს მოუწევს წელიწადში დატოვოს თავისი საცხოვრებელი, ზღვის დონის ცვლილების გამო (Nicholls et al., 2008). წყლის დონის ცვლილებებმა შეიძლება არასტაბილური პოლიტიკური ვითარებაც შექმნას. იმ შემთხვევაში თუ შეზღუდული ბუნებრივი რესურსის გაყოფა ვერ მოხერხდება მიგრანტებსა და ადგილობრივებს შორის- მოსალოდნელია მათ შორის კონფლიქტიც. თანამედროვე რეალობაში მსგავსი პრობლემის მაგალითია ისრაელის და პალესტინელების ურთიერთობა. როგორც კი ისრაელი წყალს გადაკეტავს პალესტინელები ანახლებენ თავდასხმას ებრაელ ჯარისკაცებზე და მოსახლეობაზე.

იმ შემთხვევაში თუ ეკოლოგიური ცვლილებები სეზონურია და მოკლე ვადაში შესაძლებელია გარემოს ბუნებრივი მდგომარეობის აღდგენა, ეკომიგრაციის პროცესი ძირითადად ქვეყნის შიგნით ვითარდება და ხშირად, ის დროებითია, რადგან რისკის დარეგულირების შემდეგ დაზარალებულნი თავიანთ სახლს უბრუნდებიან (Surhke, 1993). კოლსონის 2003 წლის კვლევის შედეგად ასევე დადგინდა, რომ უმეტეს შემთხვევებში ეკომიგრანტები, კრიზისების შემდეგ, თავიანთ ნაცნობებთან და/ან ოჯახის წევრებთან ახლოს ცხოვრებას არჩევენ. უმეტესწილად მოქალაქეები სოფლებიდან ქალაქში მიგრაციას ამჯობინებენ. ისეთ რეგიონებში კი როგორც არის მაგალითად დასავლეთი აფრიკა ეკომიგრანტები ხშირად რეგიონის შიგნით ცდილობენ საცხოვრებლის პოვნას (McDonald, 1999).

მსოფლიო რესურსების ჭარბი მოხმარება, განუვითარებელი ინფრასტრუქტურა და გაუფრთხილებლობა, ხელს უწყობს ადამიანის მიერ ეკოსისტემების დეგრადაციას . ეკომიგრაციის პრობლემა განსაკუთრებით ემუქრება განვითარებად ქვეყნებს, სადაც დარეგულირებული და/ან დაცული არ არის ბუნების კონსერვაციასთან დაკავშირებული რეგულაციები და პოლიტიკა. მიგრანტები, ხშირ შემთხვევაში თავიანთი ქვეყნის შიგნით გადაადგილდებიან, თუმცა მომავალში შესაძლებელია ემიგრანტების რაოდენობის ზრდა სხვა- ბუნებრივი რესურსებით მდიდარ სახელმწიფოებში.

აუცილებელია ეკოსისტემების ეფექტიანი მენეჯმენტი რადგან ეკომიგრაციის შედეგად, ბევრი ადამიანი ტოვებს საცხოვრებელს. საჭიროა არა მხოლოდ, სათადარიგო ტერიტორიის არსებობა (სადაც დაზარალებულებს შეუძლიათ დასახლება) არამედ, მნიშვნელოვანია იმის შეფასებაც თუ რამდენად ეგუებიან გადასახლებული პირები ახალ გარემოს. აღნიშნული ინფორმაცია სახელმწიფოს დაეხმარება შეაფასოს თუ რამდენად ეფექტიანად არის დაგეგმილი ეკოლოგიური კრიზისების მენეჯმენტი და თუ რისი გამოსწორება შეიძლება მომავალში.

საქართველოში ეკომიგრანტების საკითხს მთავრობა (ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო) არეგულირებს. 2016 წელს ეკომიგრანტების ერთიან ბაზაში რეგისტრირებული იყო დაახლოებით 5,000 ოჯახი. საქართველოს 2017 წლის მიგრაციის პროფილის დასკვნაში აღნიშნულია, რომ მთავრობას დეტალურად არ აქვს შესწავლილი ეკომიგრანტების ზუსტი სტატისტიკა და მათი ახალ გარემოსთან ინტეგრაციის მაჩვენებლები. აღნიშნული საკითხები პრობლემატურია მრავალ ქვეყანაში (რადგან ეკომიგრაცია ეხლა იძენს "პოპულარობას", როგორც მეცნიერების ასევე, სახელმწიფო მმართველების თვალში გამომდინარე პრობლემის მოკლე დროში გაზრდილი მასშტაბიდან) მაგრამ მომავალში ეს მონაცემები აუცილებლად უნდა იქნეს შესწავლილი (State Commission on Migration Issues, 2017).

საერთაშორისო ემიგრაციის ორგანიზაციის ვერსიით ეკოლოგიური კატასტროფების დროს ემიგრაცია დამოკიდებულია შემდეგზე: 1) რამდენად დიდ ფინანსურ ზარალს და ჯანმრთელობის ხარისხის დეგრადაციას ელოდება მოსახლეობა;

2) თუ რამდენად მიუწვდება მოსახლეობას ხელი ტრანსპორტის საშუალებებზე; 3) როგორი წარმოდგენა აქვს მოსახლეობას მიგრაციაზე და უცხო გარემოში ასიმილაციაზე. ინტელექტუალებს აქვთ შესაძლებლობა, რომ სწორად შეაფასონ სავარაუდო საფრთხეები და ადვილად შეერწყან ახალ გარემოებებს, თავიანთი განათლების და გამოცდილების საფუძველზე. მომავალში ეკომიგრანტებს შორის ინტელექტუალი მიგრანტების რაოდენობა გაიზრდება.

ზემოთ მოცემული ინფორმაცია მოწმობს, რომ ტვინთა გადინების ასაცილებლად აუცილებელია ეკოსისტემების ეფექტიანი მენეჯმენტი, რადგან ეკომიგრაციის შედეგად ბევრი ადამიანი (ხშირ შემთხვევაში) ერთდროულად ტოვებს თავიანთ საცხოვრებელს. საჭიროა არა მხოლოდ, სათადარიგო ტერიტორიის არსებობა (სადაც დაზარალებულებს შეუძლიათ დასახლდნენ) არამედ, ისიც თუ რამდენად შეეგუებიან გადასახლებული ადამიანები.

გაეროს ინფორმაციით მსგავსი წინდახედული მენეჯმენტის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია კირიბათის კუნძული, რომელიც მეცნიერების ვარაუდით 2070 წლისთვის წყლით დაიფარება (ამჟამინდელი ზღვის დონის ზრდა თუ კვლავ გაგრძელდა). კირიბათის პრეზიდენტს უკვე შემუშავებული აქვს გადასახლების პროგრამა/ გეგმა, რომლის მიხედვითაც 94,000 კირიბათის მოქალაქე დროთა განმავლობაში მეზობელი ახალი ზელანდიის კუნძულებზე საცხოვრებლად გადაინაცვლებს (United Nations, 2016).

მიუხედავად იმისა, რომ ყველა სახელმწიფოს კირიბათის მსგავსი დეტალური პოლიტიკა არ აქვს შემუშავებული, სასურველია, რომ მსოფლიოში დაინერგოს მექანიზმები/ ტექნოლოგიები, რომლებიც არამხოლოდ გვაცნობებენ მოსალოდნელი საფრთხის შესახებ არამედ, დაგვებმარებიან ჩვენივე გარემოს შესწავლაში. აღნიშნული ფაქტი მოგვცემს საშუალებას, რომ შევამციროთ კატასტროფის რისკები, ავიცილოთ დაავადებების გავრცელება და ასევე, მაღალკვალიფიციური კადრების მიგრაცია.

აგრეთვე, აუცილებელია რომ გარდა ცალკეული მცდელობებისა შეიქმნას სხვადასხვა სახელმწიფოების მიერ შექმნილი გაერთიანებები, რომელიც დეტალურად

შეისწავლიან ეკომიგრაციას და მისი მენეჯმენტისა აუცილებლობას. აღნიშნული საკითხი ასევე, შეიძლება განხილული იყოს ისეთ საერთაშორისო კონფერენციებზე როგორც კლიმატის ცვლილებების კონფერენცია, რომელიც იმართება პარიზში ხუთ წელში ერთხელ და რომელშიც მონაწილეობენ სხვადასხვა სახელმწიფოები.

*გლობალიზაცია.* მსოფლიო ნელ-ნელა მიიწევს თვითკმარი ეკონომიკიდან უფრო ურთიერთდამოკიდებული და ინტეგრირებული ეკონომიკური სისტემისკენ ანუ გლობალიზაციისკენ. აღნიშნული ფენომენის გამო ისტორიულად დაცალკეებული ბაზრები ერთიანდებიან და შეერწყმებიან ერთმანეთს. თანამედროვე ეკონომიკა, თვისობრივად გლობალური ეკონომიკაა (ბახტაძე, დანელია, 2017) და ისეთი ცნებები როგორც არის ამერიკული ბაზარი, ფრანგული ბაზარი და ა.შ. ქრება. მათ ადგილს კი აგრესიულად იკავებს გლობალური ბაზრის ცნება. გლობალურ ბაზარზე, საუკუნეების განმავლობაში ნაშენები ეკონომიკური, პოლიტიკური თუ კულტურული ბარიერები დაინგრა. ვაჭრობის, ინვესტიციების, ტექნოლოგიების და კომუნიკაციის არხების ერთმანეთთან დაკავშირება კი მიგრაციულ ნაკადებს აძლიერებს (Czaika, Mayer, 2011).

მე-18 საუკუნეში, ტრანსპორტის სისტემების განვითარებამ დაუდო საფუძველი გლობალიზაციის და ასევე, გამარტივებული მიგრაციის ხელშეწყობას. ადამიანებს, პირველად მიეცათ საშუალება ესარგებლათ საერთაშორისო ტრანსპორტით. როგორც ისტორიული წყაროებიდან არის ცნობილი 70% ემიგრანტებისა, რომელიც აშშ-ში მიგრირდნენ 1850-1914 წლებში, ამერიკაში ნიუ ორკის პორტში ჩადიოდნენ, სადაც ახალგამოგონებული ორთქმავალი გემები ჩერდებოდნენ (Keeling, 1999).

ინტელექტუალების სახელმწიფოთაშორის მოძრაობა გლობალიზაციის პერიოდში ბევრად უფრო კომპლექსური გახდა ვიდრე მე-20 საუკუნის დასაწყისში იყო. გლობალიზაციის შედეგად შეცვლილ კულტურის პირობებში ტვინთა გადინების მოტივაცია და საშუალება მრავალგანზომილებიანია და ის განსხვავებულად მოქმედებს სხვადასხვა ადამიანებზე, ქვეყნებსა და ბიზნეს ინდუსტრიებზე.

21-ე საუკუნეში შემცირებულია, როგორც მგზავრობის ხარჯები, ასევე- დროც. ტრანსპორტი და გადაადგილებების ტექნოლოგიები იმდენად გამარტივებულია



დღევანდელ რეალობაში, რომ პენსიონერებიც კი არ უშინდებიან გრძელვადიან მიგრაციას (Sunil, Rojas, Bradley, 2007). ადამიანებს აქვთ თავისუფლება, რომ "იმოდრონ" განვითარებად და განვითარებულ ქვეყნებში. აღნიშნული ფაქტების საფუძველზე გაიზარდა ტვინთა გადინების სიხშირეც. ექსპერტების აზრით გლობალიზაციის შედეგად მოხდა:

1. *"საერთაშორისო მიგრაციის მასშტაბების უპრეცედენტო გაფართოება;*
2. *მიგრაციის ნაკადების თვისობრივი ცვლილება;*
3. *შრომითი მიგრაციის ფემინიზაცია;*
4. *არალეგალური მიგრაციის ზრდა;*
5. *მიგრაციის ორგანიზებულ (მათ შორის კრიმინალურ) ბიზნესად ტრანსფორმაცია"* (ზუბიაშვილი, თ., 2017).

გლობალური ვაჭრობის შედეგად გაჩნდა მოთხოვნა გლობალურ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინსტიტუტების ჩამოყალიბებაზეც, რომლებიც დაარეგულირებდნენ გლობალურ ბაზარს და პოლიტიკას. ინტერნაციონალური ორგანიზაციებისა და მულტიეროვნული კომპანიების (კომპანიები, რომლებიც ოპერირებენ ორ ან მეტ ქვეყანაში) გახსნამ, რომლებსაც თავიანთი ფილიალები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში აქვთ ხელი შეუწყო კადრების გეოცენტრიული ძეხვის სისტემის განვითარებასაც. გეოცენტრული აყვანის სისტემა ითვალისწინებს იმას, რომ ფირმას ან საერთაშორისო ორგანიზაციას ესაჭიროება საუკეთესო ტალანტები. ერუდირებული პირის ადგილმდებარეობა შემაკავებელი ბარიერი აღარაა.

ისეთი პროფესიონალური სოციალური გვერდები როგორცაა მაგალითად Linked In, ხელს უწყობს გეოცენტრიული ადამიანის რესურსების განვითარებას და ტვინთა მიგრაციას. Linked In-ის პროფილის გვერდზე ადამიანი აქვეყნებს თავის Curriculum Vitae-ს და ეძებს სამსახურს. კომპანიები და დამქირავებლები კი ვაკანსიის შემთხვევაში ინფორმაციას დებენ თავიანთ გვერდზე და ეძებენ შესაბამის თანამშრომლებს მთელ მსოფლიოში.

ისტორიულად, მიგრანტები სწორედ იმ ქვეყნებში ამჯობინებენ ცხოვრებას სადაც მათ უკვე აქვთ კონტაქტები (MacDonald & MacDonald, 1964). მიგრაციასთან დაკავშირებით კვლევები გვაჩვენებს, რომ ემიგრანტებთან არსებული პირადი კონტაქტები მნიშვნელოვანია, მიგრაციის დინებების შესწავლის დროს (Faist, T., 1997). სოციალური ქსელების მეშვეობით პოტენციურ მიგრანტს შეუძლია იპოვოს თანამემამულე, რომელიც ცხოვრობს მისთვის საინტერესო ქვეყანაში და საუბრით შეუძლია გაიგოს თუ რა პროცედურებით შეიძლება უცხოეთში თავის დამკვიდრება. ეს შესაძლებლობა ხელს უწყობს მიგრაციას და ტვინთა გადინებას, რადგან არსებული სიახლეების გაცვლის წყაროს მეშვეობით ადამიანს ეძლევა შანსი სრულად გაათავინებოს რა ეტაპების გავლა მოუწევს მას იურიდიულად თუ ფინანსურად სხვა სახელმწიფოში ემიგრანტად ცხოვრების პირობებში. მას შეუძლია შეაფასოს თუ როგორი ფინანსური წარმატება ელოდება სხვადასხვა ქვეყანაში.

მობილური ტელეფონების, ინტერნეტისა და სოციალური მედიის ერთობლიობა ევროკავშირმა მიიჩნია, როგორც "მიგრაციის შემცველი ასპექტი"(EPSC, 2017). ინფორმაცია ცხოვრების ხარისხის და ეკონომიკური შესაძლებლობების შესახებ, რომლებიც სხვა ქვეყანაშია, აყალიბებს მიგრაციის სურვილს და თამაშობს დიდ როლს მიგრაციის გადაწყვეტილების მიღებისას (Gelb, Krishnan, 2018). ინტერნეტი და განვითარებული ტექნოლოგიები, გლობალიზაციის გავრცელების პირდაპირი ხელშემწყობი ფაქტორებია.

ინტერნეტის მეშვეობით გაძლიერებული მიგრანტთა ქსელები, ფულის მარტივი გადარიცხვის საშუალებები, დანიშნულების ადგილსა და წარმოშობის ქვეყნებს შორის მოგზაურობა და ტრანსნაციონალური კავშირები, უადვილებს მიგრანტებს ოჯახთან და მეგობრებთან კავშირის შენარჩუნებას (Vertovec, 2001).

საერთაშორისო ვაჭრობა, გახშირებული, იაფი და მარტივი მოგზაურობის საშუალება, პოსტინდუსტრიული საზოგადოებების წარმოქმნა და ინოვაციური ტექნოლოგიები აჩქარებს გლობალიზაციას (აბესაძე, 2018) და ასევე, ამცირებს მანძილს ადამიანებს შორის. იქმნება ახალი ტრანსნაციონალური საზოგადოება, რომელსაც არ

აქვს პატრიოტული გრძნობები არცერთი ქვეყნის მიმართ. ინფორმაციის გაცვლის და მოძრაობის ხარჯზე გავრცელდა კულტურის გლობალიზაცია (Tomlinson, 1999).

გარკვეული დროის განმავლობაში გლობალიზაციის თეორია, ტვინთა მიგრაციას განვითარებულ ქვეყნებში გარკვეულ პროფესიაზე არსებული მოთხოვნით ხსნიდა (Petras, 1983). თუმცა, ჩამოთვლილმა ასპექტებმა (საერთაშორისო ორგანიზაციებმა, ტექნოლოგიურმა განვითარებამ, ტრანსპორტირების ხელმისაწვდომობამ და ა.შ) გაზარდეს ხალხის შესაძლებლობები და მიგრაციისკენ სწრაფვაც (de Haas, 2009). გლობალიზაციის ხანაში საკვანძო საკითხი არის არა ის, თუ ფიზიკურად სად იმყოფებიან ადამიანები არამედ, ის თუ რა წვლილს შეიტანენ ისინი იმ ქვეყნების სოციალურ, კულტურულ და ეკონომიკურ განვითარებაში, რომლებთანაც ისინი აკეთებენ იდენტიფიცირებას.

*სექსიზმი.* 1885 წელს გამოცემულ წიგნში "მიგრაციის თეორია" ავტორი- ერნსტ გეორგ რავენშტაინმა თავისი დაკვირვებების შედეგად დაამტკიცა, რომ ქალები უფრო აქტიურად მიგრირდებოდნენ ვიდრე მამაკაცები (Ravenstein, 1885). თუმცა, გერმანელი ავტორის დასკვნას ყურადღება მიექცა 1990-იანი წლების დასაწყისში, რადგან ჯერ კიდევ 1960-იან და 1970-იანი წლების დასაწყისში ქალები, მამაკაცი მიგრანტების თანმხლებ პირად და/ან ოჯახის წევრად განიხილებოდნენ, მათი სავარაუდო პასიურობის და სახლში მოღვაწეობის გამო.

მდედრობითი სქესის ტვინთა "გაცვლა" და მიგრაცია არ იყო აქტუალური 1990-იანი წლების დასაწყისამდე. 1990 წლიდან- 2014 წლამდე ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ქვეყნებში განათლებული ქალ-ემიგრანტების რიცხვი 5.7-იდან 14.4 მილიონამდე გაიზარდა და გაუსწრო მამაკაცთა რაოდენობას. შესაბამისად, ქალთა მიგრაციის გამომწვევმა მიზეზების საკითხმა გააღვივა მეცნიერების ინტერესი (Pekkala Kerr et al. 2016).

მიიჩნევენ, რომ ინტელექტუალურმა მიგრაციამ ფემინიზაცია განიცადა რადგან უფრო და სულ უფრო მეტი ქალი დამოუკიდებლად იღებს მიგრაციის გადაწყვეტილებას (Ramírez, Domínguez, Morais, 2005). ქალთა ემიგრაციის მზარდი ტენდენცია შესამჩნევია

საქართველოშიც რომელიც განეკუთვნება ქვედა საშუალო შემოსავლის ქვეყნებს. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 2002 წლიდან 2018 წლამდე ქალი ემიგრანტების რაოდენობა დაახლოებით 44%-ით გაიზარდა (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2019).

მსოფლიო ბანკის, გაეროს და სხვა სამეცნიერო წყაროებზე დაყრდნობით დგინდება, რომ ქალთა მიგრაციის გადაწყვეტილებებში სექსიზმი მიგრაციის ერთ-ერთი მოტივატორის როლს ასრულებს. სექსიზმი აღნიშნავს გენდერულ დისკრიმინაციას, დამოკიდებულებას, რომ რომელიმე სქესის წარმომადგენელი მეორეზე უფრო წარმოსადეგი ან უკეთესია. გენდერული თანასწორობის საკითხი იწვევს ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციების ინტერესს, როგორც არის მსოფლიო ბანკი, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და სხვ.

სტატისტიკურად უმეტესწილად ამ ტიპის უკანონობის მსხვერპლნი მდებარეობენ სქესის წარმომადგენლები არიან. ეკონომიკური და გენდერული თანასწორობის საკითხი მწვავედ დგას სხვადასხვა ქვეყნებში. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მონაცემებით, დღეს არსებული მდგომარეობით მსოფლიოს 217 წელი მაინც დასჭირდება, გენდერული უთანასწორობის პრობლემის აღმოფხვრელად. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გათვლებით კი ამ პრობლემის მოგვარება შესაძლებელია დაახლოებით 100 წელიწადში (Petrozziello, 2013). ორივე მაჩვენებელი მეტისმეტად გრძელვადიანი და საგანგაშოა.

ანაზღაურებაში უთანასწორობა და უმუშევრობა, სექსიზმის წამაქეზებელი ერთ-ერთი ფორმაა. აღნიშნული ფაქტორები კი ინტელექტუალ ქალთა მიგრაციის ერთ-ერთი წინაპირობაა. ფინანსური უთანასწორობისგან თავის დასაცავად მიგრაცია გახდა პრობლემის გადაწყვეტის ერთადერთი გამოსავალი ქალბატონებისთვის (Castles, Miller, 2009). მსოფლიო ბანკის უახლესი მონაცემებით ქალბატონების შემოსავალი პირდაპირ დამოკიდებულია მათი მიგრაციის ალბათობასთან. სტატისტიკური ინფორმაცია გვიჩვენებს, რომ 2000-2017 წლებში ქალთა მიგრაცია მაღალშემოსავლიან ქვეყნებში


შემცირდა 49.1%-იდან 43.2%-მდე. თუმცა, აღნიშნული ინდექსი გაიზარდა მცირე შემოსავლიან ქვეყნებში 49.2%-იდან 50.2%-მდე (Rubiano- Matulevich, Beegle, 2018).

2018 წელს ევროკავშირის ტერიტორიაზე მცხოვრებ მამაკაცთა 78% იყო დასაქმებული. რაც შეეხებათ ევროპელ ქალბატონებს, მათი 67% იყო დასაქმებული.

1990-იანი წლების პუბლიკაციების მიხედვით, საართველოში "დედის კულტია" და არ არის დიდი განსხვავება ქალთა და მამაკაცთა ანაზღაურებებს შორის (სურმანიძე, 1998), თანამედროვე სტატისტიკა კი საპირისპირო მონაცემებს გვაჩვენებს.


ქალებს საქართველოში აწუხებთ "ქრონიკული" უმუშევრობა. სამუშაოს ძებნისას ისინი უფრო მეტ პრობლემას აწყდებიან ვიდრე მამაკაცები. სამსახურის პოვნისას კი ქალბატონებს უფრო დაბალ ხელფასს სთავაზობენ, ვიდრე მამაკაცებს (შელია, 2012). 2018 წლის მონაცემებით ქალბატონები მამაკაცებთან შედარებით, დაახლოებით 40%-ით ნაკლებ შემოსავალს იღებდნენ.

ნახაზი 6. დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი სქესის მიხედვით (ლარი), 2001-2018 წ.



შედგენილი: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. 2018. დასაქმება, ხელფასები - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/37/dasakmeba-khelfasebi> (31.08.2019)

ნახაზი 7. უმუშევრობის დონე სქესობრივ ჯგუფში (პროცენტებში) , 2006- 2018 წ.



შედგენილი: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. 2018. დასაქმება, ხელფასები - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/37/dasakmeba-khelfasebi> (31.08.2019)

სექსიზმის განხილვისას აუცილებლად უნდა აღინიშნოს მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ წარმოდგენილი ყოველწლიური ე.წ. Gender Gap ინდექსი, რომელიც 0-დან 1 ქულამდე ფასდება . 2018 წელს წამყვან პოზიციას აღნიშნულ კვლევაში ისლანდია იკავებდა. თუმცა, მიუხედავად ლიდერობისა ქალთა და მამაკაცთა ანაზღაურებებს შორის დიდი განსხვავებაა ისლანდიაშიც, რადგან ქალბატონებს მამაკაცებთან შედარებით, 20%-ით ნაკლებ შემოსავალს იღებენ. სქესთა შორის ფინანსურ ანაზღაურების 20%-იანი სხვაობა გახდა საფუძველი ისლანდიის მთავრობისთვის, რომ ახალ გენდერულად დაბალანსებულ კანონმდებლობაზე დაიწყო მუშაობა.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის gender gap ინდექსის მიხედვით საქართველო მსოფლიოში 99-ე პოზიციაზეა, რუსეთი 75-ე, ჩვენი მეზობელი თურქეთი 130-ე ადგილზე, ხოლო ჩინეთი კი 103-ე ადგილზე (World Economic Forum, 2018).

განვითარებად ქვეყნებში მცხოვრები განათლებული ქალბატონები იძულებულები არიან, რომ დათანხმდნენ დაბალ ანაზღაურებად სამსახურებს განვითარებულ ქვეყნებში. განვითარებულ ქვეყნებში გენდერული დისკრიმინაცია დასაქმების დროს აქტუალურია. ხშირია შემთხვევები, რომ ფირმების მენეჯერებს ურჩევნიათ ქალების დასაქმება რადგან გენდერული სტერეოტიპების გამო ისინი "იდეალურ კანდიდატებად" აღიქმებიან.

ქალები არიან შრომისმოყვარე, დაკვირვებულები, კეთილგანწყობილები და მარტივად შესაცვლელი თანამშრომლები. მიიჩნევა, რომ მათ არ სჭირდებათ სრულფასოვანი ანაზღაურება, რადგან მათი შემოსავალი დამატებითი შემოსავალია ოჯახისთვის (Enloe, 2014). შრომის საერთაშორისო ბაზარზე არის მზარდი მოთხოვნილება მოვლის, საყოფაცხოვრებო სერვისების და წარმოების სფეროებში. მილიონობით ქალი მიგრაციაში მიდის იმისთვის, რომ გააკეთონ „ქალთა საქმე“, რომლის შესრულებაც განვითარებულ ქვეყნებში მცხოვრებ ქალებს ადარ სურთ.

ქალთა ალტრუიზმი ასევე დიდ როლს თამაშობს მათი მიგრირების პროცესში. გაეროს ინფორმაციით, გენდერული წარმოდგენების მიხედვით ქალები, მამაკაცებისგან განსხვავებით, ალტრუისტებად განიხილებიან. მაშინ როდესაც მამაკაცები ვერ პოულობენ სამსახურს, ქალბატონები თანხმდებიან, რომ გახდნენ პასუხისმგებლები ოჯახის ფინანსურ უზრუნველყოფაზე. ოჯახის წევრები თავად ირჩევენ, რომ ქალები გაემგზავრონ საზღვარგარეთ, რადგან მათი გადმოსახედიდან ქალბატონებს უფრო მეტად შეუძლიათ ოჯახისთვის მსხვერპლის გაღება ოჯახის გამო. მაშასადამე, საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული სექსისტური სტერეოტიპები აიძულებთ ქალბატონებს, რომ მიგრირდნენ.

ამავე წყაროს მიხედვით ქალები მიგრირდებიან ოჯახური ძალადობის, უბედური ქორწინებების ან ნაადრევი ქორწინების თავიდან ასარიდებლად (Petrozziello, 2013). ამის

ნათელი მაგალითია ირანის რევოლუცია და განათლებულ ქალ მიგრანტთა ნაკადი, რომელმაც დატოვა ქვეყანა რათა თავი აეცილებინათ ქვეყანაში დაწყებულ რელიგიურ და იდეოლოგიურ დევნას. (Chaichian, 2011). ნაადრევი ქორწინება ქალთა ინტეგრაციის ხელშემშლელი ფაქტორია. რელიგია, ოჯახის დაბალი შემოსავალი და საზოგადოებაში გავრცელებული კულტურა, მოტივაციას აძლევს მშობლებს (განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში), რომ თავიანთი შვილები ნაადრევად დააქორწინონ.

ამრიგად, გენდერული სტერეოტიპები, უთანასწორო ანაზღაურების დონეები, საზოგადოებრივი დისკრიმინაცია არის ის გენდერული მოტივატორები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ქალბატონების მიგრაციის გადაწყვეტილებაზე.

*განათლება.* ადამიანთა უფლებების დაცვის კონვენციის 26-ე თავის მიხედვით ყველა ადამიანს აქვს უფლება, რომ მიიღოს უფასო პირველადი განათლება (United Nations, 1948). შემდეგი განათლების საფეხურების განათლებას (ტექნიკური და პროფესიული განათლება) ყველა ადამიანს თავის დამსახურების მიხედვით იღებს.

უცხოელი სტუდენტები შეადგენენ მიგრანტთა ყველაზე სწრაფად მზარდ ჯგუფს. ისინი ხელს უწყობენ უმაღლესი განათლების სერვისების განვითარებას. არსებობს კავშირი საერთაშორისო სტუდენტების განათლების მიღებას და მათ შემდგომ მუდმივ მიგრაციას შორის. აღნიშნული ფაქტი აძლიერებს იმ ჰიპოთეზას, რომ მასპინძელი ქვეყნები მოძრაობენ მიგრაციის "ორ – ნაბიჯიანი" სისტემით, რომელიც გულისხმობს საცხოვრებელი ვიზის შემდეგ სამუშაო ვიზის მოპოვებას. სტუდენტი იძენს კვალიფიკაციას და სამუშაო გამოცდილებას, მუდმივ საცხოვრებელ ვიზაზე განაცხადების გაკეთებამდე.

სტუდენტთა მოტივაცია, თუ რატომ სურთ საერთაშორისო განათლების მიღება განსხვავდება, მაგრამ ბოლოდროინდელი კვლევების შედეგად მიგრაციის სურვილი ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად იქნა განსაზღვრული (Marginson, 2003). ასეთ შემთხვევაში, ეკონომისტები მიგრაციას განიხილავენ, როგორც ინვესტირებას, ისევე, როგორც განათლებას (Sjaastad, 1962; Becker, 1962). 2017 წლის იუნესკოს მონაცემებით,



მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში 5,309,240.4 საერთაშორისო სტუდენტი ცხოვრობდა (Unesco, 2019).

საერთაშორისო ორგანიზაციები და უნივერსიტეტების უმეტესობა განვითარებულ ქვეყნებშია და მათი მიზანია მსოფლიოში არსებულ საუკეთესო ტალანტების პოვნა. იმ ახალგაზრდებისათვის, რომლებიც განვითარებად ქვეყანაში ცხოვრობენ, აღნიშნული პერსპექტივა განსაკუთრებით მომხიბვლელია. ზოგიერთ ქვეყანაში განათლების სისტემა იმდენად წარმატებულია, რომ ეს "სერვისი" წარმატებული საექსპორტო ინდუსტრიად გარდაიქმნა.

საუკეთესო პრეტენდენტების შერჩევისათვის ახალგაზრდები გადიან მკაცრ ტესტირებებს. დამატებით, პერსპექტიული კადრების მოზიდვას ხელს უწყობს სხვადასხვა სტუდენტური პროგრამები, როგორცაა ერაზმუსი, რომელშიც 2013 წლისთვის 3.3 მილიონ სტუდენტს და 470,000 აკადემიურ პროფესიონალს ჰქონდა მონაწილეობა მიღებული (European Commission, 2014).

საერთაშორისო განათლების ინსტიტუტის და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 2018 წელს მოპოვებული ინფორმაციით ირკვევა, რომ საერთაშორისო სტუდენტები განათლების მიღებას არჩევენ შემდეგ ქვეყნებში: აშშ, გაერთიანებული სამეფო, ჩინეთი, ავსტრალია, საფრანგეთი და კანადა, ანუ იმ ქვეყნებში (გარდა ჩინეთისა), სადაც 2017 წელს მსოფლიოში არსებული მიგრანტების უმეტესობა ცხოვრობდა (United Nations, 2017).

ბევრი ახალგაზრდა განიხილავს საერთაშორისო განათლებაში ინვესტიციას, როგორც "ბილეთს მიგრაციისთვის" (Rizvi, 2005). ოფიციალური სტატისტიკა საერთაშორისო სტუდენტების დაბრუნების შესახებ მწირია. თუმცა, ცალკეული კითხვარების მეშვეობით მტკიცდება, რომ უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდების მხოლოდ ნახევარი ბრუნდება თავიანთ ქვეყნებში. მაგალითად, გამოკითხული ჩინელი და ინდოელი დოქტორანტების დაახლოებით 80%-ს, სწავლის დასრულების შემდეგ სურს ამერიკაში საცხოვრებლად დარჩენა სურს (Tremblay, 2004).


აშშ-ის ემიგრაციისა და ნატურალიზაციის სამსახურის მიერ აღებული 4200 მიგრანტის დოსიდან (რომელთაც აქვთ დროებითი ცხოვრების ნებართვა/ ვიზა შეერთებულ შტატებში სამუშაოდ (H1B ვიზა)), 23 პროცენტს ამერიკაში პირველად ჩამოსვლისას ჰქონდა სტუდენტური ვიზა (U.S. Immigration and Naturalization Service, 2000).

2007 წელს მსოფლიო ბანკმა და იელის უნივერსიტეტმა ერთობლივი გამოკითხვა ჩაატარეს. კვლევის ერთ-ერთი მიზანი იყო, რომ დაედგინათ ამერიკაში (კონკრეტულად იელის უნივერსიტეტში) ჩამოსული უცხოელი სტუდენტებიდან რამდენი ახალგაზრდა აპირებდა აშშ-ში ცხოვრების გაგრძელებას. გამოკითხულთა 79%-მა დაადასტურა თავისი სურვილი ამერიკაში შემდგომი ცხოვრებისა, 10%-მა უარი განაცხადა იქ დარჩენაზე, ხოლო 11%-ს გადაწყვეტილება მიღებული არ ჰქონდა (DaVanzo, 1983).

ასევე, განვიხილოთ იმ ქართველი სტუდენტების ბედი, რომლებიც უკვე ასე ხშირად იღებენ განათლებას საზღვარგარეთ. ეს ახალგაზრდები, უმეტეს წილად განათლების მისაღებად ტოვებენ სამშობლოს რადგან მათ იმედი აქვთ რომ დაბრუნების შემდეგ მიეცემათ შანსი რომ იპოვონ კარგი სამუშაო ადგილები და შესაბამისად ხელი შეუწყონ თავიანთი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.

ევროპელი ახალგაზრდებისაგან განსხვავებით ქართველი დასაქმების მსურველები სამუშაოს ძებნის დროს ჯერ კიდევ აწყდებიან კლანურ და ჯგუფურ ფსიქოლოგიას, რომელიც დამახასიათებელია აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის. 2017 წელს CRRC-ის მიერ გამოკითხული 2,379 ადამიანიდან 32%-მა დააფიქსირა, რომ საქართველოში სამსახურის საპოვნელად ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი არის ნაცნობობა. ისეთი დეტალები კი, როგორც არის განათლება და პროფესიონალიზმი გამოკითხვაში მხოლოდ მე-2 და მე-3 ადგილს იკავებს (ნახაზი 8).

ნახაზი 8. სამსახურის შოვნისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, 2017 წ.



მედგენილი: კავკასიის ბარომეტრი. 2017. საქართველო. *Caucasusbarometer.org*, [caucasusbarometer.org/ge/cb2017ge/GETJOB/](http://caucasusbarometer.org/ge/cb2017ge/GETJOB/) (31.08.2019)

ზემოთმოცემული ინფორმაციაზე დაყრდნობით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართველ ახალგაზრდებს მრავალი ფსიქოლოგიური და ტექნიკური სიძნელე ხვდებათ რის გამოც მათ უძნელდებათ სამუშაოს პოვნა. მსგავსი ტიპის წინაღობები აჩენს რისკს, რომ ახალგაზრდებს გაუჩნდეთ მიგრაციის სურვილი. ლოგიკურია, რომ წლების განმავლობაში იზრდება იმ ახალგაზრდების რაოდენობა, ვინც უცხოეთში მიდის სასწავლებლად. განათლების საერთაშორისო ცენტრის ინფორმაციით 2008 წელს 2,405 ქართველი სტუდენტი წავიდა უცხოეთში სასწავლებლად.

განათლების საერთაშორისო ცენტრის ინფორმაციით, 2008 წელს 2 405 ქართველი სტუდენტი წავიდა უცხოეთში სასწავლებლად. თსუ-ში ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით სტუდენტების მთავარი მოტივაცია მიგრაციისთვის არის სწავლის გაგრძელება, ფინანსური ინტერესები, უცხო ენის სწავლა, დამოუკიდებლად ცხოვრება და თვითრეალიზების საშუალება (ტუხაშვილი, ცარციძე, ლობჯანიძე, შელია, ლაცაბიძე, 2018).

განათლების საერთაშორისო ცენტრის ინფორმაციით 2014 წლიდან დღემდე დაფინანსდა 650-ზე მეტი ახალგაზრდა უცხოეთში განათლების მისაღებად. ცენტრი აღრიცხავს დასაქმებულთა შესახებ ინფორმაციას წარმოდგენილი დასაქმების შესახებ დოკუმენტების საფუძველზე, რომლის მაჩვენებელია 200-მდე. ყოველწლიურად კურსდამთავრებულთა და დაბრუნებულთა რიცხვი განსხვავდება, რასაც განაპირობებს: აკადემიური პროგრამის ხანგძლივობა; საზღვარგარეთ სამუშაო გამოცდილების დაგროვების მიზნით დარჩენის უფლებით სარგებლობა; სემესტრის დამატება; სადოქტორო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების უფლების სარგებლობა და სასტიპენდიო პროგრამით დადგენილი ვალდებულება თუ რა ვადაში უნდა დაბრუნდეს სტიპენდიატი სწავლის დასრულების შემდეგ.

ამერიკული და ბრიტანული უნივერსიტეტები სწავლის განრიგს და გეგმას ადგენენ, ადგილობრივი კომპანიების მოთხოვნების გათვალისწინებით. აღნიშნული უნივერსიტეტების კურსდამთავრებულები განვითარებად ქვეყანაში დაბრუნების შემდეგ, ისეთ სირთულეებს აწყდებიან, როგორც არის მოძველებული ტექნოლოგია, ბიზნეს-მენეჯმენტის არასათანადო მდგომარეობა კომპანიებში.

სტუდენტები, რომლებიც უკან ბრუნდებიან, ეჯახებიან აბსოლუტურად სხვა რეალობას. ახალგაზრდების მიღებული ცოდნა და შეძენილი უნარები ბევრად უფრო მაღალია ვიდრე ის მოთხოვნები, რომლებსაც მათი სავარაუდო თანამემამულე დამსაქმებლები ითხოვენ. შესაბამისად, მიუხედავად დიდი სურვილისა რომ უცხოეთში მიღებული განათლებული პიროვნება დასაქმდეს, მენეჯერი მაინც უარს ამბობს ასეთი კადრის თავის გუნდში აყვანაზე.

პირველ რიგში ახალგაზრდა თვითონვე უარს ამბობს იმ საწყის პოზიციებზე, რომლებსაც მას სთავაზობენ, რადგან მას თავისი უნარების განვითარება სურს და არა დეგრადირება. ხოლო მეორე მიზეზი, რაოდენ სახალისოდაც არ უნდა ჟღერდეს, ხშირ შემთხვევაში არის ის, რომ უცხოეთში განათლებულ პიროვნებას თვითონ დამსაქმებელზე დიდი სამუშაო უნარი აქვს და შესაბამისად, მენეჯერი „შემინებულ“ პოზაში უარს ამბობს ახალგაზრდის როგორც საშუალო რგოლში მიღებაზე, ასევე მასთან შემდგომ სავარაუდო თანამშრომლობაზე.

შესაბამისად განათლებულ ახალგაზრდებს არსებულ ვითარებაში რჩებათ სამი არჩევანი: პირველი, დათანხმდნენ პირველივე შემოთავაზებულ დაბალ პოზიციაზე დასაქმებას; მეორე, სამსახურის ძებნა გააგრძელონ სამშობლოში სანამ სასურველ ადგილს არ იპოვიან და მესამე, ეძებონ სამუშაო განვითარებულ ქვეყნებში. მიმღებ სახელმწიფოში განათლებული მიგრანტები უფრო მაღალ ხელფასს იღებენ ვიდრე მათ წარმოშობის ქვეყნებში განათლებული პროფესიონალები, განსაკუთრებით თუ ისინი ჩამოდიან დაბალი ხარისხის განათლების სისტემების მქონე ქვეყნებიდან (Coulombe and Tremblay, 2009). მაშასადამე, განათლების მიღება ემიგრაციის მიზნით შესაძლოა პრაქტიკული გამოსავალი იყოს განვითარებადი ქვეყნებში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის.

*პოლიტიკური არასტაბილურობა და კორუფცია.* ომი, პოლიტიკური ცვლილებები, განსხვავებული რელიგიური და პოლიტიკური შეხედულებები, რომლებიც ასე ხშირია განვითარებად ქვეყნებში, აიძულებს განათლებულ ადამიანებს რომ დატოვონ თავიანთი სამშობლო. პოლიტიკური კლიმატი საზოგადოებაში ზეგავლენას ახდენს განათლებულ პირთა მიგრაციის არჩევანზე. ინტელექტუალები ქვეყნის დატოვებამდე ადარებენ ერთმანეთს სამშობლოში და დანიშნულების ადგილზე არსებულ ეკონომიკურ, კულტურულ, სოციალურ და პოლიტიკურ დონეებს (Siegfried, Swaran, 1987).

ირანში 1979 წელს მომხდარმა რევოლუციამ, საფუძველი დაუდო „ტვინების გადინებას“ ქვეყნიდან, რადგან ინტელიგენცია, რომელიც მიუხედავად თავისი მრწამსისა, გამოირჩეოდა ლიბერალური შეხედულებებით მიუღებელი იყო თავისი აზროვნების წესის მიხედვით ახლადმოსული მთავრობისათვის (Hakimzadeh, 2006; Chaichian, 2011).

აფრიკულ ქვეყნებში ჩატარებული გამოკითხვის შედეგად ასევე დადგინდა, რომ ტერორისტული შემთხვევები, პოლიტიკური რევოლუციები, დიქტატურა, სამოქალაქო ომი და ეთნიკური დაპირისპირებები მიგრაციის საფუძველი ხდება (Benedict, Ukpere, 2012).

კვლევების მიხედვით პოლიტიკური რეპრესიები, ადამიანთა უფლებების დარღვევა, პოლიტიკური კორუფცია, პროფესიონალების უპატივცემულობა, სახელმწიფოს არადემოკრატიული მართვა, რელიგიური და ეთნიკური კონფლიქტები ხდება ტვინთა გადინების საფუძველი განვითარებად ქვეყნებში (Oduba, 2003).

რაც შეეხება კორუფციას, იგი დისკრიმინაციის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა. ის პირდაპირ ახდენს გავლენას ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ განვითარებაზე და არაპირდაპირ აფერხებს, როგორც მოქალაქეების კეთილდღეობის ზრდას, ასევე, სახელმწიფოს ზოგად განვითარებასაც. ფინანსურად ძლიერ ჯგუფს ეძლევა შესაძლებლობა, რომ შეცვალოს კონკრეტული კანონი თავისი ინტერესების შესაბამისად, ფულის სანაცვლოდ. ხშირ შემთხვევაში კორუფცია სახელმწიფო მოღვაწეების მიერ სახელმწიფოს ხელში არსებული თანხების მითვისებითაც ხასიათდება.

თანამედროვე მეცნიერული ლიტერატურა მიგრაციაზე ინტერესდება თუ რა კავშირი არსებობს მიგრაციასა და კორუფციას შორის. აღნიშნული საკითხების შესწავლა, ინტენსიურად 2010 წლის მეორე ნახევრიდან დაიწყო. კვლევები ადასტურებს მიგრაციასა და კორუფციას შორის პირდაპირი კავშირის არსებობას (Dimant, Krieger and Meierrieks, 2013; Poprawe, 2015). კორუფცია ხელს უწყობს ემიგრაციას და ხელს უშლის იმიგრაციას, რადგან არავის არ სურს თავისი ეკონომიკური საქმიანობა შეაფერხოს აღნიშნული პრობლემის გამო.

2013 წელს ანდრეა არიუმ და მარა პასკუამარია სქუიჩიარინიმ ჩაატარეს ცდა, სადაც 123 ქვეყნის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით გამოიკვლიეს მიგრაციის "მიმდინარეობა" 1990- 2000 წლებში. შემდეგ კი, კორუფციის ინდექსის და წინასწარ დამუშავებული ინფორმაციის საშუალებით დაადგინეს, რომ კორუფციასა და იმიგრაციას შორის უარყოფითი კორელაციაა (1%). რაც შეეხება ემიგრაციასა და კორუფციას, მათ შორის დადებითი კორელაციაა (Ariu, Pasquamaria Squicciarini, 2013).

სახელმწიფოში, სადაც მაღალი კორუფციაა განათლებული ადამიანები ტოვებენ ქვეყანას და მიგრირდებიან, ხოლო საერთაშორისო მიგრანტები თავს არიდებენ მსგავს

ტერიტორიაზე ცხოვრებასა და მუშაობას. არალეგალური საქმიანობის მაღალი ალბათობა მიუთითებს არასტაბილურ ბიზნეს გარემოზე და მოქალაქეების უფლებების შევიწროვებაზე შესაბამისად კი, მსგავსი რისკების მქონე გარემო სამუშაოდ არამიმზიდველია.

ზოგჯერ, კორუფცია არის გაქცევის/მიგრაციის ერთადერთი მოტივაციაა ქალბატონებისთვის. იმ ქვეყნებში სადაც განსაკუთრებით გავრცელებულია პატრიარქალური კულტურა, ქალბატონებს არა მხოლოდ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების უფლება არ აქვთ, არამედ, მიგრაციისთვის საჭირო ინფორმაციის მიღებისაც. თანხის სანაცვლოდ ისინი პოულობენ ადამიანებს, რომლებსაც აქვთ მათთვის საჭირო ცოდნა და რომლებსაც შეუძლიათ მათი დახმარება გამგზავრებისათვის. თუმცა, აღნიშნული სიტუაციაც საკმაოდ რისკიანია, რადგან არსებობს იმის შანსი, რომ ქალბატონი მიგრაციის და უცხოეთში მუშაობის სანაცვლოდ, ტრეფიკინგის მსხვერპლი გახდეს (Ghosh, 2009; Fleury, 2016; Kawar, 2016).

## **თავი 2. ინტელექტუალური მიგრაციის ეფექტები**

### **2.1 ინტელექტუალური მიგრაციის დადებითი ეფექტები**


*განათლება.* მიგრაცია არის გლობალური მოვლენა, რომელსაც აქვს მრავალი გამოძწვევი მიზეზი და შესაძლო პოლიტიკური შედეგიც. პირველი დადებითი ასპექტი რაც ახლავს განათლებული ადამიანებიდან სამშობლოდან გადინებას არის ის, რომ მიგრანტები იღებენ კიდევ უფრო მეტ პროფესიონალურ, ასევე ზოგად ინფორმაციას. ემიგრანტების რაოდენობის მატება ზრდის ემიგრანტთა ქვეყნის ახალ ღირებულებებთან შეხების ალბათობას. 21-ე საუკუნეში განვითარებული ტექნოლოგიები, ტრანსპორტირების სისტემები და კომუნიკაციის არხები ამარტივებენ სიახლეების გაზიარებას. ინფორმაციის გავრცელებისთვის მრავალი სოციალური და ტექნოლოგიური შესაძლებლობა არსებობს.

განვითარებად ქვეყნებში მცხოვრები პოტენციური ემიგრანტები ცუდ საგანმანათლებლო პირობებში სწავლობენ. იდეა, რომ უნივერსიტეტის დიპლომი

წარმოადგენს გზას სიდუხჭირისგან თავის დასაღწევად ჩვენ სამშობლოში აქტუალობას არ კარგავს. თუმცა, განათლების მაღალი დონე არ ამცირებს უმუშევრობის რისკს. პირიქით, უმაღლესი განათლების მქონე ყოველი მესამე ახალგაზრდა უმუშევარია, მაშინ, როდესაც ევროპის ქვეყნებში უმუშევრობა მხოლოდ ე.წ. "უდიპლომო" მოქალაქეების პრობლემაა.

საქართველოში უმაღლეს განათლებაში ჩადებული ინვესტიცია ჯერ-ჯერობით არაეფექტიანია, რადგან „ჭარბად“ გვყავს განათლების მქონე უმუშევარი ახალგაზრდები. აქედან გამომდინარე, ბუნებრივად ჩნდება კითხვები ქართული განათლების სისტემის პროდუქტიულობის შესახებ. UNICEF-ს 2014 წლის დაკვირვებების შედეგად დადგინდა, რომ ახალგაზრდებში (განათლების დონის მიხედვით), ყველაზე დიდი დასაქმების დონე -55% განათლების არ მქონე პირებს აქვთ, მაშინ როდესაც უმაღლეს დამთავრებულების 54%-ს აქვს სამსახური (ნახაზი 9).

ნახაზი 9. დასაქმების დონე განათლების დონის მიხედვით, 2014 წ.



შედგენილი: კავკასიის ბარომეტრი. 2017. საქართველო. [Caucasusbarometer.org](http://Caucasusbarometer.org), [caucasusbarometer.org/ge/cb2017ge/GETJOB/](http://caucasusbarometer.org/ge/cb2017ge/GETJOB/) (31.08.2019)



პოსტსაბჭოთა ქვეყნების გარდა, განვითარებად ქვეყნებში ძალიან მცირე რაოდენობის ადამიანი ახერხებს უმაღლესი განათლების მიღებას. თავიანთ ქვეყანაში სიდუხჭირის გამო ახალგაზრდებს ნაადრევად უწევთ მუშაობის დაწყება თავისა და ოჯახების სარჩენად, ხოლო ის პიროვნებები, რომლებიც იღებენ უმაღლეს განათლებას, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ვერ ახერხებენ დასაქმებას მათი გონებრივი განვითარების შესაბამისად.

მიგრაციის შემთხვევაში ადამიანს უკეთესად ცხოვრების შესაძლებლობა ეძლევა. ეკონომისტები მაგალითად საასტადი (1962) და ბეკერი (1962) მიიჩნევენ, რომ მიგრაცია განათლებაში ინვესტიციაა. მიგრანტ სტუდენტებს სწავლის დროს ეძლევათ შანსი, რომ საგანმანათლებლო დაწესებულების მეშვეობით არა მხოლოდ შეიძინონ სასურველი განათლება და სამუშაო უნარ-ჩვევები არამედ დაამყარონ პირადი კონტაქტებიც, რომლებიც მათ დაეხმარებათ, რომ თავიანთი ცოდნის შესაფერისი სამუშაო იპოვონ. უნივერსიტეტები სთავაზობენ მოსწავლეს ალმა მატერშივე დასაქმებას ან ხელს უწყობენ პერსპექტიულ ახალგაზრდებს, რომ ადგილობრივ ღირსეულ ორგანიზაციებში დაიწყონ კარიერა. მშობლიური კერისგან განსხვავებით მათ არ აწუხებთ ხელოვნური ბარიერები და პოლიტიკური დამაბულობა ქვეყანაში. მინიჭებული ინტელექტუალური ავტონომია აძლევს პიროვნებას საშუალებას რომ მიიღოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები და შესაბამისად, თავი იგრძნოს დაფასებულად. რაც მთავარია, შესრულებული სამუშაოსთვის ემიგრანტს შესაბამისი ხელფასსაც უხდიან, რაც წინაპირობაა შემდგომი განვითარების წინაპირობაა.

მიგრაცია აუმჯობესებს ადამიანის მატერიალურ და ემოციურ მდგომარეობას (Epstein, Radu, 2007). ხშირად, რაც უფრო "მაღალი" სტატუსი აქვს ადამიანს საზოგადოებაში, უფრო მეტად მოსწონს მას ლიბერალური ღირებულებები (Schäfer, Steger, 2011). ემიგრანტებში ფინანსური შემოსავლის ზრდა, ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება (თანამამულებთან შედარებით) თვითკმაყოფილების შეგრძნებას იწვევს. ჩატარებული კვლევების მიხედვით ემიგრაციაში ემიგრანტებს შეეხება აქვთ მიმღები სახელმწიფოსთვის დამახასიათებელ განსხვავებულ სოციალურ-კულტურულ

ღირებულებებთან. ისინი ასევე, იძენენ დამატებით ცოდნას ახალ ეკონომიკურ მოდელებზე და ინსტიტუტებზე.

მიგრანტები ერთმანეთთან ადარებენ მიმღებ ქვეყანასა და აკეთებენ დასკვნას თუ რამდენად სწორად მოქმედებს განათლების, სასამართლოს სისტემა ან თუ რამდენად უფრო ტოლერანტული არიან მიმღები ქვეყნის მოქალაქეები განსხვავებული აზრის მიმართ (Bălăţescu, 2007). დამატებითი ინფორმაციის მიღება კი ზრდის მათ ცოდნას პოლიტიკაზე. სიტუაციის შედარება და ანალიზი გავლენას ახდენს სამშობლოში არსებულ ვითარებისადმი მიგრანტების დამოკიდებულებაზე. ის ემიგრანტები, რომელიც თავს აღწევენ დიქტატორულ მმართველობას, ცდილობენ ახალ გარემოში შექმნილი დემოკრატიული ფასეულობების გავრცელებას თავიანთ სამშობლოში. (Amnesty International reports, 2017; Boswell, Curtis, 1984).

უცხო ქვეყნის ღირებულებების გაზიარების წყარო შეიძლება გახდნენ, როგორც სამშობლოში დაბრუნებული მიგრანტები (ე.წ word of mouth marketing, ანუ სიტყვიერი მარკეტინგის მეშვეობით) ასევე, სოციალური ქსელები და ისეთი საკომუნიკაციო საშუალებები, როგორც არის სკაიპი (Docquier et al., 2014) .

ინფორმაციის გაცვლის შედეგად სამშობლოში დარჩენილ ადამიანებს მოთხოვნა უჩნდებათ გაუმჯობესებულ პოლიტიკურ ინსტიტუტებზე, როგორც არის დემოკრატია და ცხოვრების მაღალი დონე. გაუმჯობესებული ეკონომიკური მდგომარეობა აძლევს ემიგრანტებს საშუალებას, რომ ლობირება გაუწიონ სხვადასხვა პოლიტიკურ გუნდს თუ ინსტიტუტს. ემიგრანტებს აქვთ არჩევნებში მონაწილეობის და ხმის მიცემის უფლება. მათ ასევე, შეუძლიათ დააფინანსონ მათთვის სასურველი პოლიტიკური პარტია და პოლიტიკოსები. თანხები კი შეიძლება მოხმარდეს კონკრეტული პოლიტიკური ინტერესების პიარს ან თუნდაც გამოსვლების დაგეგმვას.

შესაბამისად, სახელმწიფოს მმართველების მიმართ ჩნდება მოთხოვნა, რომ უკეთესი მენეჯმენტის ხარჯზე გაიზარდოს ხალხის ცხოვრების დონე. გაუმჯობესებული პირობები კი გრძელვადიან პერსპექტივაში შეამცირებს ემიგრანტების რაოდენობას. სამშობლოში დაბრუნების შემთხვევაში, ყოფილ ემიგრანტებს თავიანთ

თანამემამულეებთან შედარებით გააჩნიათ უცხოეთში მუშაობის სტაჟი და პრესტიჟი. შესაბამისად, მათი გამოცდილება და მათ ხელთ არსებული ინფორმაცია ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკის პროგრესს. ლათინურ ამერიკაში ჩატარებული კვლევების შედეგად დგინდება, რომ ის ემიგრანტები, რომლებიც დაბრუნდნენ სამშობლოში ამერიკიდან, უფრო დემოკრატიული და ლიბერალური იყვნენ ვიდრე მათი თანამემამულეები (Pérez-Armendáriz, Crow, 2010).

მაშასადამე, უცხოეთში მიღებული ინფორმაცია და განათლება ემიგრაციის დადებითი მხარეებია, რადგან მათ საფუძველზე ემიგრანტებს ეძლევათ შესაძლებლობა, რომ განავითარონ თავიანთ ქვეყანაში არსებული სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური რეალობა. ემიგრაციაში მიღებული ცხოვრებისეული გამოცდილების შესაბამისად ინტელექტუალურ მიგრანტებს აქვთ საშუალება გაუზიარონ შთაბეჭდილებები თავიანთ ახლობლებს/ მეგობრებს, რის შედეგადაც საზოგადოებაში გაჩნდება მოთხოვნა ცვლილებებზე. ხშირ შემთხვევაში ემიგრანტები ასევე, ხდებიან თავიანთი საზოგადოების განმანათლებლები რადგან ისინი მიღებულ სამუშაო გამოცდილებას, პროფესიულ ცოდნას, თავიანთ თანამოქალაქეებს უზიარებენ.

*ინოვაციების გავრცელება.* ტვინთა გადინების“ ერთ-ერთი დადებითი მხარე ემიგრანტების მიერ მიღებული ინფორმაციის განვითარებად ქვეყნებში გავრცელებაა. ინოვაციების გავრცელებაც სწორედ ინფორმაციის გაცვლით ხდება.

არსებობს ინფორმაციის გაცვლის ფორმა, მაგალითად, როდესაც კოლეგები კონფერენციებზე ერთმანეთს ხვდებიან, შეუძლიათ ერთმანეთს გააცნონ თუ რა სიახლეებზე მუშაობენ ან დაეხმარონ ერთმანეთს საკონტაქტო პირების მოძიებაში.

როგორც გაეროს კვლევებით დგინდება იმ ქვეყნებში, სადაც იზრდება ემიგრანტების რაოდენობა, ასევე იზრდება პატენტების რაოდენობაც (Clemens, 2017). არის შემთხვევები, როდესაც მიგრანტები მიმღებ ქვეყნებში არსებული იდეების დაპატენტებას სამშობლოში ცდილობენ.

ემიგრანტები ბევრად უფრო პროდუქტიულები არიან მიმღებ სახელმწიფოებში ვიდრე თავიანთ სამშობლოში. გაეროს პროგნოზით, მსოფლიოში ემიგრანტების წყალობით, დაახლოებით სამი ტრილიონ დოლარზე მეტი ღირებულების პროდუქტი იქმნება (United Nations, 2016).

მიგრანტებს აქვთ საშუალება, რომ ეკონომიკური ურთიერთობა განავითარონ სამამულო და მიმღებ ქვეყნებს შორის. მათ შეუძლიათ გახდნენ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წყარო ახალი ნაცნობებისა და მიმღებ ქვეყანაში არსებული ინფორმაციის წყალობით. რადგან მიგრანტებს აქვთ ცოდნა სამშობლოში არსებულ კულტურაზე, ბიზნესის, ეკონომიკის და პოლიტიკის მდგომარეობაზე, ისინი ხდებიან "გიდეები" უცხოელი ინვესტორებისთვის. ემიგრანტების ხელთ არსებულ ინფორმაციიდან გამომდინარე, გერმანიაში მოღვაწე მეცნიერს კუსუმ მუნდრას დაკვირვებებით, მიგრანტები უცხოელი ინვესტორების ნდობით სარგებლობენ (განსაკუთრებით იმ სახელმწიფოებში, სადაც კანონი დაცული არ არის) (Mundra, 2014).

ინვესტორები დაინტერესებულები არიან ბიზნესის გაფართოებით და შემოსავლის ზრდით. განვითარებად ქვეყანაში ბიზნესის დაწყება კი, შემოსავლის გამრავალფეროვნებასთან და ნაკლებ დანახარჯებთან ასოცირდება (განვითარებად ქვეყნებში, როგორც უძრავი ქონება, ასევე ადამიანთა დასაქმება არ არის ძვირადღირებული). ამავდროულად, განვითარებად ქვეყანაში უცხოური ინვესტიციის შეედინება ეკონომიკის განვითარებას უწყობს ხელს.

გარდა ამისა, ზოგიერთი ეკონომიკური წყაროები ამტკიცებენ, რომ უცხოური ინვესტიციები გრძელვადიან პერსპექტივაში პოტენციური ემიგრანტების რიცხოვნობას ამცირებს (Sauvant, Mallampally, Economou, 1993).

ექსპერტების ნაწილი აღნიშნავს, რომ მხოლოდ განათლებული და პროფესიონალი ემიგრანტები ხდებიან პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მასტიმულირებელი წყარო თავიანთ ქვეყნებში (Javorcik, Ozden, Spatareanu, 2011). 1999-2000 წლებში ამერიკაში ჩატარებული დაკვირვებებით დადგინდა, რომ წარმატებული იმიგრანტების წყალობით მათივე წარმომშობის ქვეყანაში აშშ-ში კომპანიების

ინვესტიციის ალბათობა უფრო მაღალი იყო ვიდრე იმ კომპანიებში, სადაც ნაკლებად გამოცდილი იმიგრანტები საქმიანობდნენ (El Yaman, Kugler & Rapoport, 2007).

შეიძლება ითქვას, რომ გარდა ინფორმაციისა, ინოვაციები და ეკონომიკური განვითარების მოტივაცია არის ტვინთა გადინების ერთ-ერთი პოზიტიური მხარე. მიუხედავად იმისა, რომ განათლებულ ადამიანებს არ ეძლევათ საშუალება პროფესიულად განვითარდნენ თავიანთ ქვეყანაში და შექმნან შესაბამისი ინოვაციები, უცხოეთში შეძენილი შესაძლებლობებით და/ან ნაცნობებით შესაძლებელია ადგილობრივი ეკონომიკის წახალისება და ახალი ინვესტიციების მოზიდვა.

*მოქალაქეების დაბრუნება.* ყოველწლიურად მილიონობით ემიგრანტი ბრუნდება თავის სამშობლოში. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) პროგნოზით 5 ემიგრანტიდან 2 სამშობლოში დაბრუნების გადაწყვეტილებას იღებს ემიგრაციაში გამგზავრებიდან ხუთ წელიწადში (Dumont, Spielvogel, 2008). თუმცა, ზუსტი სტატისტიკის დადგენა შეუძლებელია რადგან ცალკეული სახელმწიფოები ამ მონაცემებს არ აღრიცხავენ. ლიტერატურა დაბრუნებულ მიგრანტებზე საკმაოდ მწირია და ის ძირითადად შეისწავლის თუ რა დადებითი ასპექტები მოუტანეს აღნიშნულმა პირებმა კონკრეტულ ქვეყნებს.

საერთაშორისო მიგრაციის ორგანიზაციის მონაცემებით, არსებობს როგორც სპონტანური დამბრუნებელი მიგრანტის/მიგრაციის (როდესაც ადამიანი ბრუნდება თავის სამშობლოში საერთაშორისო და/ან ეროვნული დახმარების/ ვალდებულების გარეშე), ასევე ნებაყოფლობითი დაბრუნებული მიგრანტების/ მიგრაციის განმარტებები (ადმინისტრაციული/ ლოჯისტიკური/ ფინანსური და რეინტეგრაციულ მხარდაჭერაზე უარყოფილი თავშესაფრის მაძიებლები/ ტრეფიკინგის მსხვერპლი/ იძულებით გადაადგილებული მიგრანტები/ კვალიფიციურ მოქალაქეები და სხვა მიგრანტები, რომელთაც არ შეუძლიათ ან არ სურთ დარჩენა მასპინძელ ქვეყანაში, რომლებიც საკუთარი სურვილით დაბრუნდნენ სამამულო ქვეყნებში) (IOM, 2015).

სხვადასხვა კვლევების მიხედვით არსებობს ემიგრანტების უკან დაბრუნების ძირითადად ოთხი მიზეზი:

1. მიმღები ქვეყნის კულტურასთან ინტეგრაციის სიძნელე;
2. პიროვნების სიმპათიები თავისი სამშობლოს მიმართ;
3. სასურველი თანხის შეგროვება;
4. სასურველი სამუშაოს მოძებნა მშობლიურ ქვეყანაში, მიმღებ ქვეყანაში მიღებული გამოცდილების შედეგად.

დაბრუნებული ემიგრანტების გავლენა სამშობლოს განვითარებაზე შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის და ეს ფაქტი დამოკიდებულია იმაზე თუ რა რესურსით ბრუნდებიან. მსოფლიო ბანკის ინფორმაციით, 1993 წლიდან 2001 წლამდე ირლანდიაში მსკ-ს საშუალოდ 8.6% წლიური ზრდა, სწორედ დაბრუნებული ემიგრანტების დამსახურება იყო (Debnath, 2016).

ყველაზე დიდი და საჭირო რესურსი, რომელიც ყოფილმა მიგრანტმა სამშობლოში შეიძლება ჩამოიტანოს, არის ემიგრაციაში მიღებული განათლება და გამოცდილება, ფინანსები და ნაცნობებთან კავშირი.

კვლევებით დგინდება, რომ ძირითადად დაბრუნებული ემიგრანტები საკუთარი ბიზნესის დაწყებას ამჯობინებენ. ეს ტენდენცია შეიმჩნევა თანამედროვე რეალობაშიც (Piracha, Vadean, 2010; Wahba, Zenou, 2012) და აქტუალური იყო 1980-იან წლებშიც, როდესაც გერმანიიდან წასული მიგრანტები თავიანთ ქვეყნებში ბრუნდებოდნენ (Dustmann, Kirchkamp, 2002).

სამშობლოში თავიანთი ბიზნესის დაწყებით ემიგრანტებს მიკრო ეკონომიკაზე შეუძლიათ იქონიონ გავლენა. ის გამოცდილება რომელიც მათ მიიღეს უცხოეთში და ამ ინფორმაციის გადაცემა ადგილობრივებისთვის, უზრუნველყოფს გარკვეული ინდუსტრიების სწრაფ წინსვლას. სწორად ამიტომ სახელმწიფოები ცდილობენ, რომ განათლებული მიგრანტები სამშობლოში უკან დააბრუნონ. საგანმანათლებლო მიგრაციის ეფექტურ მართვას შეუძლია ხელი შეუწყოს ქვეყნის კომპლექსური განვითარების პოტენციალს (ხარაიშვილი, ჩავლეიშვილი & ლობჯანიძე, 2018). ჩინეთის მთავრობის ინფორმაციით დაბრუნებული მიგრანტები დიდ როლს თამაშობენ ინოვაციების დანერგვასა და განვითარების კუთხით.

კონკრეტულად, დაბრუნებული მოქალაქეების წყალობით ჩინეთს ახალი აკადემიური მიღწევები აქვს. ჩინეთის განათლების სამინისტროს მონაცემებით, ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიაში აკადემიკოსების 81%-ს უცხოეთში აქვს განათლება მიღებული. დაბრუნებული მოქალაქეები, რომლებიც საკუთარი ბიზნესის დაწყებას არჩევენ, უმეტესად მეცნიერებასთან დაკავშირებულ პროექტებს აფინანსებენ. ჩინეთში დარეგისტრირებული პატენტების 44% სწორედ დაბრუნებულ ემიგრანტებს ეკუთვნით (Wang, 2019).

დაბრუნებულ ემიგრანტებზე ინფორმაციის მოპოვების გამოცდილების გათვალისწინება სასურველია საქართველოშიც. რესურსები (მათ შორის ტექნოლოგიური ინოვაციები), რომლებიც შეიძლება უკან დაბრუნებულმა ადამიანებმა შეიძლება გამოსადეგი იყოს ისეთ ინოვაციური პროექტების გასანვითარებლად როგორცაა: "ინოვაციური- საქართველო- 2030" (მექვაბიშვილი, 2016) (პროექტი ხელს შეუწყობს ინოვაციური კულტურის ჩამოყალიბებას, მეცნიერების და საგანმანათლებლო სისტემის შექმნას, ინოვაციურ ბიზნესში კაპიტალის მოზიდვას) და ქართული მეწარმეობის უნივერსიტეტის მოდელის შექმნა (გაგნიძე, ბერიძე, 2015).

მშობლიურ მხარეში დაბრუნება ბევრ ემიგრანტს საშუალებას აძლევს, რომ სხვებისგან გამოირჩეოდეს უცხოეთში მიღებული გამოცდილებითა და განათლებით. USAID-ის დასკვნით, ალბანეთში სოფლის მეურნეობის აღორძინება სწორედ იმ უკან დაბრუნებული ემიგრანტების, სამუშაო ტექნიკის და განათლების, დამსახურებაა, რომლებიც საბერძნეთში მუშაობდნენ (Neven, 2009).

ასევე, დაბრუნებული მიგრანტები ხშირად იკავებენ იმაზე ბევრად მაღალ პოზიციებს, ვიდრე მათ პროფესიულ განვითარებას შეესაბამება. განსაკუთრებული წარმატებებით გამოირჩევიან ის მიგრანტები, რომლებიც სამშობლოში ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციაში (OECD) შემაჯავალი ქვეყნებიდან ბრუნდებიან. აღნიშნული ფაქტი მტკიცდება ბრაზილიაში, ჩილეში, კოსტა რიკაში და სამხრეთ აფრიკაში დაბრუნებული ემიგრანტების შემოსავლების და სამუშაო

პოზიციების შესწავლის შედეგად (Gubert, De Vreyer, Robilliard, 2007; Dumont and Spielvogel, 2008).

ზემოაღნიშნული წყაროების ანალიზის საფუძველზე ცხადია, რომ დაბრუნების შემთხვევაში ინტელექტუალი მიგრანტები დადებით გავლენას ახდენენ ქვეყნის ეკონომიკის ისეთ მონაცემებზე, როგორც არის მსპ. ემიგრაციაში დაგროვილი თანხების წყალობით ემიგრანტები აგრეთვე აწვითარებენ ადგილობრივ ბიზნესგარემოს. უცხოეთში მიღებული ცოდნის საფუძველზე ისინი აგრძელებენ წარმატებულ პროფესიულ კარიერს სამშობლოში და ხელს უწყობენ სხვადასხვა დარგის განვითარებას.



*ფულადი გზავნილები.* ფულადი გზავნილები მრავალი ქვეყნისთვის (განსაკუთრებით განვითარებადი სახელმწიფოებისთვის) ერთ-ერთ მთავარ შემოსავალს წყაროს და ეკონომიკური განვითარების საფუძველს წარმოადგენს. აღნიშნული შემოსავლის წყარო ეკონომიკური კრიზისების და ბუნებრივი კატაკლიზმების დროსაც მდგრადობით გამოირჩევა (Mohapatra, Joseph, Ratha, 2012) შესაბამისად, მიგრაციის ზოგადი ეფექტების და დადებითი ასპექტების განხილვისას მნიშვნელოვანია ფულადი გზავნილების მიმოხილვაც.

უცხოეთიდან ემიგრანტების მიერ ფულის გამოგზავნა არის ტვინთა გადინების ერთ-ერთი დადებითი ასპექტი, რომელიც პოზიტიურია არა მხოლოდ სამშობლოში დარჩენილი ნათესავებისთვის და მეგობრებისთვის არამედ, თვითონ განვითარებადი ქვეყნის ეკონომიკისათვის და მთლიანი სამამულო პროდუქტის ზრდისთვის (GNP).

ექსპერტები აღნიშნავენ, რომ გზავნილების სიდიდე პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისგან განსხვავებით, მზარდია. მსოფლიო ბანკის ინფორმაციით 2018 წელს 689 მილიარდი დოლარი იქნა გადარიცხული ემიგრანტების მიერ თავიანთ სამშობლოში. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ზემოაღნიშნული თანხიდან 529 მილიარდი დოლარი ჩაირიცხა დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებში. ხსენებული საერთაშორისო ორგანიზაციის გათვლებით ეს მაჩვენებელი 2019 წელს 550 მილიარდ დოლარს მიუახლოვდება (World Bank, 2019).




ნახაზი 10. ფულადი გზავნილების მიმღები პირველი ათეული ქვეყანა, 2016- 2018 წ.



შედგენილი და დაანგარიშებული: *The World Bank. 2019. Migration and Remittances Team Social Protection and Jobs. <https://www.knomad.org/sites/default/files/2019-04/Migrationanddevelopmentbrief31.pdf>. (31.08.2019) ;*

2018 წელს, ინდოეთზე, ჩინეთზე, მექსიკაზე, ფილიპინებზე და ეგვიპტეზე მოდიოდა მსოფლიო ფულადი გზავნილების „ლომის წილი“ (ნახაზი 10). ყველაზე დიდი თანხების "გამგზავნი" ქვეყანა კი 2018 წელს აშშ იყო, საიდანაც 68.5 მილიონი დოლარი იქნა გაგზავნილი მიგრანტების მიერ მთელს მსოფლიოში. შეერთებული შტატები ინარჩუნებს გზავნილების გადამრიცხავ ქვეყნებს შორის ლიდერობას. "გადამრიცხავი" ლიდერი ქვეყნების ხუთეული ასე გამოიყურება: არაბთა გაერთიანებული საამიროები (\$ 44 მილიონი 2017 წ. მონაცემებით), საუდის არაბეთი (\$33.1 მილიონი), შვეიცარია (\$26.7 მილიონი) და გერმანია (\$25.4 მილიარდი) (ნახაზი 11).


ნახაზი 11. ფულადი გზავნილების გამგზავნი ქვეყნები, 2010-2018 წ.



შედგენილი და დაანგარიშებული: *The World Bank. 2019. Migration and Remittances Data. <https://www.worldbank.org/en/topic/migrationremittancesdiasporaissues/brief/migration-remittances-data>. (15.11.2019)*


ევროპასა და ცენტრალურ აზიაში, მსოფლიო ბანკის მონაცემებით ყველაზე დიდი რაოდენობით გზავნილები უკრაინაში გადაირიცხა (\$ 14.4 მილიარდი) (ნახაზი 12).

ნახაზი 12. ფულადი გზავნილების სიდიდე ქვეყნების მიხედვით (ევროპაში და ცენტრალურ აზიაში), 2010- 2018 წ.



შედგენილი და დაანგარიშებული: *The World Bank. 2019. Migration and Remittances Data.*  
<https://www.worldbank.org/en/topic/migrationremittancesdiasporaissues/brief/migration-remittances-data>. (15.11.2019)

ნახაზი 13. ფულადი გზავნილების სიდიდე ქვეყნების მიხედვით (მსკ-ს %)(ევროპაში და ცენტრალურ აზიაში), 2010- 2018 წ.



შედგენილი და დაანგარიშებული: *The World Bank. 2019. Personal remittances, received (% of GDP). <https://data.worldbank.org/indicator/BX.TRF.PWKR.DT.GD.ZS>. (15.11.2019)*


გარდა გადარიცხვების ძირითადი მიმღები ქვეყნებისა, საინტერესოა, რომ მსოფლიო ბანკი აღრიცხავს იმ სახელმწიფოებსაც, სადაც გზავნილები ეროვნული მსკ-ს დიდ ნაწილს შეადგენს. 2018 წელს აღნიშნული ქვეყნების სია შემდეგნაირად გამოიყურებოდა: ტონგა (35.2%), ყირგიზეთის რესპუბლიკა (33.6%), ტაჯიკეთი (31%), ჰაიტი (30.7%), ნეპალი (28%). აღსანიშნავია, რომ 1993 წელს გზავნილების მოცულობა ნეპალის მსკ-ს მხოლოდ 1.5% შეადგენდა (ნახაზი 10).

ევროპასა და ცენტრალურ აზიაში აღნიშნულ სიის ხუთეულში საქართველოც შედის, სადაც 2018 წელს გზავნილების რაოდენობამ მსკ-ს 11.6% შეადგინა (ნახაზი 13). 2019 წლის ივნისის მდგომარეობით საქართველოში დაახლოებით 806 მილიონი აშშ დოლარის გზავნილები გადმოირიცხა (საქართველოს ეროვნული ბანკი, 2019). ფულადი

გზავნილების მოცულობის მზარდი ტენდენციის შენარჩუნებას ვარაუდობენ ექსპერტები.

ეროვნული ბანკის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის მიხედვით ბოლო 11 წლის განმავლობაში საქართველოში ფულადი გზავნილები ძირითადად ფიქსირდებოდა რუსეთიდან, იტალიიდან, საბერძნეთიდან, აშშ-დან და ისრაელიდან (ნახაზი 14). ამასთან, იგივე მონაცემებით, რუსეთი ლიდერი ქვეყანაა გზავნილების გადმორიცხვით.

ნახაზი 14. ფულადი გზავნილები საქართველოში ქვეყნების მიხედვით 2008-2019 წ.



შედეგნილი: National Bank Of Georgia. 2019. Remittances in Georgia. <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304> (31.08.2019)

რა სიდიდის თანხას გადმორიცხავს კონკრეტული მიგრანტი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა შემოსავალი ან დანაზოგი რჩება მას. ასევე, მნიშვნელოვანია თუ რა

მოტივაციით აგზავნის ემიგრანტი თანხებს თავის სამშობლოში და მისი ოჯახობრივი მდგომარეობა (ყავს თუ არა მას ოჯახი). ლოველ და დე ლა გარცას (2000) მიერ ლათინურ ამერიკელების ემიგრაციაზე დაკვირვებით დადგინდა, რომ ემიგრანტის მიერ თანხების გადარიცხვის ალბათობა იზრდება 25%-ით თუ მას ოჯახი და შვილები ჰყავს.

მუდმივად მზარდი შემოსავლის წყარო და მისი ეფექტი გლობალური ეკონომიკა მთელს მსოფლიოში მოღვაწე მეცნიერების ინტერესსაც იწვევს. მსოფლიო ბანკის მკვლევარები გადარიცხვების განმაპირობებელ ორ ძირითად მიზეზს ასახელებენ. პირველი ეს არის ზნეობრიობა, ალტრუიზმი, რომელიც ემიგრანტებს აქვთ თავიანთი ოჯახის მიმართ.

ზნეობრივი "მოდელის" მხარდამჭერების აზრით, გზავნილების მოცულობა იზრდება ემიგრანტის შემოსავლის ზრდასთან ერთად. თუმცა, დროთა განმავლობაში გადმორიცხული თანხების მოცულობა მაინც მცირდება, რადგან ემიგრანტისა და მისი ოჯახის დამოკიდებულება იცვლება (განსაკუთრებით თუ ემიგრანტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ აღარ დაბრუნდეს სამშობლოში). მეორე მიზეზი კი არის ემიგრანტის მიერ გამოიმუშავებული შემოსავლის ინვესტირება სხვადასხვა ფინანსურ ინსტრუმენტში, რომელიც "მოიპოვება" სამამულო ქვეყანაში. ტონგა და დასავლეთ სამოას ემიგრანტების კითხვარების ანალიზის შედეგად დგინდება, რომ ემიგრანტები თანხებს საკუთარი ფინანსური მიზნების დასაკმაყოფილებლად აგზავნიან. კონკრეტულად, მათ სამშობლოში აქტივების დაგროვების და ინვესტიციების სურვილი აქვთ (Brown, 1997).

მამასადამე, ფულადი გზავნილები დიდ გავლენას ახდენენ ემიგრანტების სამშობლოში დარჩენილი ოჯახის დასაქმების, მიგრაციის, განათლების გადაწყვეტილებებზე ისევე, როგორც ემიგრანტების სამშობლოში ფინანსური ინსტრუმენტების განვითარებაზე. ორივე შემთხვევაში გზავნილები ხელს უწყობს ეროვნული ეკონომიკის სტიმულირებას და განვითარებას.

წლების განმავლობაში ჩატარებული მრავალი კვლევის მიხედვით დასტურდება, რომ გზავნილებსა და ეკონომიკურ განვითარებას შორის პოზიტიური დამოკიდებულება

არსებობს. ბიჩაკა ფაისა და კრისტიან ნსიაჰის მიერ 2008 წელს გამოცემულ ნაშრომში გაანალიზებული არის აფრიკის, აზიის და ლათინურ ამერიკის 64 სახელმწიფოს სტატისტიკა 1987-დან 2007 წლამდე. ხოლო მიგელ ლეონ-ლედასი და მატლოზ პირაჩასა (2004), მათეო ბუგამელი და ფრანცესკო პატერნო (2011) დაკვირვებების შედეგად ამტკიცებენ, რომ ცენტრალურ ევროპულ ქვეყნებში (CEE countries) ფულადი გზავნილები ხელს უწყობს ქვეყნების მაკროეკონომიკურ ზრდას.

საინტერესოა თუ რას ხმარდება ემიგრანტების მიერ სახლში გაგზავნილი ფული. მსოფლიო ბანკის 2015 წლის მონაცემებით ირკვევა, რომ ძირითადად თანხები იხარჯება ისეთ პირველად პროდუქტებზე, როგორც არის მაგ. საკვები, ტანისამოსი და ა.შ (World Bank, 2016).

მას შემდეგ რაც გზავნილების მიმღებ ოჯახს აქვს საშუალება დაიკმაყოფილოს პირველადი მოთხოვნილება (მაგალითად, საკვები და ტანსაცმელი), შემდეგ უკვე დგება თანხების სხვა "პროდუქტებში" ინვესტირების საკითხები. შესაბამისად, ფულადი გზავნილების თანხები ასევე, ხმარდება უძრავი ქონების შეძენას (ბინების, მიწის და ა.შ), კერძო ბიზნესების დაწყებას და განათლების მიღებას. გზავნილებით მიღებული განათლება საშუალებას აძლევს მომავალ თაობებს, რომ დააჩქარონ თავიანთი ქვეყნის მომავლის განვითარება.

ფულადი გზავნილების მიღება ასევე შესაძლებლობას აძლევს საშუალო და დაბალი ფენის ემიგრანტების ოჯახებს, რომ შეიძინონ ფუფუნების საგნები, მაგალითად სამკაულები.

მიგრანტების პროფესიულ განვითარებასთან ერთად ხშირ შემთხვევაში არ იზრდება მათ მიერ სამშობლოში გამოგზავნილი ფულის რაოდენობა. ეს გამოწვეულია, იმ ფაქტით, რომ განვითარებადი ქვეყნის მოქალაქეები ხშირად ცდილობენ, რომ თავიანთი ოჯახის წევრებიც წაიყვანონ თავიანთ საცხოვრებელ ქვეყანაში.

ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტსაც, რომ გზავნილების ტრანსფერების მომსახურება მსოფლიოში ერთ-ერთი შემოსავლიანი ბიზნესია. დღეის მდგომარეობით მიგრანტებს

თავიანთ სამშობლოში ფულის გაგზავნა შეუძლიათ ბანკების, ფოსტის და არასაბანკო ინსტიტუტების მეშვეობით (რომლებსაც ისეთი სერვისები აქვთ, როგორც არის ბარათით გადახდა, ნაღდი ფულის მიღება და ა.შ). გზავნილების მომსახურე კომპანიები ანვითარებენ ინოვაციურ, ელექტრონულ პროდუქტებს დამატებით მომხმარებლების მოსაზიდად.

მსოფლიო ბანკის მონაცემებით, ყველაზე ძვირადღირებული სერვისებს ბანკები სთავაზობენ მომხმარებლებს. 2019 წლის მონაცემებით, ისინი გადარიცხული თანხის 10.9% იღებენ საკომისიოს სახით, როდესაც ფოსტა მხოლოდ 7.6%-ს ითხოვს (Ong & Imtiaz, 2018).

გზავნილები იმდენად მნიშვნელოვანია სახელმწიფოების მმართველებისთვის, რომ საერთაშორისო მონეტარულ ფონდს მითითებებიც კი აქვს თუ სად უნდა იყოს აღნიშნული ფულადი ტრანსფერები მითითებული ქვეყნის საგადახადო ბალანსში. მაგალითად, იმ ადამიანთა გზავნილები, რომლებიც 12 თვეზე ნაკლები დროის განმავლობაში არიან უცხოეთში, "შემოსავლის" კატეგორიაში განიხილებიან. იმ პირების გადარიცხვები კი, რომლებიც 12 თვეზე მეტი ხანია ემიგრაციაში იმყოფებიან "მიმდინარე ტრანსფერებში" უნდა იყოს მითითებული.

თუმცა, ყველა სახელმწიფოს ეროვნული ბანკი არ ითვალისწინებს სსფ-ს მითითებს. მსოფლიო ბანკის 2015 წლის მონაცემების მიხედვით, ჩეხეთის და ბულგარეთის ეროვნული ბანკები მიღებულ გზავნილებს "სხვა მიმდინარე გადარიცხვები სხვა სექტორებში" მიუთითებენ (International Fund for Agricultural Development, 2015).

ტვინთა გადინების ანალიზის დროს, გზავნილები ყველაზე აქტიურად განხილული საკითხია როგორც საზოგადოებისთვის ასევე, ეკონომისტებისათვის. გზავნილების ეფექტის განსაზღვრა ანვითარებად სახელმწიფოების ეკონომიკაზე და ემიგრანტების ოჯახებზე მნიშვნელოვანია. ფულადი ტრანსფერების შედეგად იცვლება მიგრანტების დარჩენილი ოჯახების ფინანსური მდგომარეობა და მათი დასაქმების, მიგრაციის, განათლების გადაწყვეტილებები. ასევე, ხდება ადგილობრივი ეკონომიკისა



და ფინანსური პროდუქტების განვითარება, გზავნილების მოცულობა იმდენად დიდია, რომ 2010-2014 წ. ჩათვლით ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მხარდაჭერით აღმოსავლეთ ევროპაში და ახლო აღმოსავლეთში გზავნილების მიმღებ პირების ფინანსური განათლების ასამაღლებად, სპეციალურად კურსებს ატარებდნენ. სწავლების პროგრამაში ჩართული იყვნენ, როგორც სხვადასხვა ბანკები ასევე, მიკროსაფინანსო და არასამთავრობო ორგანიზაციები.

## ***2.2 ინტელექტუალთა მიგრაციის უარყოფითი ასპექტები***

*ადამიანური კაპიტალის შემცირება.* ტერმინი ტვინთა გადინება აღნიშნავს განათლებული ადამიანების "მარაგის" შემცირებას, რაც თან ახლავს ერუდირებული სამუშაო ძალის ემიგრაციას. კვლევებით დგინდება, რომ ინტელექტუალების მიგრირების ალბათობა 6-ჯერ უფრო მაღალია, ვიდრე იმ ადამიანებისა ვისაც ბაკალავრის ხარისხიც არ აქვს (Davis & Hart, 2010).

ადამიანური კაპიტალი განსაზღვრავს თუ რა ტიპის ინვესტიციები შემოედინება სახელმწიფოში. ასევე, აღნიშნულ საკითხს გავლენა აქვს ბიუჯეტში გადასახადების შემცირებაზე.


ჰაზანსის და ფილიპსის 2011 წლის ჩატარებული კვლევის მიხედვით მტკიცდება, რომ სახელმწიფოდან მიგრაცია ხელს უწყობს ემიგრანტების გამგზავნ ქვეყნებში უმუშევრობის დონის შემცირებას და საშუალო ხელფასების ზრდას (Hazans & Philips, 2011).

აღნიშნული იდეის მატერიალურ შეფასებას წლების განმავლობაში სხვადასხვა მეცნიერი ცდილობდა. 1987 წელს ლუკასმა მოზამბიკის და მალავის მაგალითზე დაასკვნა, რომ ადგილობრივების დროებითი მიგრაცია სამხრეთ აფრიკაში ზრდიდა დარჩენილი მოსახლეობის შემოსავალს (Lucas, 1987). ლონგის 2006 წელს ჩატარებული ანალიზის მიხედვით მიგრანტების 1%-ით ზრდას მოჰყვება ქვეყანაში არსებული უმუშევრობის დონის 0.2%-ით შემცირება (Davis, Hart, 2010).

პრიმაჩენკომ, ფრეგერტმა და ანდერსონისმა (2011) ევროკავშირის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის წევრი ქვეყნების ანალიზის შემდეგ დაასკვნეს, რომ ემიგრანტების რაოდენობის 10%-ით ზრდა იწვევდა უმუშევრობის შემცირებას 5%-ით (Priimatchenko, Fregert, Anderson, 2011). 2014 წლის შრომითი ეკონომიკის ინსტიტუტის (IZA) ანგარიშში კი აღნიშნულია, რომ ემიგრაციის მატებამ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის წევრ სახელმწიფოებში, რომლებიც ევროკავშირში გაწევრიანდნენ 2004 და 2007 წლებში ხელი შეუწყო სამუშაო ძალის შემცირებას (Zaiceva, 2014).

მიუხედავად, ერთი შეხედვით პოზიტიურად დახატული სურათისა თუ საქართველოზე გავავრცელებთ ამ აზრს, მიგრაცია ხელს უნდა უწყობდეს უმუშევრობის შემცირებას, რაც რეალობა არაა (ნახაზი 15).

ნახაზი 15: დაუსაქმებელთა და ემიგრანტთა რაოდენობა, 2012-2018 წ.



შედგენილი და დაანგარიშებული: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. 2019. მიგრაცია. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/322/migratsia>; საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. 2019. დასაქმება, ხელფასები. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/37/dasakmeba-khelfasebi> (27.11.2019)

ემიგრაცია სამამულო ქვეყანაში იწვევს მუშახელის, და მსკ-ს შემცირებას. მნიშვნელოვანია ქვეყანაში შეიქმნას ეკონომიკური გარემო, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს, რომ დასაქმება გავზარდოთ ადგილზე, მოქალაქეების მიგრაციის გარეშე.

გარდა ამისა, იმ შემთხვევაში თუ ემიგრანტები არ დაუბრუნდებიან თავიანთ სამშობლოს, არის იმის შანსი რომ ერის ასაკობრივი დაბერება დაჩქარდეს და ქვეყანაში ეკონომიკური აღმავლობის პირობებში დროებით მუშახელის დეფიციტიც დაფიქსირდეს.

მიუხედავად იმისა, რომ შემცირებული უმუშევრობის დონე მიუთითებს ეკონომიკის განვითარებაზე, რეალურად სამშობლოში დარჩენილ კადრებს არ შეუძლიათ იგივე საქმის იმავე დონეზე კეთება, როგორც ამას ემიგრანტები ახერხებდნენ. რადგან განვითარებად განვითარებად ქვეყნებში არასაკმარისი სამუშაო ადგილებია, მოქალაქეების დიდი რაოდენობით ქვეყნიდან გადინება კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ეკონომიკურ განვითარებას. განათლებული ადამიანების ქვეყნიდან გადინება ამცირებს, როგორც ადგილობრივი სამუშაო ძალის რაოდენობას, ასევე - აღნიშნული ემიგრანტების უკან დაბრუნების ალბათობასაც (Haque, Kim, 1995). ადგილზე დარჩენილი სამუშაო ძალა არ არის იმდენად კვალიფიციური, რომ ქვეყნის მაღალი პროდუქტიულობა უზრუნველყოს (Docquier, Ozden and Peri 2014).

ცენტრალურ აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის (CESEE) ქვეყნებზე 1995- 2012 წლებში გაკეთებული დაკვირვებების მეშვეობით დგინდება, რომ ემიგრაციამ შეამცირა ქვეყანაში დარჩენილი სამუშაო ძალის პროდუქტიულობა. მეცნიერთა პროგნოზით, იმავე დროში აღნიშნულ სახელმწიფოებში მინიმუმ 6%-ით მაღალი შრომის ჯამური რეალური პროდუქტიულობა და 2.5%-ით მეტი უნდა ყოფილიყო (IMF, 2015).

ინტელექტუალური მიგრაციის დროს შრომით ბაზარზე იქმნება კვალიფიციური კადრების დეფიციტი. დამსაქმებლებს არ აქვთ საშუალება, რომ იპოვონ კვალიფიციური კადრები დასასაქმებლად. საჭირო ხდება დამატებით ინვესტირება ახალი მუშახელის უზრუნველსაყოფად. თუმცა, არის ალბათობა იმისა, რომ ახლად გადამზადებული

კადრებიც საცხოვრებლად გაემგზავრონ სხვა ქვეყნებში, უკეთესი სამუშაო პირობების უზრუნველყოფის გარანტიით..

*ტექნოლოგიური განვითარების შეფერხება და სტაბილურობის შენარჩუნების პრობლემები.* სამეცნიერო და საინჟინრო კადრები ხელს უწყობენ ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ განვითარებას, მთლიანობაში კი პროდუქტიულობის ზრდას. განვითარებად ქვეყნებში სათანადოდ ვერ აფინანსებენ მეცნიერულ კვლევებს, რის გამოც კვალიფიციური კადრები მიგრირდებიან. შედეგად, განვითარებადი ქვეყნების სწრაფი განვითარება ფერხდება.

იმ შემთხვევაში თუ განათლებული ადამიანების დიდი ნაწილი დატოვებს სამშობლოს, მას ეკონომიკური კონკურენტული უპირატესობაც დაეკარგება, რადგან ქვეყანაში შენელება ან საერთოდ შეჩერდება ტექნოლოგიების განვითარება და ინოვაციური პროდუქტების შექმნა, რაც საბოლოო ჯამში ეკონომიკას და მოქალაქეთა კეთილდღეობას დააზარალებს (IMF, 2007)

ვარვიკის უნივერსიტეტის მკვლევარებმა შეისწავლეს 158 მიგრანტ მეცნიერთა ბიოგრაფია, რომელნიც მუშაობდნენ 2009 წელს 16 ქვეყანაში. კვლევის მიზანი იყო დაედგინათ (H- ტესტის მიხედვით) თუ რა ზეგავლენას ახდენდნენ ისინი თავიანთი ქვეყნების განვითარებაზე. მონაცემების ანალიზის შემდეგ გაირკვა, რომ აღნიშნულ ასპექტებს შორის კავშირი არ არის (Ali et al., 2007).

ხშირად კომპანიები სხადასხვა ქვეყანაში ხსნიან ფილიალებს, სადაც უფრო იაფად ქირაობენ ადგილობრივ კვალიფიციურ მუშახელს და პროდუქტის წარმოებაც მათ უფრო იაფი უჯდებათ. ეს ორმხრივად დადებითი მოვლენაა. შედეგად, ასეთი საერთაშორისო კომპანიები ზოგავენ ფინანსებს და ასევე "ამდიდრებენ" მასპინძელ იმ ქვეყნებს, სადაც ქმნიან ახალ სამუშაო ადგილებს და ქვეყანას აძლევენ პოზიციური წინსვლის საშუალებას- გეოგრაფიული ადგილმდებარეობის შეუცვლელად.

ამრიგად, ინტელექტუალი მიგრანტების მიერ ქვეყნის დატოვების შედეგად ფერხდება სამამულო ქვეყნებში ინოვაციების განვითარება და ერუდირებული

მიგრანტების მიერ შემუშავებული ინიციატივები ვერ ახდენენ ზეგავლენას სამშობლოს ეკონომიკურ განვითარებაზე.

ტვინთა გადინების შედეგად, იკარგება როგორც პოტენციური გადასახადების გადამხდელი ადამიანები, ასევე განათლებაში ჩადებული ინვესტიციებიც. გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტებისა, ქვეყანაში მცირდება იმ ადამიანთა რაოდენობა, რომელთაც შეუძლიათ საზოგადოებისთვის ხარისხიანი სამედიცინო და საგანმანათლებლო სამუშაოების შესრულება.

ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტსაც, რომ შრომის ეკონომიკის ინსტიტუტის (IZA) კვლევების შედეგების მიხედვით განათლებული ადამიანები ასევე, ხელს უწყობენ თავიანთ ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილურობის, საზოგადოებრივი შეგნების ამაღლებას, დანაშაულის რიცხოვნების შემცირებას და ეკოლოგიურ სისუფთავესაც კი (Machin, 2011). ეს ყველაფერი კი იმიტომ ხდება, რომ განათლებული პიროვნებების გვერდზე ყოფნა შესაძლებელია სხვა ადამიანებისთვისაც განვითარების პერსპექტივა იყოს.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ლიტვაში ჩატარებული კვლევის მიხედვით მიგრაცია ახდენს ზეგავლენას იმ ბავშვებზეც, რომელთა მშობლებიც ემიგრაციაში არიან. კონკრეტულად, ბავშვები (ე.წ. ემიგრანტთა შვილები), რომელთა მშობლები უცხოეთში სამუშაოდ მიდიან, აღენიშნებათ ქცევის და ფსიქოლოგიური პრობლემები (Thaut, 2009).

*დაკარგული ინვესტიციები.* როგორც ზევით აღინიშნა, ის ინვესტიცია, რომელსაც განვითარებადი ქვეყანა ხარჯავს თავისი მოქალაქის განათლებაში, იკარგება, როდესაც ეს პიროვნება საცხოვრებლად და სამუშაოდ სხვა ქვეყანაში მიემგზავრება.

გარდა ზემოაღნიშნული რისკებისა, როდესაც ადამიანები ტოვებენ სამშობლოს და გადადიან განვითარებულ ქვეყანაში საცხოვრებლად, ისინი სწრაფად ერვევიან ახალ რეალობას და ცხოვრების სტანდარტს. იმ შემთხვევაში თუ მიგრანტების სამშობლო სათანადოდ არ განვითარდება წარმატებულ ემიგრანტებს დაბრუნების სურვილი არ ექნებათ, ხოლო დარჩენილ მოქალაქეებს კი გაუჩნდებათ ემიგრაციის სურვილი.

შესაბამისად, ადამიანური რესურსების დაკარგვით სახელმწიფო პოტენციურად უფრო დიდი საფრთხის წინ აღმოჩნდება.

ამრიგად, გრძელვადიან პერიოდში ადამიანთა გადინება, არა მხოლოდ ინვესტიციების დაკარგვას, არამედ ზოგადად განათლებული ადამიანების რაოდენობის შემცირებას გამოიწვევს, რაც ტვინთა მიგრაციის ყველაზე ნეგატიური ასპექტია.

*დასკვნა.* ამრიგად, ტვინთა გადინებას თან ახლავს, როგორც დადებითი ასევე, უარყოფითი ასპექტები. ინტელექტუალების მიგრაცია ხელს უწყობს ქვეყნის წინსვლას მოკლევადიან პერიოდში. გამოცდილების გაზიარება, ფულადი გზავნილები, ინვესტიციების მოზიდვა და მცირე ბიზნესის განვითარება, ის ასპექტებია, რომელიც თან ახლავს ერუდირებული ადამიანების ქვეყნიდან წასვლას, თუმცა, ტვინთა გადინებას უფრო მეტი უარყოფითი ეფექტი აქვს გრძელვადიან პერსპექტივაში.

ემიგრანტების სამშობლოს დატოვებას ძირითადად ახლავს შემდეგი პრობლემები:

1. ადამიანური კაპიტალის შემცირება;
2. ტექნოლოგიური განვითარების შეჩერება;
3. სტაბილური სიტუაციის შენარჩუნების სირთულე;
4. დაკარგული ინვესტიციები.

ინტელექტუალი მიგრანტების ქვეყნიდან გასვლის შემდეგ, ასევე, ფერხდება ინოვაციების განვითარებაც, რაც საბოლოო ჯამში უარყოფითად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. განათლებული ადამიანების დიდი რაოდენობით მიგრაცია იწვევს მოქალაქეების რაოდენობის შემცირებას და აჩქარებს "ერის დაბერების" პროცესს. შესაბამისად, პატარა და განვითარებადმა სახელმწიფოებმა მიგრაციის კონტროლი უნდა დააწესონ (OECD, 2000).

### **თავი 3. სოციოლოგიური კვლევები**

ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა, საციცოხლოდ მნიშვნელოვანია, რომ ტვინთა გადინებამ სახელმწიფოს შემდგომი განვითარება არ შეაფერხოს. შესაბამისად, იმის შესწავლა თუ რა სოციალური ფაქტორები იწვევს მიგრაციას თვითგადარჩენის და ნათელი მომავლის გზის ძიებაა.

იმის დასადგენად თუ რა დამოკიდებულება აქვთ საქართველოს მოქალაქეებს თავიანთ გარშემო არსებულ სამუშაო პირობებზე, რა ალბათობა არსებობს იმისა, რომ განათლებულმა ადამიანებმა დატოვონ თავიანთი ქვეყანა ან ემიგრანტები დაბრუნდნენ და თუ რა გავლენა აქვს ინტელექტუალურ მიგრაციას საქართველოს განვითარებაზე შევადგინეთ სამი კითხვარი. კითხვარების რესპონდენტები იყვნენ ადგილობრივი მოქალაქეები, ემიგრანტები და ექსპერტები, რომლის პასუხების მეშვეობითაც მოგვეცა შესაძლებლობა კომპლექსურად შეგვესწავლა საქართველოში არსებული ინტელექტის გადინების მდგომარეობა და გამომწვევი მიზეზები.

#### ***3.1 საქართველოს მოქალაქეების ინტელექტუალური ემიგრაციის მიზნების ანალიზი***

საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე კვლევის მიზანია დადგინდეს თუ რა ტიპის თავისებურებები აქვს ქართულ მიგრაციას და რა მოსაზრებები და დამოკიდებულება აქვთ საქართველოს მოქალაქეებს ემიგრაციასთან დაკავშირებით. ჩატარებული გამოკითხვის მეშვეობით ასევე, გამოკვეთილია თუ რა რეგიონული სპეციფიკა აქვს ქართულ ემიგრაციას და რომელ ქვეყანაში ამჯობინებენ ქართველები წასვლას და მუშაობას.

კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 497 ადამიანი. გამოკითხული პიროვნებები შერჩეული იყვნენ არაალბათური შერჩევის გზით. კითხვარის მიზანი იყო, რომ დაედგინა თუ რა გავლენას ახდენს ადამიანის ფსიქოლოგიური, ფინანსური, სოციალური და ოჯახური მდგომარეობა მის დამოკიდებულებაზე მიგრაციასთან დაკავშირებით და პოტენციურ ემიგრაციის გადაწყვეტილებაზე.

კონკრეტულად, რესპონდენტები შეირჩნენ შემდეგი კრიტერიუმით: მათ უნდა ჰქონოდათ უმაღლესი განათლება (ანუ მინიმუმ ბაკალავრის დიპლომი). რესპონდენტებად ავირჩიეთ ისეთი პირები ვისაც ჰქონდათ შემოსავალი ან გზავნილები ემიგრანტებისგან და ისეთებიც, ვისაც უცხოეთში ახლობლები, რომლებზეც ფინანსურად დამოკიდებული არიან, არ ჰყავდათ.

აღსანიშნავია, რომ კვლევისათვის რესპონდენტები შეირჩნენ, როგორც თბილისის ასევე, რეგიონების მასშტაბითაც, სრული და ნათელი სურათის წარმოსაჩენად. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მონაცემები ასახავდეს თუ რა განსხვავებაა ურბანულ და რეგიონალურ გარემოებებში მცხოვრებ ადამიანთა დამოკიდებულებას შორის. გამოკითხული პირები თავისი სურვილით ერთვებოდნენ აღნიშნულ პროცესში, ყოველგვარი ეკონომიკური დაინტერესების გარეშე.

ანონიმური კითხვარი შედგენილი იყო კორელაციის "დიზაინით" და შედგებოდა 73 კითხვისგან. მაქსიმალური ინფორმაციის მისაღებად კითხვარი შედგებოდა ღია, დახურული, სემანტიკური და მრავალჯერადი არჩევანის (multiple choice) კითხვებისაგან.

სწორედ შერჩეული/ დასმული აქცენტების წყალობით შესაძლებელი გახდა, როგორც თვისებრივი ასევე, რაოდენობრივი მონაცემების შეგროვება და ანალიზი.

რაც შეეხება კითხვარის გავრცელებას, გამოყენებული იქნა იმეილი, სოციალური ქსელები (მაგალითად LinkedIn, Facebook), ტელეფონი და სიტყვიერი მარკეტინგი (word to mouth marketing). კითხვებზე პასუხი შესაძლებელი იყო ონლაინ კითხვარის, სკაიპ ვიდეო ზარის, სატელეფონო საუბრის და პერსონალური ინტერვიუების საშუალებით.

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებმა 21-69 წლის ადამიანებმა. აღნიშნული გავრცობა გვაძლევს საშუალებას, რომ დავაკვირდეთ თუ რა ასაკობრივი თავისებურებები აქვს ქართულ მიგრაციას.




ასაკი. გამოკითხულთა უმეტესობა, 179 ადამიანი, იგივე 36.4% განეკუთვნება 25-30 წლამდე ასაკობრივ ჯგუფს. გამოკითხვაში ასევე, მიიღეს მონაწილეობა 4-მა 60-69 წლის პირმა.

დაკვირვების შედეგად აღმოჩნდა, რომ ახალგაზრდების უმეტესობა (21-25 წლამდე) დასაქმდა ინტერნეტით გამოქვეყნებული განცხადებების მეშვეობით. ასაკის განურჩევლად უმეტესობა თვლის, რომ ყველაზე მარტივად სამსახურის შოვნა საქართველოში ახლობლების მეშვეობით შეიძლება.

რაც შეეხება სამუშაო პირობებს, უმეტესობა თვლის, რომ არ აქვს თავისი ცოდნის შესაბამისი სამსახური ან ანაზღაურება და ხშირად უწევთ ზეგანაკვეთურ საათებში მუშაობა (ანაზღაურების გარეშე). ასევე, დაწინაურების პროცესი არ არის გამჭირვალე მათ სამსახურში და მენეჯერებიც თანამშრომლების განვითარებაზე მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში ზრუნავენ.

21-24 წლის რესპონდენტების 73.58%-ს განხილული აქვს საქართველოდან მიგრაცია. აღნიშნულ კითხვაზე ასევე, უმეტესწილად დადებითი პასუხი აქვთ 25-30 წლის ახალგაზრდებსაც (რესპონდენტების დაახლოებით 68%). 30 წელს მიღწეული პირიდან 40%-ს თავისი ცხოვრების განმავლობაში მინიმუმ სამი თვის განმავლობაში აქვს ნაცხოვრები უცხო ქვეყანაში და 27% ისურვებდა იმავე ქვეყანაში ცხოვრებას. შესაბამისად, ეს ნიშნავს იმას, რომ ასი 25-30 წლის ახალგაზრებიდან დაახლოებით 11 ადამიანი პოტენციური მიგრანტია. დამატებით ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტორს, რომ აღნიშნული ასაკის პირები (რესპონდენტთა 48%) თავისი დაკვირვებების შედეგად აცხადებენ, რომ მათი, მათთვის ნაცნობი ოჯახების, ადამიანების გარემოება უკეთესობისკენ შეიცვალა მას შემდეგ, რაც მათი ახლობელი ემიგრაციაში წავიდა.

ნახაზი 16. ემიგრაციის სურვილი და რესპონდენტთა ასაკი




შედგენილი და დაანგარიშებული: ავტორის მიერ, გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით, (31.07.2019)

მთელს მსოფლიოში დამკვიდრებულ აზრს კვლევაში მონაწილე ქართველებიც ამყარებენ და ისინი ადასტურებენ იმას, რომ ასაკის მატებასთან ერთად მიგრაციის სურვილი მცირდება. როგორც უცხოელი მეცნიერები ამტკიცებენ ასაკის მატებასთან ერთად, იზრდება ემიგრაციის ემოციური "ფასი" და ასევე, მცირდება სამუშაო შემოთავაზებების ფინანსური მომგებიანობაც (Zaiceva, 2014). ასევე, ასაკის მატებასთან ერთად განათლება, როგორც მიგრაციის წინაპირობა, კარგავს აქტუალობას. 21-24 წლის პიროვნებები ასევე, გამოირჩევიან რისკიანობით, რადგან 46% არჩევდა სხვა ქვეყანაში ცხოვრებას, ვიდრე მათი ნაცნობი ემიგრანტები. უფროსი პირების უმეტესობა კი თავის ნაცნობებთან ერთად არჩევს ემიგრაციაში ცხოვრებას.

რაც შეეხება იმ ქვეყნებს, სადაც პოტენციური მიგრანტები ისურვებდნენ ცხოვრებას, ამ კუთხით არ ვლინდება ასაკობრივი ტენდენცია.

სქესი და ოჯახური მდგომარეობა. გამოკითხვაში მონაწილეობდა დაოჯახებული (221 პირი) და დასაოჯახებელი (229) ადამიანების თითქმის ერთიდაიგივე რაოდენობა. კითხვებს დამატებით უპასუხეს 29 განქორწინებულმა, 4 ქვრივმა და 9 პარტნიორთან მცხოვრებმა საქართველოს მოქალაქემ.

ნახაზი 17. რესპონდენტების ოჯახური მდგომარეობა სქესის მიხედვით




შედეგნილი და დაანგარიშებული: ავტორის მიერ, გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით, (31.07.2019)

რესპონდენტთა უმეტესობას, ანუ 277 ადამიანს არ ჰყავს შვილი, ხოლო 215-ს ჰყავს ბავშვები. საინტერესოა ის ფაქტი, რომ მიგრაციას განიხილავს იმ პირთა უმეტესობა, რომლებსაც შვილები არ ჰყავთ (რესპონდენტთა 39.32%). ხოლო ის პირები, რომლებსაც ბავშვები ყავთ და ემიგრაციაზეც ფიქრობენ, შეადგენენ გამოკითხულთა დაახლოებით

29%-ს. აღნიშნული ინფორმაციით კიდევ ერთხელ მტკიცდება ზ.ლალიაშვილის მიერ 2012 წელს ჩეხეთში ჩატარებული კვლევების დასკვნები (გვ. 58) (ლალიაშვილი, 2013).

**ნახაზი 18. ოჯახური მდგომარეობა და ემიგრაციის სურვილი**



*შედგენილი და დაანგარიშებული: ავტორის მიერ, გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით, (31.07.2019)*

გამოკითხულთა 32% არიან ის ადამიანები, ვისაც ჰყავთ შვილები და ვისაც გამოცდილება აქვთ უცხოეთში ცხოვრების. საყურადღებოა, რომ აღნიშნული პირების ნაწილი (9%) კვლავ ისურვებდნენ უცხოეთში, იმავე სახელმწიფოში დაბრუნებას საცხოვრებლად.


კვლევის მეშვეობით დგინდება, რომ რეგიონებში ისევე, როგორც დედაქალაქში მცხოვრები მოქალაქეების უმეტესობა, განიხილავს მიგრაციას, როგორც უკეთესი მომავლის შესაძლებლობას.

რეგიონებში ქართველი მამაკაცები უფრო აქტიურად ფიქრობენ ემიგრაციაზე, ვიდრე ქალბატონები. კონკრეტულად რეგიონიდან გამოკითხული მამაკაცების 76% და ქალბატონების 62 % განიხილავენ საზღვარგარეთ ემიგრაციას.

რაც შეეხება თბილისს, აქ გამოკითხული მამაკაცების 77% განიხილავს ქვეყნის დატოვებას, რაც 22%-ით მეტია თბილისში მკვიდრი ქალების რაოდენობაზე.

გამოკითხულთა 31.5% აპირებს ემიგრაციაში წასვლას. აღსანიშნავია, რომ რეგიონებშიც და თბილისშიც უფრო მეტი მამაკაცი აპირებს ემიგრაციაში წასვლას, ვიდრე ქალბატონი.

ნახაზი 19. საცხოვრებელი ადგილი და ემიგრაციის გეგმები



*შედგენილი და დაანგარიშებული: ავტორის მიერ, გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით, (31.07.2019)*

რესპონდენტთა უმეტესი ნაწილი, კონკრეტულად მამაკაცების 48.4% და ქალბატონების 43.1%, უცხოეთში იგივე ხალფასის, მაგრამ დაბალი სამსახურეობრივი


წოდების შეთავაზების შემთხვევაში დათანხმდებოდა შემოთავაზებას. ასევე, განურჩევლად სქესისა, რესპონდენტთა დაახლოებით 70% თანხმდება, რომ მიმღები ქვეყნის არჩევისას ფინანსური მდგომარეობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე კულტურული ასპექტები.


დამატებით ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ ორივე სქესის რესპონდენტთა აზრით, ემიგრანტთა საქართველოში დარჩენილი ოჯახის წევრების მდგომარეობა უკეთესობისკენ არის შეცვლილი.

გამოკითხვის შედეგად დგინდება, რომ მთავარი მამომრავებელი მოტივატორი შესაძლო ემიგრაციისა, ორივე სქესისთვის ფინანსური პრობლემები, არასაკმარისი შემოსავალია.

ასევე, აღსანიშნავია, რომ განათლების მიღება და კარგი სამუშაოს შემოთავაზება უცხოური კომპანიიდან აქტუალურია, როგორც მამაკაცებისთვის ასევე, ქალბატონებისთვის.

ნახაზი 20. ემიგრაციის მოტივაცია სქესთა მიხედვით






*შედგენილი და დაანგარიშებული: ავტორის მიერ, გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით, (31.07.2019)*

ორივე სქესის წარმომადგენლები თანხმდებიან იმაზე, რომ ყველაზე მეტად მათ ამერიკაში სურთ ემიგრაცია. თუმცა, საინტერესოა ის ფაქტი, რომ მამაკაცებს (ქალბატონებზე მეტად) აინტერესებთ ავსტრალიაში, ლუქსემბურგში, ესტონეთში, უკრაინაში და პორტუგალიაში ცხოვრება.

ქალბატონებს ცხოვრებით აინტერესებს უნგრეთში, ფინეთში, შვედეთში და ახალ ზელანდიაში ანუ იმ სახელმწიფოებში, სადაც ქალთა უფლებები კულტურის ერთ-ერთი აქტუალური დეტალია.

ნახაზი 21. პოტენციური ემიგრაციის ქვეყნები სქესის მიხედვით



*შედგენილი და დაანგარიშებული: ავტორის მიერ, გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით, (31.07.2019)*

ემიგრაციის ქვეყნების არჩევისას, როგორც მამაკაცები ასევე, ქალები არჩევენ ისეთ სახელმწიფოებში ცხოვრებას, სადაც ნაცნობი ემიგრანტი ჰყავთ ვიდრე უცხო სახელმწიფოში. თუმცა, განსხვავება საკმაოდ მცირეა.


ემიგრაციის ქვეყნის არჩევისას ასპექტებზე მსჯელობისასაც გამოკვეთილი განსხვავება არ ისახება გენდერებს შორის.

ორივე სქესისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი ეს არის ენის ცოდნა, საერთო კულტურის ელემენტები (ახალ ქვეყანაში მარტივი ასიმილაციისათვის), მაღალი შემოსავლის მიღების და ლეგალურად დასაქმების პერსპექტივა.



საინტერესოა ის ფაქტიც, რომ საერთო რელიგია არ არის მნიშვნელოვანი ფაქტორი საცხოვრებელი ქვეყნის არჩევისას (ნახაზი 22).

ნახაზი 22. ემიგრაციის მოტივაცია, სქესის მიხედვით



შედგენილი და დაანგარიშებული: ავტორის მიერ, გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით, (31.07.2019)

ძირითადად, წასვლაზე ფიქრობენ დასაქმებული მამაკაცები ( რესპონდენტთა 29.88%). ქალბატონების უმეტესობას ნებისმიერ დასაქმების ან დაუსაქმებლობის შემთხვევაში, არ აპირებს მიგრაციას. აღნიშნული სტატისტიკა "გაზიარებულია" გლობალურად, რადგან გაეროს ცნობით მიგრანტთა უმრავლესობა (52%), სწორედ მამაკაცები არიან (UN, 2018).

ინტელექტუალური მიგრაციის პოტენციური რეგიონული თავისებურებები. დაკვირვების შედეგად ირკვევა, რომ რეგიონთაშორისი ერთი კონკრეტული ტენდენცია

იმასთან დაკავშირებით თუ სად იცხოვრებდნენ გამოკითხულები ემიგრაციის შემთხვევაში, არ არსებობს.

ერთადერთი განმეორებადი ტენდენცია, რომელიც გვხვდება პასუხების ანალიზისას არის ის, რომ ამერიკა არის ერთ-ერთი სასურველი დანიშნულების ადგილი, მაშინ, როდესაც რუსეთი, რომელიც უმეტესი ქართველი ემიგრანტების მიმღები ქვეყანაა, რესპონდენტთა 1%-ისთვის არის საინტერესო. ყველაზე მეტად დაინტერესებული რუსეთში ემიგრაციით არიან გურიის (20%) და რაჭა-ლეჩხუმის, ქვემო სვანეთისა (11%) და ქვემო ქართლის წარმომადგენლები (5%). აღნიშნული ინფორმაცია, კარგად ასახავს იმ ცვლილებებს, რომელსაც არამხოლოდ ჩვენი სახელმწიფო პოლიტიკა არამედ, საზოგადოების ცნობიერებაც განიცდის.

რეგიონული სტატისტიკის ანალიზის დროს იკვეთება, რომ არსებობს განსხვავებები სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები მოქალაქეების პასუხს შორის. მაგალითად, გამოკითხული აჭარლების 35% დაინტერესებულია აშშ-ში ცხოვრებით, 23%- გერმანიაში ყოფნით, ხოლო 10% მიგრაციის შემთხვევაში ინგლისს არჩევდა. აჭარლები ასევე, დაინტერესებულები არიან ესპანეთში, კანადაში, იტალიაში და სხვა ქვეყნებში ცხოვრებით.


იმერეთში, გარდა შეერთებული შტატებისა, სურთ დიდ ბრიტანეთში, გერმანიაში, შვეიცარიაში და იტალიაში მიგრირება. კახეთში რესპონდენტების 33%-ს სურს ამერიკაში ცხოვრება, 15%-ს კი გერმანიაში ემიგრაცია, დანარჩენები კი უკრაინით, პორტუგალით, იტალიით და ამერიკით არიან დაინტერესებულები. მცხეთა-მთიანეთში მცხოვრებლები ემიგრაციის შემთხვევაში კი ამერიკაში, ავსტრალიაში, გერმანიაში და დიდ ბრიტანეთში არჩევდნენ ცხოვრებას.

რაჭა-ლეჩხუმიდან და ქვემო სვანეთიდან, ამერიკაში და გერმანიაში სურთ წასვლა ყველაზე მეტად. საინტერესოა ის ფაქტი, რომ აღნიშნულ რეგიონში სხვა ქვეყნებთან ერთად დაინტერესებულები არიან მონაკოში და ახალ ზელანდიაში წასვლით, რაც არატრადიციული მიმღები სახელმწიფოებია ქართველი ემიგრანტებისათვის.

სამეგრელო- ზემო სვანეთში რესპონდენტებს ძირითადად სურთ ჩეხეთში და/ან გერმანიაში წასვლა ემიგრაციის შემთხვევაში (აშშ-ს გარდა). გერმანია და შეერთებული შტატები ქვემო ქართლის მოსახლეობისთვის, ისევე როგორც შიდა ქართლის წარმომადგენლებისთვის არის ყველაზე საინტერესო.

აფხაზეთში გამოკითხულებს სურთ ამერიკაში, ავსტრალიაში, ესპანეთში და იტალიაში წასვლა (ნახაზი 23).

ნახაზი 23. ემიგრაციის სავარაუდო დანიშნულების ქვეყნები, რეგიონების მიხედვით



შედეგნილი და დაანგარიშებული: ავტორის მიერ, გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით, (31.07.2019)

საინტერესოა, რომ ემიგრაციის მოტივაციის განხილვისას გამოკითხულები პასუხობენ თუ რა კულტურულ დეტალს აქცევენ ყურადღებას, როდესაც ირჩევენ პოტენციურ ემიგრაციის ქვეყანას. აღნიშნულ კითხვაზე ყველაზე აქტუალური პასუხი


არის ენის ცოდნა (გამოკითხულთა 30.28%-ის არჩევანი), საერთო კულტურის ელემენტები (27.03%), ლეგალურად დასაქმების პერსპექტივა (10.98%) და სხვა.

აღნიშნულ საკითხზე რეგიონებში გამოკითხულ პირთა შორის არ არის დიდი სხვაობა. ერთადერთი, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მაღალი შემოსავლის პერსპექტივა სახელდება ემიგრაციის ყველაზე აქტუალურ მიზეზად.

რესპონდენტების 72.5% ჰყავს უახლოესი ოჯახის წევრი, ნათესავი, ახლობელი, რომელიც ემიგრაციაშია (განურჩევლად საცხოვრებელი ადგილისა). ემიგრანტების უმეტესობა აცხადებს, რომ უახლოესი პირი, რომელმაც დატოვა საქართველო მათი ნათესავი (30%) ან მეგობარია (15.45%). თუმცა, თბილისში მცხოვრებლებთა ინფორმაციით, როგორც გამოკითხულთა 40% აცხადებს, მათი უახლოესი ემიგრანტი მათივე და ან ძმია. იმერეთში უახლოესი ემიგრანტები რესპონდენტთა მშობლები არიან (18.92%), ხოლო ქვემო ქართლში კი რესპონდენტთა 22.22% აცხადებს, რომ აღნიშნული ემიგრანტები ბიძა ან მამიდა არიან.

როგორც გამოკითხვის საშუალებით ირკვევა, აფხაზეთში და შიდა ქართლში მცხოვრებლებს ყველაზე მეტი ნაცნობი ემიგრანტი რუსეთში ჰყავთ, აჭარაში და მცხეთაში მაცხოვრებლებს- გერმანიაში, გურულებს თურქეთში, თბილისელებს და კახელებს ამერიკაში, იმერლებს და რაჭა-ლეჩხუმ, ქვემო სვანეთის და ქვემო ქართლის წარმომადგენლებს იტალიაში, სამეგრელო - ზემო სვანეთის მკვიდრებს საფრანგეთში, სამცხე-ჯავახელებს კი საბერძნეთში.

ნახაზი 24. რომელ ქვეყანაში ცხოვრობს თქვენთვის ნაცნობი, რომელმაც დატოვა საქართველო?



შედეგნილი და დაანგარიშებული: ავტორის მიერ, გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით, (31.07.2019)

რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა აცხადებს, რომ მათი ნაცნობი ემიგრანტები უცხოეთში ლეგალურად იმყოფებიან და მუშაობენ, თუმცა, არა თავიანთი პროფესიის შესაბამისად (41.46%). რაც შეეხება, ემიგრანტების მიერ ქვეყნის დატოვების მიზეზს, ფინანსურ პრობლემებს ასახელებს (43.90%). რაც შეეხება რეგიონალურ თავისებურებებს საინტერესოა, რომ რაჭა-ლეჩხუმ, ქვემო სვანეთში გამოკითხულთა 15% წასვლის მიზეზად ემიგრანტის ან მისი ოჯახის წევრის ჯამრთელობის მდგომარეობას

ასახელებს მაშინ როდესაც, აფხაზეთში მცხოვრებლების 17% აცხადებს, რომ მათმა უახლოესმა ადამიანმა ქვეყანა პოლიტიკური მდგომარეობის გამო დატოვა.

ემიგრანტების მიერ გამოგზავნილი ფულადი გზავნილების მიმღები პირები გზავნილებს ძირითადად თვეში ერთხელ იღებენ. ძირითადად ფულად გზავნილებს მიმღებები იღებენ წელიწადში 10,000 ლარის ფარგლებში. რეგიონებთან შედარებით მაღალ თანხებს იღებენ თბილისელები.

ყველაზე განათლებული ემიგრანტები რაჭა-ლეჩხუმ, ქვემო სვანეთის რეგიონებიდან არიან, მათგან 35%-ს მაგისტრატურა აქვს დამთავრებული. ასევე, ასაღნიშნავია ის ფაქტი, რომ რესპონდენტთა ინფორმაციით ემიგრანტების ზეგავლენით სხვა პირებმაც გადაწყვიტეს საქართველოს დატოვება. აღნიშნული კითხვის ყველაზე მაღალი ინდექსი გურიაში (80%) და იმერეთში (48.65%) შეინიშნება. იგივე რეგიონების წარმომადგენლები, აჭარლები, ქვემო და შიდა ქართლის მცხოვრებლები აცხადებენ, რომ ახალი ემიგრანტები სწორედ იმ ქვეყანაში გადავიდნენ საცხოვრებლად, სადაც მათი ახლობლები ცხოვრობდნენ (აჭარა: 64.52%, გურია: 100%, იმერეთი: 52.50%, ქვემო ქართლი: 55.56%, შიდა ქართლი 57.89%).

რეგიონებში მცხოვრებლები ერთხმად აღიარებენ, რომ ემიგრანტების წასვლის შემდეგ მათი ოჯახების ცხოვრების დონე უკეთესობისკენ შეიცვალა.

აფხაზეთში (33.33%), შიდა ქართლში (21.05%), იმერეთში (16.22%), კახეთში (14.81%), და სამცხე ჯავახეთში (11.11%), ფულადი გზავნილები უპირველესად ყოველდღიური ხარჯების დაფარვას ხმარდება.

ასევე, ზოგიერთ რეგიონში აქტუალურია სწავლის დაფინანსება (განსაკუთრებით გურიაში და ქვემო ქართლში) და სესხის დაფარვა (კახეთი, აჭარა და სამცხე ჯავახეთი)

**ცხრილი 7. გზავნილების მიზნობრიობა რეგიონების მიხედვით**

რეგიონი	არ ვიდებთან	არ მყავს ახლობელი	ბინის ყიდვა	კომუნალური გადახდა	სესხის დაფარვა	სწავლის დაფინანსება	სხვა	ყოველდღიური ხარჯების დაფარვა	ჯანმრთელობასთან დაკავშირებული
---------	-------------	-------------------	-------------	--------------------	----------------	---------------------	------	------------------------------	-------------------------------

	ხას	ემიგრანტები							ხარჯების დაფარვა
აფხაზეთი	50.0 0%	16.67%	0.00 %	0.00%	0.00 %	0.00%	0.00 %	33.33%	0.00%
აჭარა	38.7 1%	16.13%	6.45 %	0.00%	9.68 %	9.68%	6.45 %	12.90%	0.00%
გურია	60.0 0%	0.00%	0.00 %	0.00%	0.00 %	20.00%	20.0 0%	0.00%	0.00%
თბილისი	51.2 0%	24.00%	1.20 %	0.40%	3.20 %	5.20%	6.00 %	7.60%	1.20%
იმერეთი	43.2 4%	17.57%	0.00 %	0.00%	4.05 %	5.41%	12.1 6%	16.22%	1.35%
კახეთი	48.1 5%	11.11%	3.70 %	3.70%	11.11 %	7.41%	0.00 %	14.81%	0.00%
მცხეთა-თიანეთი	50.0 0%	40.00%	0.00 %	0.00%	0.00 %	0.00%	10.0 0%	0.00%	0.00%
რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი	70.0 0%	10.00%	0.00 %	0.00%	0.00 %	10.00%	0.00 %	5.00%	5.00%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	46.6 7%	26.67%	0.00 %	3.33%	3.33 %	10.00%	6.67 %	3.33%	0.00%
სამცხე-ჯავახეთი	45.4 5%	45.45%	0.00 %	0.00%	9.09 %	0.00%	0.00 %	0.00%	0.00%
ქვემო ქართლი	66.6 7%	0.00%	11.1 1%	0.00%	0.00 %	11.11%	0.00 %	11.11%	0.00%
შიდა ქართლი	36.8 4%	36.84%	0.00 %	0.00%	0.00 %	5.26%	0.00 %	21.05%	0.00%


შედგენილი და დაანგარიშებული: ავტორის მიერ, გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით, (31.07.2019)

*სამსახურეობრივი მდგომარეობა, შემოსავალი და ინტელექტუალური ემიგრაცია.*

საინტერესოა გარკვევა თუ არსებობს კავშირი გამომუშავებულ თანხასა და მიგრაციას შორის. რესპონდენტთა 33.74%-ს საშუალო დონზე მოსწონთ თავიანთი ამჟამინდელი სამუშაო პოზიცია (მიუხედავად წლიური შემოსავალისა). პირებს რომლებიც წელიწადში 24,001- 33,600 ლარს გამოიმუშავებენ არ ყოფნით თავიანთი შემოსავალი. 33,600 ლარის ზევით მქონე რესპონდენტების უმეტეს ნაწილს თავიანთი შემოსავალი ყოფნით. უფრო მაღალი შემოსავალის მქონე ადამიანებს გამოკითხვის მიხედვით უკვე აქვთ გარკვეული დანაზოგები.

რესპონდენტები, რომლებიც მინიმუმ სამჯერ მაინც დაწინაურდნენ სამსახურში თვლიან, რომ მათ თავიანთი სამუშაო პოზიციისთვის ლოგიკური ანაზღაურება აქვთ (ნახაზი 25). თუმცა, მიუხედავად დაწინაურებისა, რესპონდენტების უმეტესობა თვლის, რომ მათი განათლებისთვის შეუფერებელი ხელფასი აქვთ (ნახაზი 26).


ნახაზი 25. დაწინაურება და ხელფასის შესაბამისობა ამჟამინდელ სამუშაო პოზიციასთან



შედგენილი და დაანგარიშებული: ავტორის მიერ, გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით, (31.07.2019)



ნახაზი 26. დაწინაურება და ხელფასის შესაბამისობა გონებრივ განათლებასთან



*შედგენილი და დაანგარიშებული: ავტორის მიერ, გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით, (31.07.2019)*


გამოკითხულთა 25 პროცენტი აცხადებს, რომ კომპანიის მენეჯმენტი მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში ცდილობს მათი სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე, 47.15% კი აცხადებს, რომ მუდამ ზრუნავს მათზე მენეჯმენტი. მიუხედავად სამუშაო გარემოზე ზრუნვისა, რესპონდენტების უმეტესი ნაწილი ფიქრობს, რომ თავიანთი პოზიციისთვის შესაბამისი ანაზღაურება არ აქვთ. რესპონდენტთა 43% (215 ადამიანი) აცხადებს, რომ ეძებს ახალ სამუშაო პოზიციას. სამსახურის მძებნელი 215 პირიდან 44% განიხილავს მიგრაციას.

თუ დავაკვირდებით სტატისტიკას, ის პირები ვინც გამოიმუშავენ წელიწადში 60,000 ლარზე მეტს, კმაყოფილები არიან თავიანთი ანაზღაურებით. იმ ადამიანების 29.23% პროცენტი, ვინც უკმაყოფილოა თავისი სამსახურით აპირებს, სამშობლოდან ემიგრაციას.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ რესპონდენტების უმეტესობას (68.50%-ს) (მიუხედავად მათი შემოსავლისა) არ უცხოვრია უცხოეთში. თუმცა, იმ პირების 60%-ს

ვისაც შემოსავალი აქვს 40,000 ლარის ფარგლებში, აქვთ უცხოეთში ცხოვრების გამოცდილება და აღნიშნული პირების 31.58% კვლავ ისურვებდა იგივე სახელმწიფოში ცხოვრებასა თუ მოღვაწეობას.

ნახაზი 27. წლიური შემოსავალი და კმაყოფილების დონე




შედეგნილი და დაანგარიშებული: ავტორის მიერ, გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით, (31.07.2019)

გამოკითხვის მეშვეობით დგინდება, რომ იმ ადამიანთა შორის ვინც აპირებს ემიგრაციას (155 პირი) უმეტესობა წელიწადში გამოიმუშავენ 0-16,800 ლარს. როგორც სტატისტიკა გვაჩვენებს, რაც უფრო მეტს გამოიმუშავენ ადამიანი მით უფრო ნაკლები ინტერესი აქვს მას სამშობლოდან ემიგრაციისა.

სქესობრივ ჭრილში თუ დავაკვირდებით აღნიშნულ პრობლემას შევამჩნევთ, რომ ქართველი ქალბატონები, რომლებიც ნაკლებ თანხას გამოიმუშავენ უფრო მეტად არიან მზად, რომ ემიგრაციაში წავიდნენ (ვიდრე იგივე წლიური შემოსავლის მქონე მამაკაცები) . მაშასადამე, ნაშრომში განხილული რუბიანო- მატულევიჩის და ბიიგლის

მოსაზრება, რომ ქალბატონების შემოსავალი პირდაპირ დამოკიდებულია მათი მიგრაციის ალბათობასთან, მტკიცდება ჩვენი გამოკითხვის მეშვეობითაც (Rubiano-Matulevich, Beegle, 2018).


ნახაზი 28. სქესი, წლიური შემოსავალი და ემიგრაცია



*შედეგნილი და დაანგარიშებული: ავტორის მიერ, გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით, (31.07.2019)*

რაც შეეხება მიგრაციის მოტივაციას, უმეტეს ნაწილს უცხოეთში გამგზავრება ფინანსური პრობლემებისა და/ ან არასაკმარისი შემოსავლის გამო სურს. გამოკითხულთათვის აგრეთვე აქტუალურია უცხოეთში განათლების მიღების ასპექტიც.

ნახაზი 29. ემიგრაციის მოტივაცია და გამოკითხულთა შემოსავალი




შედეგნილი და დაანგარიშებული: ავტორის მიერ, გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით, (31.07.2019)

გამოკითხულთა სამუშაო საქმიანობის დაკვირვებისას აღმოვაჩინეთ, რომ ძირითადად ქვეყნიდან წასვლის სურვილი აქვთ: კერძო საოჯახო მეურნეობის, კომუნალური სამსახურის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის და არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლებს.

თუმცა, როგორც საერთაშორისო ლიტერატურიდან არის ცნობილი, უმეტეს შემთხვევაში ემიგრანტები პროფესიით არიან სამედიცინო პროფესიის წარმომადგენლები და/ან მეცნიერები (Martineau, Decker, Bundred, 2002).

ნახაზი 30. დასაქმების სექტორი და მიგრაციის სურვილი




შედეგნილი და დაანგარიშებული: ავტორის მიერ, გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით, (31.07.2019)

რაც შეეხება სტატისტიკურ ინფორმაციას ემიგრანტებთან დაკავშირებით, რესპონდენტთა ინფორმაციით ემიგრანტთა 49.19%-ს მიგრაციისას არ ჰქონდა სამუშაო შემოთავაზება უცხოეთიდან. თუმცა, ამ ფაქტის მიუხედავად გამოკითხულების 32.72 % აცხადებს, რომ მათ ახლობლებს სამუშაოს შესაფერისი ანაზღაურება აქვთ.

ემიგრანტების უმეტესობას უმაღლესი განათლება აქვთ მიღებული და მინიმუმ ბაკალავრის წოდება აქვთ მინიჭებული. გამოკითხულების ინფორმაციით მხოლოდ 20 ემიგრანტს ჰქონდა სკოლის დიპლომი (ნახაზი 31).

ნახაზი 31. ემიგრანტთა განათლების დონე



*შედგენილი და დაანგარიშებული: ავტორის მიერ, გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით, (31.07.2019)*

ზემოაღნიშნული პასუხების შესაბამისად ირკვევა, რომ საქართველოს მოქალაქეებმა განიცადეს კულტურული ცვლილებები ბოლო წლების განმავლობაში. აღნიშნული ცვლილებები განსაკუთრებით იკვეთება დანიშნულების ადგილის შერჩევის დროს.

საერთაშორისო გამოცდილების მსგავსად ქართველი ინტელექტუალები ასაკის მატებასთან ერთად მიგრაციის შესაძლებლობას ნაკლებად განიხილავენ. გამოკითხულთათვის მიმღებ ქვეყანაში არსებული ფინანსური შესაძლებლობები უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე კულტურული ასპექტები. არაფინანსური ასპექტების განხილვისას რესპონდენტები მნიშვნელოვან ფაქტორებად ენის ცოდნას და საერთო კულტურის ელემენტებს ასახელებენ. თუმცა, გამოკითხვის მონაცემების ანალიზით

ასევე ვლინდება ინტელექტუალური მიგრაციის ისეთი რეგიონული თავისებურებები, როგორცაა: მიგრაციის შესაძლო მოტივაცია, დანიშნულების ადგილი და ა.შ.

### **3.2 ინტელექტუალური მიგრაციის შედეგები ქართველი ემიგრანტებისთვის**

ქართული ინტელექტუალური მიგრაციის არსებული სურათის სრული აღქმისთვის მნიშვნელოვანია გაირკვეს დამატებითი ინფორმაცია ქართველი ემიგრანტებს შესახებ (როგორც დაბალი ასევე მაღალი შემოსავლის მქონე მიგრანტებისთვის).

აღნიშნული მიზნის მისაღწევად აუცილებელია შესწავლილი იქნას რა მოტივაციის საფუძველზე წავიდნენ ისინი საქართველოდან და რა რეალობაში უწევთ მათ ცხოვრება. შესაბამისად, მოცემულ კვლევაში განიხილება თუ როგორ ადაპტირდნენ ქართველი ემიგრანტები უცხოეთში და რამდენად შეძლეს მათ ეკონომიკური წარმატების მიღწევა, მიუხედავად მათი განათლების დონისა. გამოსაკვლევია აპირებენ აღნიშნული ემიგრანტები უკან დაბრუნებას და რა მოსაზრებები აქვთ მათ საქართველოში არსებულ მდგომარეობაზე. ასევე, საინტერესოა განვიხილოთ კავშირი უცხოეთში გატარებულ წლებსა და შემოსავლის მატებას შორის.

მნიშვნელოვანია ზოგიერთი ისეთი საკითხის განხილვა როგორცაა:

- 1) კავშირი ოჯახის ყოლასა და საქართველოში დაბრუნების სურვილს შორის;
- 2) განათლების და პროფესიული განვითარების დონის ურთიერთკავშირი;
- 3) რა საინფორმაციო წყაროს საშუალებით მოიპოვეს ემიგრანტებმა ინფორმაცია საემიგრაციო პროცედურებზე და/ ან სამსახურებზე და ა.შ.

კვლევის ჩასატარებლად შედგენილი იქნა კითხვარი, რომელიც შედგებოდა 42 ღია და დახურული კითხვისაგან. შემდგომ კი დავიწყეთ რესპონდენტი ემიგრანტების ძიება. რესპონდენტების არჩევისას მნიშვნელოვანი იყო, რომ გამოკითხულიყვნენ როგორც თბილისიდან, ასევე, რეგიონებიდან წასული ინტელექტუალური მიგრანტებიც. ასევე, რეალობის აღსაქმელად შეირჩნენ როგორც მაღალი, ასევე დაბალი შემოსავლის მქონე ემიგრანტებიც.

აღსანიშნავია, რომ თავიდან "მოხალისე" ინტელექტუალების მოძიება საკმაოდ დიდი გამოწვევა იყო რადგან მიუხედავად კითხვარის ანონიმურობისა, უმეტეს ნაწილს არ სურდა საკუთარ ფინანსურ მდგომარეობაზე ღიად საუბარი. საბოლოო ჯამში გამოიკითხა 71 ადამიანი, როგორც ევროპის, ასევე ამერიკის ტერიტორიაზე (თავიანთ სურვილისამებრ). გამოკითხული პიროვნებები შერჩეული იყვნენ "nonprobability sample"-ის მეშვეობით. გამოკითხვა ჩატარდა 2019 წლის ივლისი- სექტემბრის დროს მონაკვეთში. თითოეული ინტერვიუ დაახლოებით 45 წუთის მანძილზე გრძელდებოდა.


მიგრანტების გამოკითხვის მიზნით ჩატარდა პერსონალური ინტერვიუები სკაიპ ვიდეო ზარის საშუალებით. დამატებით, კითხვარის დისტრიბუციისათვის გამოყენებული იქნა იმეილი და სოციალური ქსელებში (მაგალითად LinkedIn, Facebook) არსებული ემიგრანტების ფორუმები.

*ასაკი.* რაც შეეხება კავშირს ასაკსა და კარიერულ წინსვლას შორის, აღნიშნული გამოკითხვის მიხედვით სხვადასხვა ასაკის რესპონდენტები სხვადასხვა პროფესიულ საფეხურზე არიან და შესაბამისად, პასუხი ერთგვაროვანი არ არის. 40 წლამდე ახალგაზრდების უმეტესობას სამსახური ინტერნეტში გამოქვეყნებული ვაკანსიის შედეგად აქვს ნაშოვნია. საინტერესოა, რომ 25-30 წლის ახალგაზრდების ნაწილს (7.69%) სამსახური თავიანთი უნივერსიტეტის მეშვეობით აქვთ ნაშოვნია. ინტერვიუს დროს აღნიშნულმა რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ სამსახური მათი პროფესორის რეკომენდაციით და/ან უნივერსიტეტის კარიერული განვითარების ცენტრის მეშვეობით აქვთ ნაშოვნია. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს თუ რაოდენ ეფექტური მიგრანტების მიმზიდველი ორგანიზაციები არიან ალმა მატერები.

ასაკით უფროს რესპონდენტებს სამუშაო ადგილი ნაშოვნია აქვთ ნაცნობების, წინა სამსახურიდან რეკომენდაციით და/ან დასაქმების ორგანიზაციის მეშვეობით (ნახაზი 32).



ნახაზი 32. სამუშაოს პოვნის წყარო და ასაკი




შედგენილი და დაანგარიშებული: ავტორის მიერ, გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით, (30.09.2019)

რესპონდენტების გამოკითხვისას გამოიკვეთა, რომ ახალგაზრდების (36-40 წ) უმეტესობას უცხოეთში ცხოვრების გამოცდილება (მინიმუმ სამი თვე) უკვე ჰქონდა ემიგრაციამდე. საუბრისას რესპონდენტების უმეტესობა აღნიშნავს, რომ პირველად საზღვარგარეთ ახალგაზრდობაში მოკლევადიან სასწავლო კურსებზე იყვნენ. თუმცა, არიან ისეთი გამოკითხულებიც ვისაც სტაჟირება და/ან სამუშაო გამოცდილებაც ჰქონდათ.

ემიგრანტების 43.75%, ვისაც უცხოეთში ადრე ჰქონდა ცხოვრების გამოცდილება იმავე ქვეყანაში გადავიდა შემდგომში საცხოვრებლად (ნახაზი 33).

ნახაზი 33. გსურთ ემიგრაცია იმ ქვეყანაში, სადაც პირველად ცხოვრობდით უცხოეთში?




*შედეგნილი და დაანგარიშებული: ავტორის მიერ, გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით, (30.09.2019)*

ემიგრანტების უმეტესობა, კერძოდ 57.35% სამშობლოს დატოვებამდე ნაწილობრივ მაინც ფლობდნენ მიმღები ქვეყნის ენას. ასაკის მატებასთან ერთად მცირდება ენის ცოდნის დონე. მაგალითად, თუ 18-24 წლის ახალგაზრდების 100% მინიმუმ ნაწილობრივ ფლობდა მიმღები სახელმწიფოს ენას, 41-45 წლის ემიგრანტების 66.67% არანაირ განათლებას არ ფლობდა.

გამოკითხვისას გაირკვა, რომ თითქმის ყველა ასაკობრივ ჯგუფს (გარდა 41-45 და 46-50 ასაკის პირებს) აქვს დანაზოგი. 41-59 წლის გამოკითხულები აცხადებდნენ, რომ როგორც ოჯახზე ფინანსურად პასუხისმგებელ პირებს მათი შემოსავლები უმეტესწილად ოჯახზე იხარჯება და შესაბამისად, მათ დანაზოგი არ აქვთ. მიუხედავად დანაზოგის არსებობისა თუ ასაკისა, გამოკითხულთა უმეტესობა (73.53%) გზავნილებს გზავნის საქართველოში. ახალგაზრდებსა და 40 წლამდე გამოკითხულთა შორის არიან პირები ვინც გზავნილებს არ რიცხავდა სამშობლოში, თუმცა 41 წლის ზევით

აბსოლუტურად ყველა ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელი გადარიცხვებს აკეთებს (ნახაზი 34).

ნახაზი 34. გზავნილები და ემიგრანტების ასაკი




*შედგენილი და დაანგარიშებული: ავტორის მიერ, გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით, (30.09.2019)*

ასაკის განურჩევლად მიგრანტები გზავნილებს უმეტესწილად (42.62%) ოჯახის ყოველდღიური ხარჯების დაფარვისთვის აგზავნიან.

გარდა დანაზოგებისა, რესპონდენტებისგან ასევე, მივიღეთ ინფორმაცია ფინანსური ვალდებულებების შესახებ. როგორც აღმოჩნდა 58.82%-ს სესხი არ ჰქონდათ აღებული. ასევე, განურჩევლად ასაკისა გამოკითხულთა 63.24% აცხადებს რომ მათი შემოსავალი ფარავს მათ ხარჯებს.

ემიგრანტების გამოკითხვისას გამოიკვეთა, რომ უფროსი ასაკის გამოკითხულებს (36-69 წლის) ემიგრაციამდე არ მოწონდათ თავიანთი ცხოვრების ხარისხი საქართველოში. ახალგაზრდები კი თავიანთ ცხოვრების ხარისხს უმეტესწილად ნეიტრალურად ახასიათებენ (ნახაზი 35).

ნახაზი 35. ცხოვრების ხარისხი და მიგრანტების ასაკი




შედგენილი და დაანგარიშებული: ავტორის მიერ, გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით, (30.09.2019)

ემიგრაციის შემდგომ გამოკითხულთა უმრავლესობა (53.62%), ასაკობრივი ჯგუფის მიუხედავად აცხადებს, რომ მათი ცხოვრება უკეთესობისკენ შეიცვალა. რესპონდენტთა 43.48% კი აცხადებს, რომ ნეიტრალურად შეიცვალა მათი რეალობა.

მიგრანტების უმეტესობა (55.07%) თვლის რომ უცხოეთში თვითრეალიზების საშუალება მიეცათ. სამშობლოდან ემიგრაციით განსაკუთრებით კმაყოფილები არიან 25-30 წლის რესპონდენტები (73.08%). კვლევით აგრეთვე დგინდება, რომ 41-59 წლამდე ასაკის მონაწილეების გარდა, ყველა გამოკითხული უწევს რეკომენდაციას იმავე ქვეყანაში ემიგრაციას სადაც თვითონ ამჟამად იმყოფებიან (ნახაზი 36).

ნახაზი 36. გაუწევდით თუ არა მიმღებ ქვეყანას რეკომენდაციას საცხოვრებლად (ემიგრანტების ასაკის მიხედვით)



*შედეგნილი და დაანგარიშებული: ავტორის მიერ, გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით, (30.09.2019)*


რესპონდენტთა 22.92% აცხადებს, რომ ის აპირებს გახდეს მიმღები სახელმწიფოს მოქალაქე, ხოლო 18.75%-ს უკვე აქვს უცხოური პასპორტი.

მიუხედავად იმისა, რომ ქართველ ინტელექტუალ ემიგრანტებს სურთ სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღება, გამოკითხულთა 58.33%-ს მაინც სურს სამშობლოში დაბრუნება და ცხოვრება. აღნიშნული პირები ინტერვიუს დროს აღნიშნავენ, რომ უცხოური პასპორტი მათთვის იმის გარანტი იყო, რომ საქართველოში ნებისმიერ არასტაბილურ ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ სიტუაციაში მათ ექნებოდათ საშუალება, რომ რეინტეგრაცია მოახდინონ მათთვის სასურველ გარემოში.

ემიგრაციის პროცედურების გარკვევისთვის ქართველი ემიგრანტები განურჩევლად ასაკისა უმეტეს შემთხვევაში ინფორმაციის წყაროდ ასახელებენ ადგილზე ჩასვლას და/ან ნაცნობებს. თუმცა, 18-40 წლის გამოკითხულები ასევე იყენებენ ინტერნეტს (ნახაზი 37).

აღნიშნული ინფორმაციის წყარო საერთოდ არ არის მითითებული უფროსი რესპონდენტების პასუხებში.

ნახაზი 37. საინფორმაციო წყარო, ასაკის მიხედვით



*შედგენილი და დაანგარიშებული: ავტორის მიერ, გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით, (30.09.2019)*

სქესი. როგორც საქართველოს მიგრაციის სტატისტიკის განხილვისას იქნა აღნიშნული, სხვადასხვა სქესის წარმომადგენლებისათვის სხვადასხვა ქვეყნებშია მიგრაცია საინტერესო. ზემოაღნიშნული ინფორმაცია დასტურდება კითხვარი გაანალიზებისას რადგან დგინდება, რომ ისრაელი და ჩეხეთი ბევრად უფრო პოპულარულია მამაკაცებისთვის. თურქეთი, ესპანეთი და იტალია კი ქალბატონებისთვის უფრო სასურველი მიმართულებებია.

ისევე, როგორც წინა გამოკითხვისას, გამოკითხულების უმრავლესობა (განურჩევლად სქესისა) აცხადებს, რომ მათი წასვლის მთავარი მოტივაცია ფინანსური პრობლემა და/ ან ქვეყანაში არსებული მდგომარეობა იყო. ასევე, ორივე სქესის წარმომადგენლები თანხმდებიან, რომ ენის ცოდნა არის პირველი ასპექტი, რომელსაც ყურადღებას აქცევენ ემიგრაციის ქვეყნის არჩევისას. აღნიშნული დეტალი ხელს შეუწყობდა მათ დასაქმებას და ადგილობრივ მოსახლეობასთან დაახლოებას.

მამაკაცებისთვის ასევე მნიშვნელოვანი იყო ლეგალურად დასაქმების პერსპექტივა (25%) და მიმღები ქვეყნის საგარეო პოლიტიკა საქართველოსთან მიმართებაში. როგორც ინტერვიუს დროს განაცხადეს რესპონდენტებმა აღნიშნული ასპექტი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი გახდა მათთვის 2008 წლის საქართველო-რუსეთის კონფლიქტის შემდეგ.

ქალი მიგრანტები კი დამატებით ყურადღებას აქცევენ კულტურის სხვა ელემენტებს. ინტერვიუს დროს ქალბატონები აცხადებენ, რომ მათთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მიმღები სახელმწიფოების საზოგადოებაში ინტეგრაცია.


აღსანიშნავია, რომ რესპონდენტი ქალბატონები (41-60 წლამდე) მიგრაციის გადაწყვეტილებაზე საუბრისას ყოველთვის ხაზს უსვამენ იმ ფაქტს, რომ მათ მიგრირება გადაწყვიტეს ოჯახში არსებული ფინანსური პრობლემების გამო. მაშასადამე, გაეროს დასკვნა, რომ ქალთა ალტრუიზმი მიგრაციის მოტივაციაა გამოკითხვის მეშვეობით მართლდება. ოჯახი ქართველებისთვის მთავარი ღირებულებაა (ჩიტაშვილი, კანდელაკი, 1998). აღნიშნული ფასეულობის შედეგად და ფინანსური კრიზისის გამო ქართველი ქალი ემიგრანტების უმეტესობა იძულებული იყო დაეტოვებინა სამშობლო (შელია, სულაბერიძე და ტუხაშვილი, 2019).

*რეგიონული თავისებურებები.* რაც შეეხება ქართული ინტელექტუალი ემიგრანტების რეგიონალურ თავისებურებებს, გამოკითხულთა 40% რეგიონებიდან გადავიდნენ უცხოეთში საცხოვრებლად. შესაბამისად მნიშვნელოვანია იმის გარკვევა თუ არის რაიმე კონკრეტული დეტალი რომელიც განასხვავებს ემიგრანტებს რეგიონების მიხედვით.

პირველი რეგიონული განსხვავება, რაც თვალში საცემია პასუხების დამუშავებისას ეს არის ინფორმაციის სხვადასხვა წყაროების გამოყენება ემიგრანტების მიერ. თბილისელები ყველაზე აქტიურად იყენებენ ინტერნეტს, როგორც ინფორმაციის წყაროს. მაშინ როდესაც რეგიონებიდან ჩასული პირები უფრო მეტად სარგებლობენ თავიანთი სანაცნობო წრით და/ ან ადგილზე ჩასვლისას არკვევენ სიტუაციას.

ემიგრაციისას სამსახურის პოვნის მიზნით თითქმის იგივე საინფორმაციო წყაროები გამოიყენება თუმცა, შეინიშნება ინტერნეტის როლის გაზრდა (ნახაზი 38).

ნახაზი 38. რა საინფორმაციო წყაროს მეშვეობით იპოვეთ სამსახური




*შედგენილი და დაანგარიშებული: ავტორის მიერ, გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით, (30.09.2019)*

რეგიონებიდან უცხოეთში წასული ემიგრანტები უფრო დიდი სიხშირით ინარჩუნებენ ურთიერთობას ქართულ დიასპორასთან ვიდრე თბილისელები. მიუხედავად, იმისა, რომ ემიგრანტების ძირითადად ნაწილს (40.87%) ხშირი ურთიერთობა აქვს ქართულ დიასპორასთან, რეგიონებიდან ჩასულ პირებს უფრო მჭიდრო ადამიანური კონტაქტები აქვთ (ნახაზი 38). როგორც ინტერვიუს დროს გამოკითხულები აცხადებდნენ ხშირ შემთხვევაში ის ადამიანი ვინც მათივე რეგიონიდან არის წასული უცხოეთში ხდება მათი "გიდი", როგორც ემიგრაციის, პროცედურების, ასევე, სამსახურის პოვნის მხრივ. ადგილზე ჩასვლისას კი რეგიონებიდან ჩასული ემიგრანტები ცდილობენ დასვენების დღეები ერთად, სხვა



ქართველებთან ერთად გაატარონ. აღნიშნულ პოზიციას განსაკუთრებით გამოხატავდნენ ფიზიკურად მომუშავე ქალბატონები. ქართული დიასპორის შეხვედრის ადგილად ხშირ შემთხვევაში სახელდება ქართული ეკლესიები და/ან ნებისმიერი მართლმადიდებელი ეკლესიები.


ნახაზი 39. რა სიხშირით ნახულობთ/ გავქვთ ურთიერთობა ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან



შედეგნილი და დაანგარიშებული: ავტორის მიერ, გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით, (30.09.2019)

მიუხედავად იმისა, რომ ემიგრანტების უმრავლესობა (განურჩევლად იმისა თუ სად ცხოვრობდნენ ისინი საქართველოში) თანხმდება, რომ მათი ცხოვრების ხარისხი უკეთესობისკენ შეიცვალა უცხოეთში წასვლის შემდეგ, რეგიონებიდან ჩასულები არ ურჩევდნენ სხვას, რომ იმავე ქვეყანაში ემიგრირდნენ. თბილისელების 48.78% კი რეკომენდაციას უწევს მათ ამჟამინდელ საცხოვრებელზე (ნახაზი 40).

ნახაზი 40. გაუწევდით თუ არა რეკომენდაციას მიმღებ ქვეყანაში ცხოვრებას (რეგიონების მიხედვით)



შედგენილი და დაანგარიშებული: ავტორის მიერ, გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით, (30.09.2019)


რეგიონებიდან უცხოეთის მოქალაქეობის მიღების ყველაზე დიდი სურვილი იმერეთის და სამეგრელოს წარმომადგენლებს აქვთ. ხოლო გზავნილებს კი ყველა თავისი შესაძლებლობების მიხედვით აგზავნის (ძირითადად ოჯახის წევრებისთვის). გამოკითხულთა პასუხების მიხედვით დგინდება, რომ ემიგრანტების მიერ საქართველოში გაგზავნილი თანხები რეგიონებში უფრო მეტ ადამიანს ხმარდება ვიდრე თბილისში.

ძალიან საინტერესოა ის ფაქტი, რომ რაც უფრო მაღალი შემოსავალი აქვთ გამოკითხულებს, მით უფრო ნაკლებად უჩნდებათ სურვილი, რომ სამშობლოში საცხოვრებლად დაბრუნდნენ. მაღალშემოსავლიანი პირები ფიქრობენ, რომ დაბრუნების შემდეგ მათ არ ექნებათ ადგილზე თვითრეალიზების საშუალება.

გამოკითხული პირებიდან ყველაზე მაღალშემოსავლიანი ინტელექტუალები ამერიკაში, ისრაელში და დიდ ბრიტანეთში ცხოვრობდნენ და ისინი მინიმუმ 7 წელი მოღვაწეობენ უცხოეთში.

მოპოვებული ინფორმაციის შესაბამისად ვხედავთ, რომ ის ემიგრანტები, რომლებსაც მაღალი შემოსავალი აქვთ, არ აგზავნიან დიდი რაოდენობის თანხებს სამშობლოში. მაღალი შემოსავლის მქონე ემიგრანტების ნაწილი ინტერვიუს დროს აცხადებდა, რომ მათი ოჯახის წევრები/ ნაცნობები საკმაოდ წარმატებული პირები არიან საქართველოშიც, შესაბამისად, მათი ფინანსური დახმარება დიდად არ ესაჭიროებათ. ხოლო მეორე ნაწილმა განაცხადა, რომ ოჯახის წევრები ძირითად შემთხვევაში მათთან ერთად არიან უცხოეთში. მაშასადამე, გზავნილების ტრანსფერის მაგიერ ისინი ადგილობრივად ხარჯავენ თანხებს (ნახაზი 41).

ნახაზი 41. შემოსავლებისა და ფულადი გზავნილების სიდიდე



შედგენილი და დაანგარიშებული: ავტორის მიერ, გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით, (30.09.2019)

მაღალი შემოსავლის მქონე პირებს ხშირ შემთხვევაში აქვთ უცხოური პასპორტი და/ან სურვილი, რომ იქონიონ მიმღები სახელმწიფოს პასპორტი. რაც შეეხება დაბალშემოსავლიან რესპონდენტებს მათ უმეტესწილად დაბრუნება უნდათ და სურვილი არ აქვთ უცხოური პასპორტის ქონის.

განათლების მხრივ, სხვადასხვა შემოსავლის მქონე პირებს სხვადასხვა დონის განათლება აქვთ. თუმცა აღსანიშნავია, რომ მაღალ შემოსავლის მქონე ადამიანები ემიგრაციის დასაწყისიდანვე ფლობდნენ მიმღები სახელმწიფოს ენას. მაშასადამე, დამოკიდებულება განათლების დონეს, ადგილმდებარეობის და მიღებულ ფინანსურ ანაზღაურებას შორის არ დგინდება.

აღნიშნული კვლევის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართველი ემიგრანტების დამოკიდებულება, როგორც მიგრაციის, ასევე, ადგილობრივი დიასპორის მიმართ, განსხვავებულია გამოკითხულთა ასაკის, წარმოშობის და სქესის შესაბამისად.

მიუხედავად აზრთა განსხვავებისა, თითქმის ყველა გამოკითხულ მიგრანტს აერთიანებს ორი საერთო მიზანი : 1. უცხოეთის მოქალაქეობის მიღების სურვილი და 2. საქართველოში დაბრუნების სურვილი. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ სამშობლოში დაბრუნების სურვილი მცირდება შემოსავლის რაოდენობის ზრდასთან ერთად.

### ***3.3 ინტელექტუალური მიგრაციის ზეგავლენა საქართველოს ეკონომიკაზე***

როგორც ნაშრომში მრავალჯერ იქნა აღნიშნული, ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ დეტალურად იყოს გამოკვლეული ინტელექტუალური მიგრაციის ძირითადი ასპექტები.

მაშასადამე, ჩვენი კვლევის მიზანია გავარკვიოთ თუ რა კულტურის დეტალები იზიდავს მიმღებ ქვეყნებში, როგორც უცხოელ, ასევე ქართველ ემიგრანტებს და საერთოდ არის თუ არა განსხვავება ქართულ და გლობალურ "ტვინთა გაცვლას" შორის.

კვლევის შედეგად დამატებით გაანალიზებულია თუ რაოდენ განსხვავებულია ინტელექტუალური მიგრაციის ეფექტები დიდ და პატარა ქვეყნებისთვის და თუ რა შეიძლება იყოს აღნიშნული ემიგრაციის რეგულირების საშუალება.

ასევე, კვლევაში განხილულია ისეთი საკითხები როგორცაა:

- 1) აქვს თუ არა საქართველოსნაირ პატარა სახელმწიფოს შანსი, რომ გახდეს მიგრანტთა მიმღები ქვეყანა?
- 2) რა ტიპის მიგრანტების მიღება შეიძლება იყოს მომგებიანი ჩვენი ქვეყნისთვის?
- 3) შეიცვალა თუ არა ქართველი ემიგრანტების უცხოეთში დასაქმების სტანდარტი?
- 4) შეიცვალა თუ არა თვითონ ქართველების დამოკიდებულება ემიგრაციასთან დაკავშირებით და შეცვალა თუ არა აღნიშნული დამოკიდებულება ევროკავშირთან ვიზა ლიბერალიზაციამ?

კვლევის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციები, უპირველეს ყოვლისა, მიმართულია ქართული ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისთვის, თუმცა, შესაძლებელია გლობალურადაც იყოს გათვალისწინებული.

აღნიშნული კვლევის ჩასატარებლად პირველ ეტაპზე ჩამოყალიბებული იქნა კვლევის მიზანი და ამოცანები. აღნიშნული მიზნებისთვის ინფორმაციის მოსაპოვებლად შემუშავდა კითხვარი, რომელიც შედგება 28 ღია კითხვისაგან (დანართი 2).

მეორე ეტაპზე, ჩატარდა ინტერვიუები სახელმწიფო უწყებებში, საერთაშორისო ორგანიზაციებში და საქართველოს უნივერსიტეტებში მოღვაწე ექსპერტებთან. პროფესიონალებს ინტერვიუმდე წინაწარ ეგზავნებოდათ სახელმძღვანელო კითხვარი.

აღნიშნული ინტერვიუები ჩატარდა 2019 წლის ივლის - სექტემბრის პერიოდში. თითო ინტერვიუ საშუალოდ 1 საათი გრძელდებოდა.

კვლევაში განხილული ზოგიერთი საკითხების საერთაშორისო გამოცდილების გასაანალიზებლად მოძიებული იქნა შესაბამისი ქართული თუ უცხოური ბეჭდური და ელექტრონული ლიტერატურა.

*ინტელექტუალური მიგრაცია და მიმღები სახელმწიფოს სოციალური ასპექტები.*  
აღნიშნული საკითხის განხილვისას ექსპერტები აღნიშნავენ, მნიშვნელობა აქვს თუ რა მიზნისთვის მიემგზავრება განათლებული ადამიანი უცხოეთში საცხოვრებლად. ძირითად შემთხვევაში (ანუ, როდესაც ხდება "ტვინთა გადინება") პირველ რიგში ინტელექტუალი პირები ემიგრაციას განიხილავენ ისეთ ქვეყნებში, სადაც მათთვის მარტივი იქნება ადაპტირება. სოციალური ასპექტების მხრივ კი, მსგავსი ტიპის ქვეყნები ეს არის იგივე/ მსგავსი კულტურული ფასეულობის მატარებელი სახელმწიფოები. პირველ რიგში მნიშვნელოვანია თუ რამდენად ფლობს მიგრანტი მიმღები სახელმწიფოს ენას. ასევე, ემიგრანტები (განსაკუთრებით ისინი, ვინც ხანგრძლივი ვადით აპირებენ უცხოეთში დარჩენას) ითვალისწინებენ თუ რამდენად ლიბერალური კულტურა არის მიმღებ ქვეყანაში, რამდენად ეძლევათ შესაძლებლობა უცხოელებს, წარმატებას მიაღწიონ და რამდენად მარტივად შეუძლიათ კონტაქტის დამყარება უცხოელებთან რეზიდენტებს. 21-ე საუკუნეში მსგავსი ტიპის ინფორმაციის გაგება ძალიან მარტივია ტექნოლოგიური განვითარების შესაბამისად.

ხშირად, ადგილობრივი ენის არცოდნა, ინფორმაციის ასიმეტრიულობა, კორპორაციული კულტურისა და საზოგადოებრივი ფასეულობების განსხვავებულობის გამო, პოტენციური ემიგრანტები მათ გამოცდილებაზე ნაკლებ სამუშაო პოზიციაზე თანხმდებიან იმ იმედით, რომ ადგილზე ექნებათ თვითრეალიზების საშუალება.

კულტურის ასპექტების თანხვედრასთან ერთად მნიშვნელოვანია მიმღებ ქვეყანაში არსებული მშობლიური ქვეყნის დიასპორის სიდიდე და სიმდიერე. აღნიშნული დეტალი უადვილებს ინტელექტუალურ მიგრანტებს ახალ გარემოსთან ასიმილაციას (განსაკუთრებით თუ დიასპორის ამჟამინდელი წევრს პოტენციურ ემიგრანტთან სამშობლოში ცხოვრების დროსაც ჰქონდა კომუნიკაცია/ კავშირი).

შესაძლებელია რომ ადგილზე მყოფი დიასპორის წევრიც დაეხმაროს ემიგრანტს კარიერის განვითარებაში.

ინტელექტუალი მიგრანტებისთვის პროფესიულ წინსვლასთან ერთად საყურადღებოა, მიმღები და გამგზავნი სახელმწიფოების ისტორიული ურთიერთობები, ადგილზე განათლების მიღების საშუალება და მიმღები ქვეყნის მოქალაქეობის მიღების შანსებიც. აგრეთვე, იმ მიგრანტებისთვის, რომლებიც დიდი დროის პერიოდით აპირებენ დარჩენას უცხოეთში, მნიშვნელოვანია თუ რამდენად ხელმისაწვდომია მიმღებ სახელმწიფოში სამედიცინო მომსახურება.

განსხვავება, თუ რა კულტურის მახასიათებელმა შეიძლება მიიზიდოს პოტენციური მიგრანტი, ასევე დამოკიდებულია პიროვნების ამჟამინდელი სოციალურ თუ ეკონომიკურ მდგომარეობაზე. მაღალშემოსავლიანი განათლებული პირები უცხოეთში შესაძლებელია დაინტერესებულები იყვნენ, მაგალითად კონკრეტული სახელმწიფოს ეკოლოგიური მდგომარეობით და/ ან ცხოვრების ხარისხის რომელიმე ასპექტით. როდესაც იმ პოტენციურ ემიგრანტებს, რომლებსაც შედარებით დაბალი შემოსავალი აქვთ აინტერესებთ თუ რამდენად ლოიალურია მიგრანტების მიმართ მიმღები საზოგადოება და რამდენად არ ექნებათ მათ შეხება ე.წ "მინის ჭერის" სახის პრობლემებთან, სწრაფი თვითრეალიზებისათვის.

თუ პიროვნება მიემგზავრება ოჯახის გაერთიანების მიზნით (რაც ხშირია) მაშინ მიმღები სახელმწიფოს კულტურა არ წარმოადგენს ინტერესის სფეროს. ასეთი შემთხვევის დროს ემიგრანტისთვის მთავარია მისი ოჯახის გაერთიანება და არა მიმღები სახელმწიფოს სოციალური ასპექტები.

ერთი რამ, რაც ნებისმიერ ემიგრანტს აერთიანებს არის ის ფაქტი, რომ ყველანი ეძებენ ცხოვრებისთვის უსაფრთხო ქვეყნებს საცხოვრებლად. როგორც მასლოუს იერარქიის მიხედვით არის ცნობილი, ადამიანისთვის მნიშვნელოვანია პერსონალური უსაფრთხოების შეგრძნება.

*ინტელექტუალური ემიგრაციის ეფექტი პატარა სახელმწიფოებისთვის.*

ექსპერტები ერთხმად თანხმდებიან, რომ ინტელექტუალურ ემიგრაციას საბოლოო ჯამში უფრო მეტი ნეგატიური ასპექტი აქვს ვიდრე დადებითი, განურჩევლად "გამგზავნი" სახელმწიფოს სიდიდისა. პატარა ქვეყნები სამუშაო ძალის პოტენციურ "კრიზისს" ბევრად უფრო მალე გამოცდიან, ვიდრე ჭარბი მოსახლეობის მქონე ქვეყანაში. აღნიშნული ტიპის კრიზისს თან სდევს არა მხოლოდ ეკონომიკური განვითარების შემდგომი პრობლემები, არამედ, ერის დაბერების პრობლემებიც.

რაც შეეხება, ტვინთა მიგრაციის დადებით მხარეებს, გზავნილები და ტექნოლოგიების ტრანსფერი ეს არის ორი დეტალი, რომელიც პოზიტიურად მოქმედებს მიგრანტების "გამგზავნი" სამშობლოზე. იქიდან გამომდინარე რომ ემიგრაციაში მყოფი ადამიანები ფულადი გზავნილებით უზრუნველყოფენ სამშობლოში დარჩენილ ნათესავებსა და ახლობლებს. არ შეიძლება არ დავინახოთ ის პირდაპირი დადებითი მატერიალური გავლენა, რაც მიგრაციას აქვს მშობლიური ქვეყნის განვითარებაზე.

"ტვინთა მიგრაციის" ყველაზე ოპტიმალურ ვარიანტად სახელდება შემთხვევა, როდესაც ემიგრანტი რამდენიმე წლით მიემგზავრება უცხოეთში საცხოვრებლად და შემდეგ ბრუნდება თავის სამშობლოში ახალი უნარებით/ ინფორმაციით. მნიშვნელოვანი დადებითი გავლენის შესაძლებლობა აქვთ იმ ადამიანებს ვინც უცხოეთში მიღებულ გამოცდილებას თუ დაგროვილ კაპიტალს სამშობლოში დააბრუნებენ. თუმცა, დაბრუნებისას გასათვალისწინებელია თუ რამდენად არის მზად სახელმწიფო აღნიშნული ინოვაციების განხორციელებისთვის, როგორც ფინანსურად, ასევე ტექნიკურად. შესაბამისად, დაბრუნებული ემიგრანტი განვითარებად სახელმწიფოში მხოლოდ ნაწილობრივ შეძლებს თავისი უცხოეთში შეძენილი ცოდნის გამოყენებას.

ექსპერტთა აზრით ტვინთა ემიგრაცია განვითარების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა განვითარებული ქვეყნებისათვის. განვითარებულ ქვეყნებს მეტი შანსი აქვთ მოიზიდონ მაღალ კვალიფიციური კადრები და შეავსონ ტვინთა გადინებით გამოწვეული დანაკლისი სამუშაო ძალაში. ინტელექტუალური მიგრანტები ხშირ



შემთხვევაში ხდებიან ინოვაციების წყარო (რომელიც იწვევს შემდგომ ეკონომიკურ განვითარებას) და დამატებით, ისინი აჩერებენ ერთა დაბერების პროცესს, რომელიც განსაკუთრებით აწუხებს განვითარებულ სახელმწიფოებს.

ზემოაღნიშნული დაბერების პრობლემა აწუხებს იაპონიას. ხსენებულ სახელმწიფოში საერთაშორისო მიგრაციის ორგანიზაციის ინფორმაციით, ამჟამად დაახლოებით 122 მილიონი ადამიანი ცხოვრობს, თუმცა, უახლოეს 50 წელიწადში ნიშნული 88 მილიონს მიუახლოვდება.

ფაქტის გამომწვევ ფაქტორად კი სახელდება დაბალი შობადობა. იმისთვის, რომ არ შემცირდეს მოქალაქეების რაოდენობა მომავალში და არ შეჩერდეს ქვეყნის განვითარება, იაპონიის მთავრობა განიხილავს ახალ საემიგრაციო პოლიტიკას (Denyer, Kashiwagi, 2018).

*ინტელექტუალური ემიგრაციის ნაკადები და მომავლის შესაძლო ტენდენციები.*

გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ მიგრაციის ეკონომიკური მოტივები მომავალშიც სავარაუდოდ არ შეიცვლება (თუ არ მოხდა გარკვეული ბუნებრივი კატაკლიზმები, რომლებმაც შეიძლება თავდაყირა დააყენოს ზოგადად მიგრაციის "დინება"), მიგრანტების მიმართულება ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფოებისკენ "კონსტანტად" დარჩება. განვითარებულ ქვეყნებში ყოველთვის უფრო მეტი პოტენციალი იქნება თვითრეალიზაციის.

დამატებით ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ გლობალიზაციის პირობებში ხდება საზღვრების ინტეგრაცია. შესაბამისად, არის მოლოდინი, რომ მიგრაცია და მათ შორის განათლებული მიგრანტების რიცხვი გაიზრდება.

ექსპერტი მირიან ტუხაშვილი აღნიშნავს, რომ ინტელექტუალური მიგრანტი ყოველთვის არჩევს უკეთეს გარემო პირობებს. არ არის აუცილებელი, რომ განათლებული პირი განვითარებულ სახელმწიფოში წავიდეს. საკმარისია, იმ გარემოზე უკეთესის პოვნა ვიდრე მას ამჟამად აქვს. მსგავსი ტიპის ინტელექტუალური მიგრაციის მაგალითია ყირგიზების მიგრაცია ყაზახეთში. ყაზახეთი რეგიონის მასშტაბით ყველაზე

ეკონომიკურად განვითარებული სახელმწიფოა, მაგრამ ის არ აკმაყოფილებს "განვითარებული" სახელმწიფოს პირობებს. თუმცა, 2017 წლის საერთაშორისო მიგრაციის ორგანიზაციის მონაცემებით 314, 463 სამუშაო ვიზა გაიცა უზბეკ, ყირგიზ ტაჯიკელ მოქალაქეებზე (Kazmierkiewicz, 2017).

ექსპერტების მოსაზრებით მიუხედავად იმისა, რომ მომავალში ძირითადი ინტელექტუალი მიგრანტების ნაკადი არ შეიცვლება, არ არის აუცილებელი, რომ ქვეყანა მსოფლიო ბანკის "განვითარებული სახელმწიფოს" განმარტებაში ჯდებოდეს იმისთვის, რომ ის ემიგრანტებისთვის საინტერესო აღმოჩნდეს.

მიმზიდველობისთვის აუცილებელია მზარდი ინვესტიციებისა და ეკონომიკური ზუმის პირობებში მეტი შესაძლებლობების და ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფა. ეკონომიკური ფაქტორებიდან მნიშვნელოვანია სტაბილური ეკონომიკური ზრდა შემოსავლის მაღალი უთანაბრობის პირობებში, რაც ფასების შედარებით დაბალ დონესთან და მაღალკვალიფიციური მუშახელის სასარგებლოდ მაღალ შემოსავლებთანაა დაკავშირებული. სოციალური ფაქტორებიდან აღსანიშნავია ფასეულობების ზოგადი თანხვედრა, ჯანდაცვის დონე და საცხოვრებელი გარემოს უსაფრთხოება კრიმინალისა და გარემოს დაბინძურების დაბალი დონის ჩათვლით.

რაც შეეხება იმ განვითარებადი ქვეყნის დასახელებას, რომელიც მომავალში შესაძლოა ემიგრანტების ერთ-ერთ წამყვან მიმღებად იქცეს, ექსპერტები თავიანთ "ფსონს" ჩინეთზე დებენ.

*საქართველო, როგორც მიგრანტების მიმღები ქვეყანა.* ბოლო წლების განმავლობაში საქართველო სხვადასხვა მიზნით ჩამოსული მიგრანტების მიმღებ ქვეყნად იქცა. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი ექსპერტებთანაც განვიხილეთ.

ექსპერტების ნაწილი ემხრობა იმ მოსაზრებას, რომ საქართველოს აქვს შანსი, რომ გაიზარდოს ემიგრანტთა რაოდენობა ქვეყანაში. თუმცა, ის დანაკლისი რასაც განვიცდით ინტელექტუალური მიგრაციის მხრივ, 90-იანი წლებიდან, ვერ "შეივსება".

დღევანდელი მოცემულობით სახელმწიფოსთვის მომგებიანი იქნება, რომ ქვეყანაში იყვნენ იმიგრანტები, რომლებსაც გამოცდილება/ განათლება აქვთ იმ სფეროებში, რომელიც დეფიციტურია საქართველოში. აღნიშნული ადამიანების ყოფნა ქვეყანაში აუცილებლად იქონიებს პოზიტიურ გავლენას, რადგან მოხდება ცოდნის და გამოცდილების გაზიარება ადგილობრივებთან.

კვალიფიციური მუშახელის მიღება აუცილებლად იქნება საინტერესო საქართველოსთვის. დროთა განმავლობაში მოხდება კვალიფიკაციის გაზიარება ქართველ მუშახელთან რაც გაზრდის მათ შესაძლებლობებს.

ასევე, ექსპერტების ჯგუფმა გამოთქვა აზრი, რომ ჩვენნაირი ქვეყნისთვის მომგებიანი იქნებოდა, რომ უნივერსიტეტებმა უფრო აქტიურად მიიღონ მონაწილეობა სტუდენტების საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში და/ან ინგლისური პროგრამების განვითარებაში.

სტატისტიკის მიხედვით 2012 - 2016 წლამდე საქართველოში 10, 124 სტუდენტური ვიზა გაიცა. სტუდენტები ძირითადად ჩამოდიან ყოფილი საბჭოთა ქვეყნებიდან, როგორც არის აზერბაიჯანი და რუსეთი. თუმცა, ახალგაზრდები ინდოეთიდან, ერაყიდან, ნიგერიიდან და თურქეთიდან არჩევენ საქართველოში განათლების მიღებას, ძირითადად სამედიცინო ფაკულტეტზე. დამატებითი მოთხოვნის შესაბამისად, ზოგიერთმა უნივერსიტეტმა დაიწყო ინგლისურ კურიკულუმზე მუშაობა თუმცა, მაღალი ქულების სტუდენტების მოზიდვისათვის აუცილებელია, დასაქმებული პროფესორების და სწავლების მეთოდების განახლება.

სტუდენტი მიგრანტები არა მხოლოდ განათლების განვითარებას უწყობენ ხელს, არამედ ისინი ფინანსურადაც მომგებიანები არიან სახელმწიფოსთვის. ემიგრაციის კომისიის ინფორმაციით სტუდენტებმა 2016 წელს დაახლოებით 195 მილიონი ლარი დახარჯეს საქართველოში ყოფნისას. მათი ძირითადი ხარჯები სწავლას, ბინის ქირის, საკვების და ტრანსპორტირების ხარჯებს მოხმარდა. სტუდენტები სადღაც 4 წელს ატარებენ საქართველოში და შემდგომ თითქმის ყველა ბრუნდება თავის სამშობლოში.

ასევე, ჩვენნაირი პატარა სახელმწიფოსთვის შესაძლებელია საინტერესო იყოს პენსიონერი იმიგრანტების მოზიდვა.

ნებისმიერ შემთხვევაში, საჭიროა ახალი, გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურების შექმნა. ექსპერტების აზრით კერძო სექტორმა თავად უნდა მოიძიოს აღნიშნული ტიპის იმიგრანტები. სახელმწიფოს მხრიდან უბრალოდ არ უნდა ხდებოდეს ბარიერების შექმნა კანონიერად დასაქმებული ადამიანების ქვეყანაში მისაღებად.

*საქართველოს ინტელექტუალური მიგრაციის ზოგიერთი მახასიათებელი.* ექსპერტები აღნიშნავენ, რომ 1990-იანი წლების დასაწყისში ინტელექტუალური მიგრაცია, დიდად არ განსხვავდებოდა ზოგადი შრომითი მიგრაციისგან, რადგან ხდებოდა მოსახლეობის მასიური გადინება უცხოეთში დაბალკვალიფიკაციურ/ მათი ცოდნის შეუფერებელ პოზიციებზე. უმეტეს შემთხვევაში ქართველ მიგრანტებს არ ჰქონდათ ოფიციალური მუშაობის ნებართვა და ფსიქოლოგიურად დამაბულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. შესაბამისად, მიგრაცია უარყოფით მოვლენად აღიქმებოდა.

განვითარებული კომუნიკაციების და ახალგაზრდების უცხოეთში განათლების აქტიურად მიღების შედეგად მოქალაქეებმა (ძირითადად ახალმა თაობამ) შეძლო მიეღო საჭირო ინფორმაცია უცხოეთში კარიერის დასაწყებად. ვიზა ლიბერალიზაციის შემდეგ ასევე, გამარტივდა უცხოეთში წასვლა. დაბრუნებულების რაოდენობით კი 2018 წლის დასაწყისიდან უფრო შემცირდა.

თანამედროვე რეალობის ფარგლებში ხშირად გვეხვება ე.წ. წარმატების ისტორიები, თუ როგორ შეძლო კონკრეტულმა განათლებულმა მოქალაქემ წარმატების მიღწევა. ლოგიკურად, ნეგატიური საზოგადოებრივი აზრი აღნიშნულ საკითხზე შეცვლას იწყებს.

რაც შეეხება ქართული ინტელექტუალური მიგრაციის მახასიათებლებს ექსპერტების აზრით ის შეესაბამება საერთაშორისო ტენდენციებს. მათი აზრით

შესაძლებელია, რომ ქართულ ინტელექტუალთა ემიგრაციას ახასიათებდეს მცირე რეგიონული თავისებურებები. თუმცა, აღნიშნული მონაცემები არ არის თვალშისაცემი.

სოციოლოგიური კვლევების შედეგების ანალიზის შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა დიდ გავლენას ახდენს საქართველოში არსებულ მიგრაციულ პროცესებზე.

დაკვირვების შედეგად აღმოჩნდა, რომ ახალგაზრდების უმეტესობა ( განურჩევლად სქესისა, თუ ადგილმდებარეობისა) ფიქრობს შესაძლო მიგრაციაზე ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობის გამო. აღნიშნული ასაკობრივი ჯგუფი ფლობს უცხო ენას, ნაწილობრივ აქვს უცხოეთში ცხოვრების გამოცდილება და აქტიურად იყენებს ინტერნეტს, როგორც მიგრაციის და ზოგადად, ინფორმაციის მიღების წყაროს. პასუხებიდან გამომდინარე ნათელია, რომ აუცილებელია მივიღოთ შესაბამისი ზომები იმისთვის, რომ მომავალში არ მოხდეს ტვინთა გადინების მასიური ზრდას.

ასევე, საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ქართველი მოსახლეობა დროის განმავლობაში აზრს იცვლის მიგრაციის შესახებ. მოქალაქეებს დროთა განმავლობაში შეეცვალათ არა მხოლოდ კულტურული პრეფერენციები (მიგრაციის დანიშნულება, მიზნობრიობა და ა.შ) არამედ, მათ ასევე შეეცვალათ წარმოდგენა მიგრაციის შესახებ. აღნიშნული საკითხი დაკავშირებულია მიგრაციის შედეგად განვითარებული, წარმატებული ქართველების მაგალითებთან და ვიზა ლიბერალიზაციასთან, რომელმაც დააჩქარა მოგზაურობის შესაძლებლობა.

მოცემული ინფორმაციის შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თანამედროვე ქართულ რეალობაში მიგრაცია არის თვით განვითარებისა და ფინანსური წარმატების გზა. მიუხედავად, იმისა, რომ როგორც რესპონდენტები აფიქსირებენ, მიგრაციისას მათ და თავიანთ ახლობლებს არ აქვთ მათი ცოდნის შესაბამისი სამსახურის შოვნის საშუალება, საქართველოში მცხოვრები პირები და ქართველი მიგრანტები ერთხმად აღიარებენ რომ მათი ცხოვრების ხარისხი მიგრაციის შემდგომ გაუმჯობესდება.

## დასკვნები და რეკომენდაციები

ინტელექტუალური სამუშაო ძალის გადინება მე-20 და 21-ე საუკუნის არა პრობლემად, არამედ დამახასიათებელ ნიშნადაც კი შეგვიძლია მივიჩნიოთ. თანამედროვე რეალობაში განათლება სამუშაოს შოვნის გარანტი არ არის. ხშირად, გულაცრუებულ, უნივერსიტეტ-დამთავრებულ პიროვნებებს უკეთესი მომავლის იმედით ერთადერთი არჩევანი - განვითარებულ ქვეყანებში ემიგრაცია რჩებათ.

ტვინთა გადინება მრავალი წელია რაც იქცევს ეკონომისტების ყურადღებას და არსებობს მრავალი ლიტერატურული წყარო, რომელიც აფასებს აღნიშნულ მოვლენას. ინტელექტუალური მიგრაციის გრძელვადიანი ეფექტი ინტელექტუალების წარმოშობის ქვეყნებზე უმეტესად უარყოფითია. თუმცა, ტვინთა გადინებას ახასიათებს სხვადასხვა პოზიტიური ასპექტებიც, როგორცაა:

1. ინოვაციები: უცხოეთში შექმნილი შესაძლებლობებით და/ან ნაცნობებით შესაძლებელია ადგილობრივი ეკონომიკის წახალისება და ახალი ინვესტიციების მოზიდვა;
2. განათლების გავრცელება: უცხოეთში მიღებული ინფორმაციის და განათლების საფუძველზე ემიგრანტებს ეძლევათ შესაძლებლობა განავითარონ თავიანთ ქვეყანაში არსებული სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური რეალობა;
3. გზავნილები: იცვლება მიგრანტების დარჩენილი ოჯახების ფინანსური მდგომარეობა და მათი დასაქმების, მიგრაციის, განათლების გადაწყვეტილებები. ასევე, ხდება ადგილობრივი ეკონომიკისა და ფინანსური ინსტრუმენტების განვითარება.

კვალიფიციური კადრების დეფიციტი, იწვევს ადამიანთა რაოდენობის შემცირებას ქვეყანაში და ასევე, აჩქარებს ერის დაბერების პროცესს. ქვეყნის ადამიანური რესურსი განსაზღვრავს არა მხოლოდ კვალიფიციური ინტელექტუალების რაოდენობას, არამედ, ეკონომიკის სხვა მნიშვნელოვან პარამეტრებს, როგორცაა: ტექნოლოგია და ინოვაციების განვითარება. იმ შემთხვევაში კი, თუ დიდი ნაწილი

განათლებული ადამიანებისა დატოვებს სამშობლოს, მას დაეკარგება კონკურენტული უპირატესობაც, რადგან ქვეყანაში შენელებული ან საერთოდ შეჩერდება ტექნოლოგიების განვითარება და ინოვაციური პროდუქტების შექმნა.

საერთაშორისო შრომის ეკონომიკის ინსტიტუტის (IZA) კვლევების შედეგების მიხედვით განათლებული ადამიანები ასევე, ხელს უწყობენ თავიანთ ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილურობის, საზოგადოებრივი შეგნების განვითარებას, დანაშაულის რიცხოვნობის შემცირებას და ეკოლოგიურ სისუფთავესაც კი (Machin, Stephen et al., 2011).

დამატებით, ტვინთა გადინება იწვევს ტალანტების უთანაბრო გადანაწილებას მთელ მსოფლიოში. მსოფლიო ბანკის 2018 წლის კვლევით დგინდება, რომ ემიგრანტების 35% (ანუ 80.92 მლნ ადამიანი) გადანაწილებულია მსოფლიოს მხოლოდ ხუთ ქვეყანაში. ემიგრანტების უმეტესობა - 46 მლნ ადამიანი აშშ-ში ცხოვრობს. მიმღები ქვეყნებს შორის ასევე ლიდერობდნენ ისეთი ქვეყნები როგორცაა გერმანია, რუსეთი, საუდის არაბეთი და ინგლისი. გლობალიზაციის შედეგად გამარტივებული მიგრაცია ხელს უწყობს მუშაკთა ანაზღაურების უთანასწორობის გაღრმავებას.

მიგრაციის გადაწყვეტილება მიიღება პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და გარემოს დაცვითი პროცესების დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად. მიუხედავად იმისა, რომ ტვინთა მიგრაციის წამყვანი მოტივაცია ფინანსური კეთილდღეობაა. კვლევების მიხედვით დგინდება, რომ მიგრაციას, ხელს უწყობს ასევე, მრავალი სხვა არა-ეკონომიკური ფაქტორი, როგორც არის:

1. კლიმატის ცვლილება: მოსალოდნელია, რომ გლობალური დათბობა, გაზრდილი ეკოლოგიური საფრთხეების სიხშირე და რაოდენობა გამოიწვევს მიგრაციის (მათ შორის ტვინთა გადინების) ნაკადების მიმართულებების შეცვლას (Wood 2001; Black 2001);
2. გლობალიზაცია: ვაჭრობის, ინვესტიციების, ტექნოლოგიების და საკომუნიკაციო არხების განვითარება და დაკავშირება აძლიერებს ერუდირებული მიგრაციის

სიხშირეს. გახშირებული, იაფი და მარტივი ტრანსპორტირების და ინფორმაციის გაცვლის საშუალებები (სხვადასხვა ტექნოლოგიები თუ ინტერნეტი) ამცირებენ მანძილს ადამიანებს შორის. მაშასადამე, დაინტერესების შემთხვევაში მარტივია სხვადასხვა ქვეყანაში სამსახურის შოვნა, მიგრაციის ბიუროკრატიული საკითხების გარკვევა და გადაწყვეტილების მიღება;

3. პოლიტიკური და რელიგიური დევნა: განსხვავებული რელიგიური და პოლიტიკური შეხედულებები, რომლებიც ასე ხშირია განვითარებად ქვეყნებში, აიძულებს განათლებულ ადამიანებს რომ დატოვონ თავიანთი სამშობლო;
4. განათლება: საერთაშორისო ორგანიზაციების და უნივერსიტეტების მიზანია მსოფლიოში არსებულ საუკეთესო ტალანტების პოვნა. იმ ახალგაზრდებისათვის, რომლებიც განვითარებად ქვეყანაში ცხოვრობენ, აღნიშნული პერსპექტივა განსაკუთრებით მომხიბვლელია. სხვადასხვა კვლევის მეშვეობით მტკიცდება, რომ უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდების მხოლოდ ნახევარი ბრუნდება თავიანთ ქვეყნებში;
5. სექსიზმი: "მინის ჭერის" აღნიშნული ფენომენი შედგება გენდერული სტერეოტიპებისაგან და იწვევს უთანასწორობის ისეთ გამოვლინებებს როგორცაა უთანასწორო ანაზღაურების დონეები, საზოგადოებრივი დისკრიმინაცია და სტერეოტიპები. გენდერული უთანასწორობა ზეგავლენას ახდენს ქალბატონების მიგრაციის გადაწყვეტილებაზე.

სექსიზმის ზეგავლენის გარდა დამატებით გამოსაკვლვევია თუ რა ზეგავლენა აქვს „მინის ჭერის“ სხვა ფენომენებს ემიგრაციის მოტივაციაზე. „მინის ჭერი“ წარმოადგენს ისეთი დაბალი ზნეობის/ ნაკლოვანი მმართველობისა თუ მენეჯმენტის დასაქმების პრაქტიკის ნაკრებს, როგორც არის ნეპოტიზმი, ფავორიტიზმი, ელიტიზმი და სხვა.

ზემოაღნიშნული ინფორმაციის გარდა, ემიგრაციის დანიშნულების არჩევაში დიდ როლს თამაშობს მიმღები ქვეყნის კულტურის ნიუანსებიც. ინტელექტუალი ემიგრანტებისათვის უფრო მისაღებია ინდივიდუალიზმზე აწყობილ განვითარებულ



ქვეყნებში დასახლება და დასაქმება. ასეთ საზოგადოებაში ადამიანს ეძლევა შანსი, რომ დამოუკიდებელი შრომის შესაბამისად იყოს წარმატებული. დინამიური გარემო უზრუნველყოფს ჯანსაღ კონკურენციას, ემიგრანტს არ ეძლევა მოდუნების საშუალება, რაც თვითრეალიზების შეგრძნებას აყალიბებს. რელიგიაც ასევე, ერთ-ერთი უდიდესი ფაქტორია რომელიც განსაზღვრავს კულტურის მახასიათებლებს. ძირითადად მიმღები ქვეყნები არიან ქრისტიანული რელიგიის ერები. მიმღები ქვეყნის სახელმწიფოებრივი ენის ცოდნა ძალზე მნიშვნელოვანია საერთაშორისო მიგრანტებისთვის, რადგან აღნიშნული დეტალი უმარტივებს მიგრანტებს ახალ გარემოში სოციალურ ინტეგრაციას, ასიმილაციას, ინოვაციების შესწავლას და სასურველი სამუშაოს შოვნის შესაძლებლობას.

ქართული ინტელექტუალური მიგრაციის ტენდენციები შეესაბამება საერთაშორისო ტვინთა გადინების ტენდენციებს. ემიგრაციის ძირითადი სურვილი გამოწვეულია ეკონომიკური ინტერესებით და რაც უფრო ნაკლები შემოსავალი აქვთ მოქალაქეებს მით უფრო დიდი სურვილი აქვთ წასვლის. თუმცა, არის გარკვეული თავისებურებები, რომელიც საქართველოს მოქალაქეებს და მათი ემიგრაციის სურვილს უნიკალურს ხდის, როგორცაა სხვადასხვა რეგიონული თუ გენდერული განსხვავებები.

ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული გამოკითხვების შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ:

1. საქართველოს მოქალაქეებისთვის (ისევე, როგორც მსოფლიოს სხვა ინტელექტუალური მიგრანტებისათვის) ამერიკა არის ემიგრაციის ყველაზე სასურველი დანიშნულების ადგილი;
2. ამერიკის გარდა დანიშნულების ქვეყნების არჩევისას იკვეთება რეგიონალური თავისებურებები, მაგალითად: რაჭა- ლეჩხუმი, ქვემო სვანეთიდან გერმანიაში სურთ მიგრაცია, იმერეთიდან კი დიდ ბრიტანეთში, გერმანიაში, შვეიცარიაში და იტალიაში სურთ წასვლა;

3. ისევე, როგორც უცხოეთში ქართველებისთვის ასაკის მატებასთან ერთად მიგრაციის სურვილი მცირდება და განათლების, როგორც მიგრაციის მოტივაციის პირობის სიდიდე იკლებს;
4. რეგიონებში ქართველი მამაკაცები და ქალბატონები უფრო აქტიურად ფიქრობენ ემიგრაციაზე, ვიდრე ქალბატონები. თბილისში კი მამაკაცებს უფრო მეტად სურთ უცხოეთში მიგრაცია;
5. მიმღები ქვეყნების კულტურის ანალიზისას ორივე სქესის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი ეს არის ენის ცოდნა, საერთო კულტურის ელემენტები (ახალ ქვეყანაში მარტივი ასიმილაციისათვის). ასევე, მნიშვნელოვანია მაღალი შემოსავლის მიღების და ლეგალურად დასაქმების პერსპექტივა;
6. ემიგრაციის დანიშნულების ქვეყანაზე მსჯელობისას მიმღები ქვეყნის ფინანსური შესაძლებლობები უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე კულტურული ასპექტები;
7. რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა აცხადებს, რომ მათი ნაცნობი უახლოესი ემიგრანტები უცხოეთში ლეგალურად იმყოფებიან და მუშაობენ თუმცა, არა თავიანთი პროფესიის შესაბამისად;
8. გამოკითხული პირები, რომლებიც იღებენ გზავნილებს, წელიწადში იღებენ 10,000 ლარის ფარგლებში შემოსავალს. აღსანიშნავია, რომ რეგიონებთან შედარებით მაღალ თანხებს იღებენ თბილისელები. თუმცა, გზავნილის თანხა რეგიონებში უფრო მეტი ადამიანის ხარჯებს "ფარავს" ვიდრე თბილისში;
9. ასაკის და სქესის განურჩევლად მიგრანტები გზავნილებს უმეტესწილად (42.62%) ოჯახის ყოველდღიური ხარჯების დასაფარად აგზავნიან;
10. უფროსი ასაკის ემიგრანტები (36-69 წ) აცხადებენ, რომ ემიგრაციამდე არ მოწონდათ თავიანთი ცხოვრების ხარისხი საქართველოში. ახალგაზრდები კი თავიანთ ცხოვრების ხარისხს უმეტესწილად ნეიტრალურად ახასიათებენ. თუმცა, მიგრანტებიც და მათი გამოკითხული ახლობლები/ ოჯახის წევრები

(რომლებიც საქართველოში ცხოვრობენ) ერთხმად ეთანხმებიან იმ აზრს, რომ მათი ცხოვრება უკეთესობისკენ შეიცვალა მიგრაციის შემდგომ;

11. ემიგრაციით განსაკუთრებით კმაყოფილები არიან 25-30 წლის ასაკის გამოკითხული მიგრანტები ( გამოკითხულთა 73.08%);
12. 41-59 წლამდე ასაკის გამოკითხული მიგრანტების გარდა, ყველა ასაკის მოპასუხე უწევს რეკომენდაციას იმავე სახელმწიფოში ემიგრაციას, სადაც თვითონ ამჟამად იმყოფებიან და ასევე, აპირებს, რომ მომავალში ოჯახის წევრებიც საცხოვრებლად გადაიყვანოს იმავე ქვეყანაში;
13. თბილისელი მიგრანტები უცხოეთში სამსახურის საშოვნელად ყველაზე აქტიურად იყენებენ ინტერნეტს, როგორც ინფორმაციის წყაროს მიგრაციის პროცედურებზე. რეგიონებიდან ჩასული პირები კი უფრო მეტად სარგებლობენ თავიანთი ნაცნობების წრით და/ ან ადგილზე ჩასვლისას არკვევენ არსებულ სიტუაციას;
14. რეგიონებიდან უცხოეთში წასული ემიგრანტები უფრო დიდი სიხშირით ინარჩუნებენ ურთიერთობას ქართულ დიასპორასთან ვიდრე თბილისელები;
15. რაც უფრო მაღალი შემოსავალი აქვთ გამოკითხულ მიგრანტებს, მით უფრო ნაკლები სურვილი აქვთ, რომ საქართველოში საცხოვრებლად დაბრუნდნენ;
16. ემიგრანტები, რომლებსაც მაღალი შემოსავალი აქვთ, არ აგზავნიან დიდი რაოდენობით გზავნილებს სამშობლოში;
17. მაღალშემოსავლიან მიგრანტებს ხშირ შემთხვევაში აქვთ უცხოური პასპორტი და/ან სურვილი, რომ იქონიონ მიმღები სახელმწიფოს პასპორტი. რაც შეეხება დაბალშემოსავლიან გამოკითხულებს მათ უმეტესწილად დაბრუნება უნდათ და სურვილი არ აქვთ უცხოური პასპორტის ქონის.

მნიშვნელოვანია გავანალიზოთ თუ რამდენად უმტკივნეულად აღიქვამენ ქართველი ახალგაზრდები ემიგრაციას, მითუმეტეს, როდესაც მათმა უმეტესობამ იცის მიმღები სახელმწიფოს ენები და კარგად ფლობენ ტექნოლოგიას. ქართველი ახალგაზრდებისთვის საერთაშორისო ინსტიტუტები, გამოცდილი "ემიგრანტები" ნაცნობები თუ სხვადასხვა ელექტრონული საშუალებები შეიძლება გახდეს ემიგრაციის

მამოძრავებელი შთაგონება. მათ ჩასვლისას აღარ ჭირდებათ დიასპორასთან ურთიერთობა იმისთვის, რომ ინტეგრაცია მოახდინონ ადგილობრივ საზოგადოებაში.

ის ფაქტი, რომ გამოკითხულთა უმეტესობა აღიარებს, რომ მათი ცხოვრების ხარისხი გაუმჯობესდა ემიგრაციის შემდეგ გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ მომავალში საქართველო შეიძლება დადგეს საკმაოდ დიდი ფინანსური და ადამიანური რესურსების ზარალის წინაშე. ყველაზე წარმატებულ ემიგრანტებს, ყველაზე ნაკლებად სურთ სამშობლოში დაბრუნება. გარდა ამისა, ისინი ზრუნავენ, რომ თავიანთი ოჯახის წევრებიც უცხოეთში წაიყვანონ საცხოვრებლად.

უცხოური პასპორტი უსაფრთხოების გარანტიად იქცა ემიგრანტებისთვის, რადგან იმ შემთხვევაში თუ ისინი ფინანსურად "წარუმატებლად" დაბრუნდებიან საქართველოში (რისი სურვილიც მათ უმეტესობას აქვს), მათ ყოველთვის ექნებათ უკან დასაბრუნებელი გზა.

ტვინთა გადინების სხვადასხვა ასპექტის კვლევის შესაბამისად შეიძლება გაკეთდეს შემდეგი რეკომენდაციები:

1) დამატებით ინვესტირება განათლებაში და მეცნიერებაში- საქართველოს მოსახლეობის უმეტესობა ამთავრებს უმაღლეს სასწავლებელს. თუმცა, უცხოელი პროფესიონალები ხშირად აღნიშნავენ, რომ ქართული განათლების სისტემა, მხოლოდ ნაწილობრივ აკმაყოფილებს განათლების თანამედროვე მოთხოვნებს. სწავლის ხარისხის უზრუნველყოფა არა მხოლოდ ანვითარებს მოქალაქეების უნარებს და განათლების დონეს არამედ, იგი ეხმარება სახელმწიფოებს, რომ გააუმჯობესონ თავიანთი ეკონომიკური მდგომარეობა.

მნიშვნელოვანია მეცნიერების და კვლევების სხვადასხვა ტიპის ცენტრების გააქტიურება, ისინი დამატებითი უცხოური ინვესტიციების და ინოვაციური პროდუქტების მოზიდვის საშუალება შეიძლება გახდეს ჩვენი ქვეყნისთვის. ახალგაზრდა, სტუდენტ ემიგრანტების მოზიდვას ჩვენი ქვეყნისათვის პოზიტიური ეფექტი ექნება.

საქართველოს მთავრობის 2018 წელს გამოცემული N68-ე დადგენილების მიხედვით განსაზღვრულია ქართულ "შრომის ბაზარზე იშვიათი, დეფიციტური ან/და მაღალანაზღაურებადი პროფესიების/ფუნქციათა ერთობლიობის ნუსხა". აღნიშნულ დადგენილებაში საინფორმაციო სისტემების, ფინანსური ანგარიშგების და აუდიტის, სამოქალაქო ავიაციის, საზღვაო და ჰიდროგრაფიული სფეროს კონკრეტული პროფესიებია მოხსენებული, როგორც დეფიციტური. მაშასადამე, შესაძლებელია მეტი მხარდაჭერა გამოუცხადდეს პროფესიულ გადამზადების ცენტრებს, რომელთა მეშვეობით მოქალაქეებს შეუძლიათ შეისწავლონ მოთხოვნადი პროფესიები ან დაიწყონ მუშაობა (შრომის ბაზარზე იშვიათი, დეფიციტური ან/და მაღალანაზღაურებადი პროფესიების/ფუნქციათა ერთობლიობის ნუსხა, 2018). 2014 წელს კორეაში მთელი ქვეყნის მასშტაბით გაიხსნა გადამზადების ცენტრები. "რესტარტის" მიზანი იყო მიეცა კონკრეტული პროფესიის განათლება ქალბატონებისთვის და გაეწია მათთვის დასაქმებაზე კონსულტაცია. შედეგად 1.03 მილიონმა ქალმა სამსახური იპოვა, მაშინ როდესაც 2.1 მილიონი დასაქმების პრეტენდენტმა მიმართა გადამზადების ცენტრებს. ამ გამოცდილების გათვალისწინება მიზანშეწონილია და შესაძლებელია საქართველოშიც, დეფიციტური პროფესიების სასწავლო მასალაში გათვალისწინებით.

ასევე, შესაძლებელია დეფიციტური ან გარკვეულ პროფესიებში წარმატებული მიგრანტების მოზიდვა ადგილობრივი სამუშაო ძალისთვის ცოდნის გადასცემად. აღნიშნული პუნქტი მისცემს ქართველ მოქალაქეებს შეიძინონ თანამედროვე და საჭირო უნარ ჩვევები, როგორც დეფიციტური ასევე, მოთხოვნადი პროფესიების კუთხითაც;

2) სტარტაპების და ინოვაციების მხარდაჭერა- აუცილებელია უფრო აქტიური პოლიტიკის გატარება ახალი სტარტაპების და ინოვაციური პროდუქტების მხარდასაჭერად. ხსენებულ კომპანიებს აქვთ შანსი, რომ შექმნან ახალი სამუშაო ადგილები და განავითარონ ადგილობრივი ეკონომიკა.

ზოგიერთი ქართველი მეცნიერის ანალიზით ასევე, სასურველი იქნებოდა გარკვეული ინსტიტუტების/ პროექტების შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობდა ინოვაციების და მეწარმეობის დარგების განვითარებას.

3) დიასპორის ცენტრების შექმნა- საქართველოს პარლამენტმა 2011 წლის ნოემბერში დაამტკიცა კანონი " უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისა და დიასპორული ორგანიზაციების შესახებ", რომლის მიხედვითაც სახელმწიფო ნიშნავს "დიასპორის საკითხებში საპატიო წარმომადგენელს" უცხოეთის სხვადასხვა ქვეყნებში. ასევე, არსებობს დიასპორული ორგანიზაციები, რომელშიც ემიგრანტებს გაწევრიანება შეუძლიათ შესაბამისი საბუთების წარდგენის შემდგომ (საქართველოს პარლამენტი, 2011). თუმცა, ემიგრანტების გამოკითხვისას დაფიქსირებულ იქნა, რომ მრავალი ემიგრანტი არ აღირიცხება მსგავს ორგანიზაციებში და საელჩოებში დოკუმენტაციის არ ქონის გამო. ინტერვიუების ჩაწერისას შეკრების ცენტრებად სახელდებოდა არაფორმალური ან რელიგიური ადგილები (ეკლესიები). მაშასადამე, შესაძლებელია სახელმწიფოს ინიციატივით შეიქმნას შეკრების ადგილები, სადაც ემიგრანტებს (როგორც ლეგალურს ასევე, არალეგალურს) ექნებათ საშუალება, რომ შეიკრიბონ;

აღნიშნული პუნქტის მეშვეობით სახელმწიფოს შესაძლებლობა ექნება: 1) აღწეროს რეალური ემიგრანტების რაოდენობა და შექმნას უფრო რეალისტური სურათი არსებულ ინტელექტუალურ ემიგრაციაზე; 2) ჰქონდეს ინფორმაცია წარმატებულ ემიგრანტებზე; 3) განავითაროს პროგრამები, რომლის მეშვეობით ემიგრანტებს ექნებათ სურვილი დააფინანსონ სხვადასხვა პროექტები და/ან დროებით ჩამოვიდნენ საქართველოში და განათლება/ პრაქტიკა გაუზიარონ როგორც ახალგაზრდებს, ასევე მოქმედ პროფესიონალებს;

4) ემიგრანტებისთვის დაბრუნების ფინანსური მოტივაციის შექმნა- ხშირად ქვეყნები, ქმნიან სხვადასხვა ფინანსური მოტივაციის პროგრამებს, რომელიც აძლევს საშუალებას მოქალაქეებს დაბრუნდნენ სამშობლოში. ერთ-ერთი ასეთი მაგალითი ისრაელში არსებული საგადასახადო რეფორმებია, რომლის მიხედვით დაბრუნებულებს ჩამოსვლიდან რამოდენიმე წლის განმავლობაში არ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა;

5) ინტელექტუალური მიგრაციის კონტროლი- კონკრეტულად საჭიროა შემუშავდეს სხვადასხვა ევროპულ/ განვითარებულ სახელმწიფოსთან პროგრამები,

რომლის მიხედვითაც ქართველებს ექნებათ უფლება, რომ ლეგალურად (დროებით) ჰქონდეთ უცხოეთში მუშაობის უფლება. აღნიშნული ნაბიჯი ხელს შეუწყობს როგორც დამატებითი ინვესტიციების შემოდინებას ქვეყანაში, ასევე, ინფორმაციის მიმოცვლის გახშირებას.

ინტელექტის გადინების დამატებითი კონტროლისთვის და ზუსტი ინფორმაციის აღსაღრიცხად მნიშვნელოვანია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის და სასაზღვრო პოლიციის შორის კიდევ უფრო აქტიური ურთიერთობა.

## ბიბლიოგრაფია

1. აბესაძე, რ. 2018. გლობალიზაცია და მისი გავლენა ეროვნულ ეკონომიკაზე. გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 28-31.
2. ასათიანი, რ. 2010. გლობალიზაცია, ეკონომიკური თეორია და საქართველო. თბილისი: გამომცემლობა სიახლე.
3. ბერიძე, ლ., ჭიპაშვილი, მ. 2001: მიგრაციული პროცესები იმერეთში. ჟურნალი მეცნიერება, გვ. 168-177.
4. ბერიძე, თ. 2003. საქართველოს დემოგრაფიული ვითარება და დემოსტატისტიკური აღრიცხვის სრულყოფის ზოგიერთი მიმართულებები. ჟურნალი ეკონომიკა, გვ. 28-29.
5. გაგნიძე, ი., ბერიძე, თ. 2015. The Role of International Educational and Science Programs for Sustainable Development. Conference on Network conference Human and Environmental Resources in Multiethnic Societies, Tbilisi State University.
6. გველესიანი, რ., გოგორიშვილი, ი. 2008. ეკონომიკური პოლიტიკა. თბილისი: გამომცემლობა უნივერსალი.
7. გოგობია, რ. 1996. საბაზრო ეკონომიკა. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
8. ერქომაიშვილი, გ. 2016. საქართველოს განვითარების ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებები. თბილისი: გამომცემლობა უნივერსალი.
9. ვეშაპიძე, შ., 2015. ეკონომიკის საფუძვლები, დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია.
10. ზუბიაშვილი, თ. 1999. თანამედროვე საერთაშორისო მიგრაცია. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.



11. ზუბიაშვილი, თ. 2017. გლობალიზაცია და მიგრაციული პროცესები. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 192–96. [http://eprints.tsu.ge/1453/1/Globalization and migration processes.pdf](http://eprints.tsu.ge/1453/1/Globalization_and_migration_processes.pdf).
12. კავკასიის ბარომეტრი. 2017. საქართველო. Caucasusbarometer.org, caucasusbarometer.org/ge/cb2017ge/GETJOB/.
13. ლობჯანიძე, მ. 2010. როგორ საქმდებიან უცხოეთში კურსდამთავრებული ახალგაზრდები საქართველოში (გერმანიაში კურსდამთავრებულთა მაგალითზე) / The Employment of the Young Graduate Students in Georgia Educated Abroad (on the example of Germany). თბილისი: ჟურნალი ბიზნესი და კანონმდებლობა, გვ. 64-66.
14. მექვაბიშვილი, ე. 2009. ეკონომიკის გლობალიზაცია: მიმართულებები, გამოწვევები, პერსპექტივები. თბილისი: გამომცემლობა ინოვაცია.
15. მექვაბიშვილი, ე. 2016. გლობალიზაციისა და მოდერნიზაციის ერთიანობა – თანამედროვე ეკონომიკური სისტემის განვითარების პარადიგმა. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი გლობალიზაცია და ბიზნესი, გვ. 30-36.
16. პაპავა, ვ. 2002, პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა. თბილისი.
17. პაპავა, ვ. 2015. საქართველოს ეკონომიკა: რეფორმები და ფსევდორეფორმები. თბილისი: გამომცემლობა ინტელექტი.
18. საქართველოს მოქალაქეობის შესახებ. 2014. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2342552?publication=5>.
19. საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ. 1993. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/93850?publication=15>.
20. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური . 2019. მოსახლეობა და დემოგრაფია. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/316/mosakhleoba-da-demografia>.

21. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. 2018. დასაქმება, ხელფასები - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/37/dasakmeba-khelfasebi> .
22. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. 2019. დასაქმება და უმუშევრობა. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/38/dasakmeba-damushvroba>.
23. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. 2019. მთლიანი ეროვნული შემოსავალი (მეშ). <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/24/mtliani-erovnuli-shemosavali-mesh>.
24. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. 2019. მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ). <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp>.
25. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. 2019. მიგრაცია. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/322/migratsia>.
26. სილაგაძე, ა. 2010. ეკონომიკური დოქტრინები. თბილისი: გამომცემლობა ინოვაცია;
27. სილაგაძე, ა. 2001. ეკონომიკური აზრის ისტორიის საკითხები. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
28. სურმანიძე ლ. 1997 „ქალი ქართულ მენტალიტეტში“. გენდერის აქტუალური პრობლემები.
29. ტუხაშვილი მ. 1998. საქართველოს შრომითი პოტენციალი: ფორმირება და განაწილება. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
30. ტუხაშვილი მ., შელია მ., ზუბიაშვილი თ. და ჭელიძე ნ. 2012. სამშობლოში დაბრუნებული მიგრანტების სოციო-ეკონომიკური პრობლემები.
31. ფუტყარაძე, რ. 2012. გლობალიზაცია და საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების ტენდენციები. გლობალიზაცია, საერთაშორისო ბიზნესის თანამედროვე

- პრობლემები და განვითარების პერსპექტივები საქართველოში. თბილისი: გამომცემლობა უნივერსალი, გვ. 399- 407.
32. შელია მ., ტუხაშვილი მ. 2003. შრომითი მიგრაციის გენდერული ასპექტები. მიგრაციული პროცესები პოსტსაბჭოთა საქართველოში. თბილისი: ლეგა, გვ.82-87.
33. შრომის ბაზარზე იშვიათი, დეფიციტური ან/და მაღალანაზღაურებადი პროფესიების/ფუნქციათა ერთობლიობის ნუსხა. 2018. <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4053587?publication=0>.
34. შრომითი მიგრაციის შესახებ. 2014. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2342552?publication=5>.
35. წულაძე, გ., მაღლაფერიძე, ნ., მამარდაშვილი, გ., სულაბერიძე, ა. 2008. საქართველოს დემოგრაფიული განვითარება: გუშინ, დღეს, ხვალ. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბა.
36. ჭელიძე ნ. 2006. შრომითი ემიგრაცია პოსტსაბჭოთა საქართველოში. თბილისი: გამომცემლობა ლეგა.
37. Allahveranov, A, and Huseynov, E. 2013. ENPI - Costs And Benefits Of Labour Mobility Between The EU And The Eastern Partnership Partner Countries. Legacy.Iza.Org. <http://legacy.iza.org/files/ENPIazerbaijan.pdf>.
38. Ali, S., Carden, G., Culling, B., Hunter, R., Oswald, A., Owen, N., Ralsmark, H., and Snodgrass N. 2007. Elite scientists and the global brain drain. Warwick Economic Research Papers, No. 825. University of Warwick.
39. Ariu, A., and Pasquamaria Squicciarini, M. 2013. The Balance of Brains: Corruption and High Skilled Migration, by Andrea ARIU; Pasquamaria SQUICCIARINI. Discussion Papers (IRES - Institut de Recherches Economiques et Sociales). Université catholique de Louvain, Institut de Recherches Economiques et Sociales (IRES). <https://ideas.repec.org/p/ctl/louvir/2013010.html>.
40. Amnesty International. 2017. The State of Human Rights Report. <https://www.amnesty.org/download/Documents/POL1067002018ENGLISH.PDF>.

41. Atoyán, R., Christiansen L., Dizioli, A., Ebeke, C., Ilahi, N., Ilyina, A., Mehrez, G. et al. 2016. Emigration and Its Economic Impact on Eastern Europe. Emigration and Its Economic Impact on Eastern Europe. International Monetary Funds.
42. Bakhtadze, L., and Danelia, S. 2017. Globalization And Modern Problems Of Country Development. In 8Th Global Business Research Conference. Rome. <http://www.worldbizins.org/pages/paper/conference/111://www.imf.org/external/pubs/ft/sdn/2016/sdn1607.pdf>.
43. Bank of China. 2018. Annual Report. Working paper no. 3988 (Ordinary H-Share) 4601 (Offshore Preference Share). <https://www1.hkexnews.hk/listedco/listconews/sehk/2019/0329/ltn20190329691.pdf>.
44. Becker, G., S. 1962. Investment in human capital: A theoretical analysis. *Journal of Political Economy*, 70(5, Part 2): pp. 9-49.
45. Bălăţescu, S. 2007. Central and Eastern Europeans Migrants' Subjective Quality of Life. A Comparative Study. *Journal of Identity and Migration Studies*. [https://www.researchgate.net/publication/26575611\\_Central\\_and\\_Eastern\\_Europeans\\_Migrants'\\_Subjective\\_Quality\\_of\\_Life\\_A\\_Comparative\\_Study](https://www.researchgate.net/publication/26575611_Central_and_Eastern_Europeans_Migrants'_Subjective_Quality_of_Life_A_Comparative_Study)
46. Boeri, T., Brücker, H., Docquier, F. and Rapoport, H. 2012. *Brain Drain And Brain Gain*. Oxford: Oxford University Press.
47. Borjas, G., Bronars, S. 1990. Immigration and the Family, NBER Working Papers 3509, National Bureau of Economic Research.
48. Borjas, G. J. 2014. *Immigration Economics*. Cambridge, Mass.: Harvard University Press.
49. Boswell, T. Curtis, J. 1984. *The Cuban-American Experience*. Totowa, NJ: Rowman and Allanheld.
50. Brandi, M.C. (2001), Skilled Immigrants in Rome. *International Migration*, 39: 101-131. doi:[10.1111/1468-2435.00164](https://doi.org/10.1111/1468-2435.00164)
51. BROWN, R. 1997. Estimating Remittance Functions for Pacific Island Migrants, *World Development*, Vol. 25(4), pp. 613-626.

52. Carrington, W. J., and Detragiache E. 1998,. How Big Is the Brain Drain? How Big Is the Brain Drain? International Monetary Fund. <https://www.imf.org/external/pubs/ft/wp/wp98102.pdf>.
53. Castles, S., and Miller, M.J., 2009. The Age of Migration: International Population Movements in the Modern World, 4th ed., Rev. & updated. New York: Guilford Press. <http://newcatalog.library.cornell.edu/catalog/6406738>.
54. Central Intelligence Agency. 2016. Country Comparison to the World. Central Intelligence Agency. n.d.. <<https://www.cia.gov/library/publications/the-world-factbook/fields/2056.html>>.
55. Cervantes, M, and Guellec, D. 2002. The Brain Drain: Old Myths, New Realities. OECD Observer, no. 230: 40. [http://oecdobserver.org/news/archivestory.php/aid/673/The\\_brain\\_drain:\\_Old\\_myths,\\_new\\_realities.html](http://oecdobserver.org/news/archivestory.php/aid/673/The_brain_drain:_Old_myths,_new_realities.html).
56. Chaichian, M., A. 2011. The new phase of globalization and brain drain Migration of educated and skilled Iranians to the United States.. International Journal of Social Economics, <http://dx.doi.org/10.1108/03068291211188857>.
57. Chen, Z., Wang, J., N., Ma, G. and Zhang, Y. 2013. China tackles the health effects of air pollution. Lancet. 382. 1959-1960. 10.1016/S0140-6736(13)62064-4.
58. Chindea, A., Majkowska-Tomkin, M., Mattila, H., Pastor, I. 2008. Migration In Georgia: A Country Profile. IOM. [http://iom.hu/PDF/migration\\_profiles2008/Georgia\\_Profile2008.pdf](http://iom.hu/PDF/migration_profiles2008/Georgia_Profile2008.pdf);
59. Clemens, M., A. 2017. Migration Is a Form of Development: The Need for Innovation to Regulate Migration for Mutual Benefit. New York: United Nations,. <https://www.un.org/en/development/desa/population/migration/publications/technicalpapers/docs/TP2017-8.pdf>.
60. Carling, J. and Schewel, K. 2017. Revisiting aspiration and ability in international migration' Journal of Ethnic and Migration Studies 6: pp. 945–963.

61. Collier, P. 2013. *Exodus: How Migration Is Changing Our World?*. Oxford: Oxford University Press.
62. Coulombe, S., and Tremblay, J. 2009. Migration and skills disparities across the Canadian provinces. *Regional Studies* 43 (1): 5-18.  
[https://econpapers.repec.org/article/tafregstd/v\\_3a43\\_3ay\\_3a2009\\_3ai\\_3a1\\_3ap\\_3a5-18.html](https://econpapers.repec.org/article/tafregstd/v_3a43_3ay_3a2009_3ai_3a1_3ap_3a5-18.html).
63. Czaika, M., and Mayer, A., 2011. Refugee Movements And Aid Responsiveness Of Bilateral Donors. *Journal Of Development Studies* 47 (3): pp. 455-474. doi:10.1080/00220388.2010.492855.
64. DaVanzo, J. 1983. Repeat Migration in the United States: Who Moves Back and Who Moves On? 1983, *The Review of Economics and Statistics*, MIT Press, vol. 65(4), pp. 552-559.
65. Davis, T., and Hart, D., M. 2010. International cooperation to manage high-skill migration: The case of India-U.S. relations. *Review of Policy Research*, 27(4), pp. 509-526. doi:10.1111/j.1541-1338.2010.00454.x.
66. De Haas, H. 2009. *Mobility and Human Development*. New York: UNDP.
67. De Vreyer , P., Gubert. F., and Robilliard, A.,S. 2008. *RETURN MIGRANTS IN WESTERN AFRICA: CHARACTERISTICS AND LABOUR MARKET PERFORMANCE*. Paris: OECD/DELSA.
68. Debnath, P. 2016. *Leveraging Return Migration for Development: The Role of Countries of Origin*. The World Bank. [https://www.knomad.org/sites/default/files/2017-04/WP\\_Leveraging\\_Return\\_Migration\\_for\\_Development - The Role of Countries of Origin.pdf](https://www.knomad.org/sites/default/files/2017-04/WP_Leveraging_Return_Migration_for_Development_-_The_Role_of_Countries_of_Origin.pdf).
69. Denyer, S, and Kashiwagi, A. 2018. Japan Passes Controversial New Immigration Bill To Attract Foreign Workers". *The Washington Post*. [https://www.washingtonpost.com/world/japan-passes-controversial-new-immigration-bill-to-attract-foreign-workers/2018/12/07/a76d8420-f9f3-11e8-863a-8972120646e0\\_story.html?noredirect=on](https://www.washingtonpost.com/world/japan-passes-controversial-new-immigration-bill-to-attract-foreign-workers/2018/12/07/a76d8420-f9f3-11e8-863a-8972120646e0_story.html?noredirect=on).
70. Dimant, E., and Krieger, T. 2013. The Effect of Corruption on Migration,1985–2000. *Academia.edu*. *Applied Economics Letters*. Accessed August 16, 2019.

- [https://www.academia.edu/7496863/Dimant\\_Krieger\\_Meierrieks\\_2013\\_-\\_The\\_effect\\_of\\_corruption\\_on\\_migration\\_1985\\_2000](https://www.academia.edu/7496863/Dimant_Krieger_Meierrieks_2013_-_The_effect_of_corruption_on_migration_1985_2000).
